საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი

თამარ გურამის ასული ავბეწვაშვილი

მევენახეობის დარგის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის საკითხები საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

სპეციალობა 08.00.14 სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი
ასოც. პროფ. მ. ბახია

თბილისი
2003

შესავალი

საქონელწარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება ოპერატიულ მოთხოვნილებებს აყენებს უფრო მეტად საბაზრო ურთიერთობის პირობებში, რადგანაც მატერიალური დოვლათის წარმოება და მისი მომხმარებლამდე დაყვანა მეტად რთული პროცესია, რაც დაკავშირებულია წარმოების საშუალებებისა და შრომის პროცესების სწორი ორგანიზაციული ფორმებისა და სტრუქტურების ოპტიმალურ დონეზე მართვასთან. წარმატებითი შრომა და მართვა წარმოუდგენელია მეცნიერული ორგანიზაციის გარეშე.

შრომის ნაყოფიერების მიღწევის მთავარი პირობაა, მოეწყოს შრომის სრული რაციონალური ორგანიზაცია, ხოლო ოპტიმალურ დონეზე მართვა შეიძლება მხოლოდ მეცნიერული ორგანიზაციის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, საწარმოს ხელმძღვანელს თუ სურს წარმატებით შეასრულოს დასახული მიზნები და ამოცანები, მან კარგად უნდა ისწავლოს მართვის ორგანიზაციის მეცნიერება.

პიროვნება მართვის მთავარი ელემენტია, რომლის უნარსა და ნიჭზე ბევრადაა დამოკიდებული იურიდიული პირის მთელი საწარმოო და ფინანსური შედეგები. ყველა კეტეგორიის ხელმძღვანელს და, კერძოდ, საწარმოთა მეთაურებს, როგორ შეუძლიათ მართონ საწარმო, თუ კომპენტენტურობა აკლიათ, თუ საჭირო ცოდნა არა აქვთ მართვის მეცნიერების შესახებ.

მართვის ცოდნა ხელოვნებაა. ის თანდაყოლილი თვისება კი არ არის,

არამედ შენაძენი უნარია. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ დავეხმაროთ საწარმოთა ხელმძღვანელებს, სამეურნეო მუშაკებს, მართვის მეცნიერების დაუფლებაში. ბაზარი, ბიზნესი, მარკეტინგი და მენეჯმენტი დეცენტრალიზებული მართვის სისტემაში, ჩვენთვის მეურნეობრიობის ახალი "ხილი" იყო, რომლის გამოცდილება სპეციალისტებს არ გააჩნდათ, რამაც საბაზრო ეკონომიკისათვის გარდამავალ ეტაპზე ქაოსი გამოიწვია. ყოველივე აქედან გამომდინარე, ეკონომიკისა და ხალხის სოციალურ გარდაქმნაში სახელმწიფოს მიერ გატარებულმა დაულაგებელმა, არაორგანიზებულმა პოლიტიკამ ცალკეულ დარგებში ლოკალური კრიზისი გამოიწვია, რომელიც შემდგომ გლობალურ კრიზისში გადაიზარდა.

კრიზისი საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მაპროფილებელ დარგებში განვითარდა, რომელთა შორის მევენახეობის დარგშიც გავრცელდა. როგორც ცნობილია, საქართველო მევენახეობის უძველესი კერაა და მრავალფეროვნებით ხასიათდება. დიდია მისი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, რადგანაც მევენახეობა გვაძლევს მრავალი სახის საექსპორტო მნიშვნელობის პროდუქციას და ამავე დროს გადამუშავებით მრეწველობას (ღვინის ქარხნებს) აწვდის საკუთარი წარმოების ყურძენს, რომელიც მომავალში უნდა შევიდეს აგროსამრეწველო ინტეგრირებულ სისტემაში. ის ხასიათდება დარგთაშორის შემოსავლებში მაღალი ხვედრითი წონით, არის სპეციალიზაციის მაღალშემოსავლიანი დარგი.

მევენახეობის დარგის დეცენტრალიზებულ მართვის სისტემაზე

გადასვლა მოხდა 1990 წელს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი იყოფა ორ პერიოდად: პირველი პერიოდი მოიცავს 1990-1995 წლებს, მეორე _ 1995-წლიდან დღემდე არსებულ პერიოდს. პირველი პერიოდი წარმოდგენილია რადიკალური გარდაქმნის, ანუ "შოკური თერაპიის", ხოლო მეორე _ "თანდათანობით, ევოლუციური გარდაქმნის" პერიოდით. თავის მხრივ, "შოკური თერაპია" მოიცავს რეფორმათა ხუთ მიმართულებას: 1. მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას; 2. ფასებისა და ბაზრის რეფორმას; 3. საფინანსო რეფორმას; 4. კერძო სექტორში გასატარებელ რეფორმათა კომპლექსს; 5. სახელმწიფოს რეგულირებისა და მართვის როლის ტრანსფორმაციას.

ჩვენი შეხედულებით, გარდამავალი პერიოდი "შოკური თერაპიის" მეთოდით კი არ უნდა გაგვეხორციელებინა, არამედ უნდა გამოგვეყენებინა ევოლუციური გარდაქმნის პერიოდი, ამიტომაც ვერ შევიმუშავეთ სწორი ორგანიზაციული და საწარმოთა სტრუქტურული გარდაქმნის თანმიმდევრული სისტემა, რის გამოც დღესაც ეროვნული ეკონომიკა სამეურნეო-ფინანსურ კრიზისშია მოქცეული.

პრობლემის აქტუალობა _ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მევენახეობის, როგორც ძირითადი მაპროფილებელი დარგის განვითარება, განსაკუთრებით, კახეთისათვის, გარდაუვალია. იგი წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიულ, სპეციალიზაციის, შემოსავლიან დარგს. მევენახეობა _ მეღვინეობის განვითარება თავიდან აგვაცილებს დარგთა გაუმართლებელ დაპირისპირებას. მასზე ბევრადაა დამოკიდებული საექსპორტო კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, ამიტომ

გავითვალისწინეთ მევენახეობის (საქართველოსათვის ამ ისტორიული, ტრადიციული დარგის) ჩამორჩენილობა, რის გამოც ხელი მოვკიდეთ მისი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის გზების ძიებას. ამასთან ერთად, დარგში შექმნილი უმწვავესი მდგომარეობა გათვალისწინებული უნდა იქნას ეკონომიკური, ორგანიზაციული, ტექნოლოგიური, საკადრო და მეცნიერული უზრუნველყოფის მართვის სრულყოფის კონცეფციაში, რაც გარანტირებული უნდა იქნას დაგეგმვისა და მართვის მყარი სამართლებრივი ბაზით და მტკიცე ეკონომიკური მექანიზმებით. დასამუშავებელია წარმოებისა და შრომის პროცესთა ორგანიზაციული და სტრუქტურული მართვის ფორმები, ეკონომიკის ეროვნული მართვის მოდელი, ჯერაც "ასკ"_ის სისტემაში შესაქმნელია დამხმარე და მომსახურე წარმოების ფორმები, აგრეთვე დასამუშავებელია გადამუშავებითი მრეწველობის ფორმები და სტრუქტურები, მოსაძებნია ყურძნის სარეალიზაციო თავისუფალი და მიზნობრივი ბაზრები, მოსახდენია დეცენტრალიზებული მართვის სისტემის კოორდინირება ცენტრალიზებული მართვის სისტემასთან. წარმოება, დამზადება, გადამუშავება, შენახვა და რეალიზაცია რთული პროცესია, რაც შეიცავს კვლავწარმოების კლასიკურ პროცესებს და ა.შ., აქედან გამომდინარე, მევენახეობის დარგის განვითარებისა და მართვის გარდაქმნის პრობლემა მეტად აქტუალურ საკითხებს შეიცავს, რომელთა დამუშავების გარეშე შეუძლებელია სოფლის მეურნეობისა და, კონკრეტულად, მევენახეობის დარგის მართვის გარდაქმნა.

კვლევის მიზნები და ამოცანები _ საბაზრო ეკონომიკის

მოდელისათვის აუცილებელია სოფლის მეურნეობიდან, კონკრეტულად, შესწავლილ იქნას მევენახეობის დარგი, მისი განვითარების ფორმები და სისტემები, ამისათვის საჭიროა დაგეგმვისა და მართვის პარამეტრების თანამედროვეობის დონეზე განხორციელება, ამიტომ მევენეხეობის დარგში ორგანიზაციული ფორმებისა და სტრუქტურების ძიება, მართვის სისტემისა და ფორმების დამუშავება, შეიცავს წარმოების სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს: საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს თავისუფალ განვითარებას, ამასთან ერთად, სახელმწიფოებრივ რეგულირებას, გეგმურ-ცენტრალიზებულ მართვის სისტემასთან კომბინირებას, შექმნილი მართვის მოდელების დამუშავება-გადა-მუშავებას, მევენახეობის დარგის საბაზრო რელსებზე სრულად გადაყვანას, მევენახეობასთან ინფრასტრუქტურის დარგების ჩამოყალიბებას, მიწის ღირებულების მომავალ დამუშავებას, თავისუფალი ბაზრის რეგულირებას და ა.შ. მევენახეობის დარგში ბევრი მიზნები და ამოცანებია დასახული, რომელთა შემდგომი დამუშავება აუცილებელია ამ დარგის აგრარული სექტორით სისტემაში ობიექტური შესვლისათვის.

კვლევის ობიექტი და საგანი _ აგრარული სექტორი არის ეკონომიკურად და ორგანიზაციულად ურთიერთდაკავშირებული წარმოებისა და ინფრასტრუქტურის დარგების კომბინირებული კავშირურთიერთობები. ამასთან, სოფლის მეურნეობის საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის ობიექტური პირობაა აგრარული სექტორის ორგანიზაციული სტრუქტურის სწორად განსაზღვრა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია მთელი რიგი ორგანიზაციული, სტრუქტურული, წარმოების ტექნოლოგიური და, საერთოდ, ეკონომიკურ-სოციალური საკითხების გადაწყვეტასთან. ამდენად,

მევენახეობის დარგისათვის მოსაძებნია (დასახვეწი და დასამუშავებელია), ორგანიზაციული მართვის ფორმები და სტრუქტურები. ამიტომ, კვლევის ობიექტად შევარჩიეთ სოფლის მეურნეობაში მევენახეობის დარგი, ხოლო კვლევის საგნად მევენახეობის დარგის მართვის ორგანიზაციული ფორმებისა და სტრუქტურების მეთოდოლოგიური საფუძვლების დამუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა _ სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ_მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ქართველ და უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევები მევენახეობის დარგში, სამთავრობო გადაწვეტილებანი, მიღებული იურიდიული და საკანონმდებლო აქტები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა (1998 წ.) "საქართველოს ვაზისა და ღვინის კანონი" ახალი სტანდარტული ჯიშების წარმოებაში დანერგვის შესახებ. აგრეთვე გამოიცა პრეზიდენტის ბრძანებულება (№406, 2002 წ. 20.09), რომელიც გამოქვეყნდა "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" №97, 20.09 2002 წ., რითაც მიეთითათ ეკონომიკის, მრეწველობისა და ფინანსთა სამინისტროებს 2003 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების გაძლიერების თაობაზე. პროგრამა მაინც ვერ შესრულდა. 1991 წლის შემდგომ მთავრობამ არავითარი რეგულირების ღონისძიება არ განახორციელა, ამიტომ მევენახეობის დარგის განვითარებას შრომისა და მართვის სისტემების წარმოების ორგანიზაციული ფორმების გარდაქმნა-რეგულირება სჭირდება. ნაშრომი მეთოდურ დამუშავებაში

ეყრდნობა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, პურითა და პურპროდუქტებით ვაჭრობის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოქვეყნებულ მასალებს, აგრეთვე, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ ამ დარგში გამოქვეყნებულ შრომებსა და კრებულებს.

ცხოვრება დინამიური პროცესია და იცვლება, ამიტომ, წარმოების, შრომის პროცესების ორგანიზაციული ფორმები და სტრუქტურები მეთოდოლოგიურ-მეთოდურ დამუშავებას საჭიროებენ: ბიზნეს-გეგმები, საწარმოო დავალებები, ტექნოლოგიური რუკები, აგრარულ სისტემაზე გადასვლის გზები და ა. შ., რაზედაც სათანადო მუშაობა იქნა ჩატარებული თელავის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოში, სადაც მოხდა აპრობაცია და ცხოვრებაში დანერგვა.

მეცნიერული სიახლე — განვლილი ათწლეულის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოები ვერ უზრუნველყოფდნენ და ამჟამადაც ვერ უზრუნველყოფენ სპეციალიზაციის, სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგრარული ინტეგრაციის რეგულირებას. გარდაქმნას საჭიროებს საწარმოთა ორგანიზაციული და სტრუქტურული სფერო, მართვის სისტემები და ფორმები. შესაცვლელია აგრარული პოლიტიკის მართვის საფუძვლებიც, რაც გამომდინარეობს საბაზრო ეკონომიკის შინაარსიდან. აგრარული პოლიტიკის გარდაქმნა უნდა დაეყრდნოს თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული შემოქმედების საფუძვლებს, მეცნიერების როლის გარდაქმნას, გაძლიერებას,

ტექნიკურ პროგრესს, მეცნიერული პოტენციალის წარმოებასთან შერწყმას.

შესაბამისად, მევენახეობის დარგის განვითარებისათვის გარდაქმნას საჭიროებს ყურძნის გადამუშავებითი მრეწველობა. ღვინის ქარხნების მოთხოვნილებანი რომ ვუზრუნველყოთ ყურძნის პროდუქციაზე, სრულმოსავლიანი ვენახის ფართობის სტაბილურად შენარჩუნების პირობებში 1990 წლის დონეზე, ყოველწლიურად წარმოებული უნდა იქნას სულ ცოტა 600 _ 650 ათასი ტონა ყურძენი. სასაქონლო წარმოების ყურძნის ეს რაოდენობა უზრუნველყოფს გადამუშავებითი მრეწველობის და საგარეო ბაზრის დაკმაყოფილებას, გაიზრდება ექსპორტი და ბალანსი დადებითი გვექნება, გაუმჯობესდება მაკროეკონომიკური მაჩვენებლები.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ეკონომიკურ და მეთოდოლოგიური სრულყოფის საკითხებზე, პრაქტიკულად დამუშავდა ბიზნეს-გეგმები, ტექნოლოგიური რუკები, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმები, რომლებიც ტიპობრივად მოქცეულ იქნა სტანდარტებში. ამ სტანდარტების საკუთარი თვალთახედვა შევიმუშავეთ, რაც მოვათავსეთ მაკეტურ ფორმებში (დისერტაციას თან ერთვის). აგრეთვე, რეკომენდაციას ვიძლევით დამუშავდეს ფუნდამენტური თემა მევენახეობაში, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მაპროფილებელი დარგი, რითაც გათვლილი იქნება პერსპექტივაში.

ნაშრომის პუბლიკაცია და აპრობაცია. შრომის ავტორის მიერ მეცნიერული კვლევები და შრომები გამოქვეყნებულია:

1. “საქართველოს აგრარული სექტორის თავისებურებანი და მევენახეობის განვითარების პერსპექტივები”, სსაუ-სა და სსზვ

აკადემიის ასპირანტთა და ხარისხის მაძიებელთა სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. V, თბილისი, 2000 წ;

2. “მმართველობითი ურთიერთობის სრულყოფის საკითხები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში საქართველოში”, სსაუ-სა და სსზვ აკადემიის ასპირანტთა და ხარისხის მაძიებელთა სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. V, თბილისი, 2000 წ;
3. “მევენახეობის დარგის სპეციალიზაცია, ინტეგრაცია და მისი მეურნეობრივი განვითარების ფორმები”, სსაუ-სა და აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის გენეტიკისა და სელექციის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. XI, თბილისი – ბაქო, 2000 წ.;
4. “მევენახეობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი კახეთში”, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ერევანი, 2001 წ.;
5. “სოფლის მეურნეობაში პრიორიტეტული დარგების განვითარების აუცილებლობა და მიმართულებები”, სსაუ-სა და სსზვ აკადემიის ასპირანტთა და ხარისხის მაძიებელთა სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. XXIV, თბილისი, 2003 წ.;
6. “მცირე საწარმოებისა და მსხვილი სამეურნეო სტრუქტურების მართვის მიმართულებანი”, სსაუ-სა და სსზვ აკადემიის ასპირანტთა და ხარისხის მაძიებელთა სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. XXIV, თბილისი, 2003 წ.;
7. “სოფლის მეურნეობის თავისებურებები და აგრარული ურთიერთობების რეგულირების სპეციფიკა”, ჟურნალი “ეკონომიკა”, № 5-6, თბილისი, 2003 წ.
8. “მარკეტინგული საქმიანობის განვითარება, პროდუქციის

კონკურენტუნარიანობის დაგეგმვა და მართვა”, ჟურნალი “ეკონომიკა”, № 12, თბილისი, 2003 წ.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა _ კვლევის შედეგად შემუშავებული დასკვნები, წინადადებები და რეკომენდაციები გამოქვეყნებულია საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომებში და პრაქტიკულად გამოყენებულია საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის მიერ, რომლებიც აპრობირებულია ზემოთ ჩამოთვლილ სამეცნიერო შრომების კრებულებში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა _ დისერტაციის საერთო მოცულობა შეადგენს კომპიუტერზე ნაბეჭდ 148 გვერდს, მათგან 7 გვერდზე მოცემულია 94 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია, დისერტაციის შინაარსი დასკვნებით შეადგენს 141 გვერდს.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლისაგან, სამი თავის, დასკვნისა და წინადადებებისაგან.

თავი I მევენახეობის დარგის ეკონომიკის დაგეგმვისა და მეცნიერული მართვის სრულყოფის საკითხები აგრარულ სექტორში

§1.1 საქართველოს აგრარული სექტორის არსი, წარმოებისა და გარდაქმნის თავისებურებანი, და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

საბაზრო ურთიერთობის პირობებში წარმატებითი შრომა, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა მიმართულების მართვა, ყოვლად წარმოუდგენელია მეცნიერული ორგანიზაციის გარეშე. ყველა მიმართულების მართვის სისტემაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და მართვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს შრომის პროცესთა რაციონალური ორგანიზაცია, ხოლო ოპტიმალურ დონეზე მართვა შეიძლება მხოლოდ მეცნიერული ორგანიზაციის საფუძველზე.

აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში დიდი როლი ეკუთვნის ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და მმართველობით ურთიერთობებს. ნებისმიერი კერძო, თუ ჯგუფური საქმიანობა, საჭიროებს ორგანიზაციას, ცალკეული რგოლებისა და ძირითადი დარგების შეკავშირებას, სტრუქტურის შექმნასა და შეთანხმებას, მყარ ურთიერთკავშირს. შრომის პროცესთა კოოპერირებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და მმართველობითი კავშირების წარმოქმნას, რასაც თავის მხრივ

არეგულირებს შრომის პროცესთა ორგანიზაციული ფორმები.

მხოლოდ ორგანიზაციული მართვის პრინციპების, ურთიერთდაკავშირებული უბნების პროპორციულობის დაცვა და რიტმულობა, შრომის მაღალი დისციპლინის მიღწევა, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მომარაგება და მართვა, ხელს უწყობს საწარმოთა კვლავწარმოების პროცესების გაფართოვება – განვითარებას.

წარმოების პროცესი შეიცავს შრომის პროცესს და ობიექტურად განაპირობებს მისი ყველა მონაწილის (საწარმოო საშუალებებისა და სამუშაო ძალის) მოქმედების ორგანიზაციულ გაერთიანებას. იგი უნდა განვიხილოთ, როგორც საწარმოო ძალების ფუნქციონირების პროცესი, რომლის ორგანიზაციული ფორმის ტიპი დამოკიდებულია საკუთრების ფორმებსა და წარმოებითი ურთიერთობების სისტემაზე.

შრომის პროცესთან დაკავშირებით უნდა გამოვყოთ სამი მთავარი ელემენტი: შრომის იარაღები, შრომის საგნები და სამუშაო ძალა.

შრომის იარაღები ისეთი სახის საწარმოო საშუალებებს წარმოადგენენ, რომლებიც წარმოების პროცესებში მონაწილეობენ ხანგრძლივად, მოხმარების გამო ცვდებიან (ნატურალური ფორმის შეუცვლელად), ხოლო განაცვეთი ღირებულება (ცვეთის კვალობაზე) თანდათანობით გადაიტანება ახლად შექმნილ პროდუქტში. ცვეთა წარმოადგენს წარმოებული პროდუქტის თვითღირებულების შემადგენელ ნაწილს, ამავე დროს, ძირითადი კაპიტალის სახმარი ღირებულების შემცირებას, რომელსაც ესაჭიროება აღდგენა, წარმოების ძირითადი კაპიტალის ამორტიზირების გზით.

რაც შეეხება შრომის პროცესთა მეორე მთავარი ელემენტის,

შრომის საგნების (შრომის ობიექტის) საკითხს, ისინი წარმოების ერთ ციკლში იხარჯებიან, მთლიანად გარდაიქმნებიან გამოსაშვებ პროდუქტად და ღირებულებას ერთნაირად შეიტანენ წარმოებულ პროდუქტში. შრომის იარაღებით ზემოქმედებას ვახდენთ შრომის ობიექტებზე და გარდავქმნით სასურველ პროდუქტად.

საწარმოო საშუალებები მოქმედებაში მოჰყავთ ადამიანებს (სამუშაო ძალას), რომლებიც ზემოქმედებენ შრომის ობიექტზე მიზანდასახული ქმედითი პროცესის განხორციელებით, წინასწარ გამიზნული გეგმის (ბიზნეს-გეგმის) შესაბამისად, სადაც წარმოიქმნება შრომის პროცესთა მართვის სისტემური ორგანიზაცია.

საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებით, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გაშლის, ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ზრდის ფაქტორებზე დაყრდნობით, საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან, საზოგადოებრივი წარმოების მიღწეული დონე და წარმოების მასშტაბები, საწარმოო დარგთაშორისი კავშირების განვითარება და რეგიონალური კავშირები ართულებენ წარმოების ორგანიზაციის შემდგომ განვითარებას.

კვლავწარმოების პროცესში ჩამოყალიბებული კავშირები ტერიტორიული და რეგიონალური განვითარების ფუძეს უნდა წარმოადგენდნენ. ჯერაც დაუდგენელია საწარმოთა ორგანიზაციული ფორმების სრულყოფილი ტიპები (პრაქტიკულად ფირმებმა, გლეხურმა მეურნეობებმა და სააქციო საზოგადოებებმა სოფლად, ვერ გაამართლა წარმოებებისადმი წაყენებული მოთხოვნები, შრომის ეს

ფორმები წარმოებისა და დაბალი ფინანსური შედეგიანობით ხასიათდებიან).

თანამედროვე ეტაპზე, შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფორმაა მცირე საწარმო (ფირმა, ფერმა, კოოპერატივი, სააქციო საზოგადოება და ა.შ.), რომელნიც საბაზრო ეკონომიკის სისტემაში წარმოიშვა და მთელ მსოფლიოში ამ ფორმებზე "ბუმია" გამოცხადებული. ვფიქრობთ, საბაზრო ეკონომიკისათვის ბრძოლის გარდამავალ ეტაპზე გლეხურ-ფერმერულ და იჯარულ მეურნეობებზე უნდა ვიფიქროთ, ხოლო შემდგომ ეტაპზე - საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისა და რეალური მეურნეობების განვითარებისას, უნდა გადავიდეთ წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავების, კონცენტრაციისა და ინტეგრაციის მაღალ დონეზე, რაც შემდგომ პერიოდში შეცვლის შრომისა და წარმოების ორგანიზაციულ ფორმებს.

წვრილი ფერმერული და გლეხური მეურნეობები მომავალში ვეღარ გაუძლებენ განვითარებულ საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნებს, რაც წარმოების განვითარების მაღალ დონეზე შესაბამისი უნდა გახდეს წარმოებით ურთიერთობათა ორგანიზაციული ფორმებისა. საზოგადოებრივი წარმოების განვითარება მოითხოვს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მაღალ დონეს, მისი მიღწევა კი შეიძლება სოფლის მეურნეობის წარმოების პროცესების ტექნიკური შეიარაღების ზრდისა და უზრუნველყოფის პროგრესის ბაზაზე.

სოფლის მეურნეობის წარმოებისა და შრომის პროცესებთან დაკავ-შირებით, არ შეიძლება კიდევ არ გავითვალისწინოთ ის წინააღმდეგო-ბები, რომელთაც თან ახლავთ სირთულე და მრავალდარგოვნობა (ამ მიმართულებით ყურადღება ექცევა დარგთა სპეციალიზაციას და

შეთანაწყობილ განვითარებას).

თავისებურებებიდან უპირველესად აღსანიშნავია:

1. სოფლის მეურნეობის წარმოების სირთულე, რაზედაც გავლენას ახდენს ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორები _ უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, ჯერ კიდევ საბაზრო ეკონომიკის გარდამავალი ეტაპებისათვის დამახასიათებელი საკუთრების ფორმები და მათზე აშენებულ საწარმოთა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმები. სახელმწიფო საწარმოებმა პრივატიზება განიცადეს და გვაქვს: კოოპერატივები, ფირმები, ფერმები, სააქციო საზოგადოებები, კორპორაციული გაერთიანებები, კომპანიები და ა.შ. სახელმწიფო და საბაზრო ეკონომიკის საწარმოები ავითარებენ შეთანაწყობილ წარმოებას თავისუფალი კონკურენციის ბაზაზე, თუმცა, სოფლად დამთავრდა მიწებისა და საწარმოო საშუალებათა პრივატიზების პროცესი.

დარგობრივი სტრუქტურის სირთულის მხრივ, განსაკუთრებული განსხვავებაა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებათა შორის. ცალკეულ საწარმოებს ახასიათებთ გარკვეული თავისებურებანი, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო დარგები სტრუქტურისა და ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედების მხრივ, უფრო რთული და მრავალფეროვანია;

2. სოფლის მეურნეობის წარმოებას სეზონურობა ახასიათებს, რაც წარმოების თავისებურებებითაა განპირობებული. როგორც წესი, სასოფლო-სამეურნეო სამუშაო პერიოდი სოფელში უფრო მოკლეა, ვიდრე წარმოების პერიოდი. წარმოების ციკლი ხანგრძლივია და პროდუქციის მიღება ხდება მეორე წელს (მაგ. საშემოდგომოდ

დათესილი ხორბალი);

3. სოფლის მეურნეობაში მიღებული მზა პროდუქტი წარმოადგენს მომავალ მასალას, მაგალითად, მიღებული ხორბლიდან გამოყოფილი თესლი წარმოადგენს მასალას, რომელიც გამოიყენება კვლავწარმოებისათვის (რეპროდუქციისათვის), რაც სოფლის მეურნეობისათვის ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს;

4. სოფელს თავისებურება გააჩნია ტექნოლოგიური პროცესების მიხედვითაც. სოფელში პროდუქტი იქმნება წარმოების პროცესში, რაც დაკავშირებულია ბუნებრივ და კლიმატურ პირობებთან. ის არ წარმოადგენს ერთბაშად გარდაქმნის პროდუქტს, როგორც მრეწველობაში ხდება;

5. სოფლის მეურნეობაში ზემოქმედების ობიექტია მიწა, რომელიც დაკავშირებულია არა გარდაქმნასთან, არამედ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან. აქ საქმე გვაქვს ცოცხალ ორგანიზმებთან. მიწა განსაკუთრებული სახის საწარმოო საშუალებაა;

6. სოფლის მეურნეობაში არსებული წარმოების სფეროს გარკვეული თავისებურებებიდან აღსანიშნავია, ენერგიის დაგროვება შრომის საშუალებით, მრეწველობაში კი ენერგია იხარჯება ერთბაშად (მაშინვე გაკრისტალდება პროდუქტში). სოფელი ხასიათდება განვითარებული დარგების მრავალფეროვნებით, რომელიც თხოულობს დარგების შეთანაწყობილ განვითარებას და ა.შ.

სოფლის მეურნეობისა და მასში შემავალი ცალკეული დარგების

მართვის სისტემაში წარმოების თავისებურებებთან ერთად, ერთ-ერთი

მთავარი ადგილი უკავია შრომის პროცესების ტერიტორიულ, რაიონულ და რეგიონალურ დანაწილებას. როგორც ცენტრალიზებული მართვის სისტემის ანალიზმა გვიჩვენა, წარსულში რაიონული სოფლის მეურნეობის სამმართველოები ვერ უზრუნველყოფდნენ სპეციალიზაციის, სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის პროცესების რეგულირებას.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები (კოლმეურნეობები დ საბჭოთა მეურნეობები) ვერ უზრუნველყოფდნენ შრომის საზოგადოებრივი პროცესების დანაწილებას, არ ვარგოდა საწარმოო და მმართველობითი სტრუქტურის შედგენილობა, რის გამოც მთელი სიმძლავრით ვერ ხდებოდა მატერიალური და შრომითი რესურსების გამოყენება, არათანაბარ პირობებში მუშაობდნენ საწარმოები, რომელთა გათანაბრების საშუალება "ასკ"-ის სისტემას არ გააჩნდა. მეურნეობებში გამეფებული იყო უპასუხისმგებლობა, უკონტროლობა და ა.შ. ყურადღება არ ექცეოდა საწარმოთა მუშაკების საბოლოო შრომითი შედეგების მიხედვით ანაზღაურებას, რის გამოც დაბალი იყო მომუშავეთა მატერიალური დაინტერესება და სტიმულირება, აგრეთვე, წარმოებისა და საფინანსო ღონისძიებების შედეგები.

1982 წელს შეიქმნა აგროსამრეწველო გაერთიანებები. მათ ორგანიზაციულ სტრუქტურაში შეყვანილი იქნა "საქსოფლტექნიკის", მელიორაციისა და წყალთა მეურნეობების, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციები დამოუკიდებლობის შენარჩუნებით. ამ გაერთიანებას მიემატა ისიც, რომ აგროინტეგრაციის ბაზაზე დაქვემდებარებაში შევიდნენ ხორცის, რძის მრეწველობის, ჩაის,

ღვინის და სხვა კვების პროდუქტების და საკონსერვო ქარხნები. ყოველივე ამის ბაზაზე აგროსამრეწველო გაერთიანება იქცა ერთიანი მართვის სისტემად, რომელშიც ამ ორგანიზაციებს ერთმანეთს აკავშირებდა ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ფინანსური და ორგანიზაციული სისტემა, რამაც თავისი შედეგი გამოიღო.

გატარებული ღონისძიებების შედეგად ამაღლდა სპეციალიზაციისა და წარმოების კონცენტრაციის დონე, ჩამოყალიბდა აგროსამრეწველო კომპლექსის მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების გარანტი. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოფლად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში, მაგრამ მიუხედავად წარმატებებისა, შეცდომებიც ბევრი იქნა დაშვებული. მაგალითად: პირველი შეცდომა იყო ის, რომ ზემოთ მინიშნებული საწარმოების გაერთიანება მოხდა მექანიკურად, არ იქნა გათვალისწინებული მათი ორგანიზაციული სტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ტექნოლოგია, კადრები.

მართვაში დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა გამოიწვია აგრარული სექტორის კრიზისულ ფორმაში შესვლა, რის საფუძველზედაც გამოიკვეთა აშკარა წინააღმდეგობა მართვის ორგანიზაციულ ფორმასა და მის ეკონომიკურ შინაარსს შორის. ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებით დასაბუთებულია, რომ არსებული კრიზისული წინააღმდეგობის დაძლევა შეიძლება სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის გზით და ეს ცხოვრებამაც დაადასტურა, მოხდა გარდაქმნა რევოლუციის გზით. 1991 წელი მართლაც ხასიათდება თანმიმდევრული რეორგანიზაციების და სტრუქტურული ცვლილებების პერიოდად. 1991 წლის შემდგომ დაიწყო საბაზრო

ეკონომიკისათვის რთული და ძნელი გარდამავალი პროცესი. ამ პროცესმა მოიცვა საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკური, ფინანსური, პოლიტიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა სფეროები.

გასატარებელმა გარდაქმნის ღონისძიებათა არასწორმა კომპლექსმა, ეკონომიკური ხასიათის დარგობრივმა და ფინანსურმა ლოკალურმა კრიზისებმა, ჩვენი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა გლობალურ კრიზისებამდე მიიყვანა. გარდაქმნები ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში (განსაკუთრებით, 1990-1994 წლები), ეროვნული ეკონომიკის ნგრევას მიეძღვნა, რის გამოც ვეღარ შევაჩერეთ საკუთარი ეკონომიკის დაღმავალი მიმდინარეობა და კრიზისიდან გამოსვლა.

ასეთივე მწვავე მდგომარეობაა სოფლის მეურნეობაში. ბოლო დრომდე
არსებული მართვის რაიონული რგოლისაგან განსხვავებით, რაიონული გამგეობის ფუნქციებში აღარ შედის მეწარმეთა საქმიანობაში ჩარევა, საწარმოო გეგმების ფორმირება, ზემოქმედება და ზეწოლა. რაიონის გამგეობა გლეხური (ფერმერული) მეურნეობის, კოოპერატიული, სახელმწიფო და სხვა საწარმოებისათვის არ წარმოადგენს სადირექტივო ორგანოს, მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს მათდამი რჩევის სახით.

ისე არ წარმოვიდგინოთ, რომ რაიონული გამგეობის სახით სადღეისოდ მოინახა უნივერსალური რგოლი, რომელიც ყველაფერს შეძლებს. მომავალში უნდა მოიძებნოს მმართველობის ახალი სტრუქტურა და ორგანიზაციული ფორმა, რადგანაც ცხოვრება

რეფორმაციასა და დინამიკას განიცდის, მითუმეტეს, რომ ჩვენმა ეროვნულმა ეკონომიკამ დიდი ცვლილება განიცადა, ცენტრალიზებული მართვის სისტემიდან გადავდივართ დეცენტრალიზებული მართვის სისტემაზე, რომელიც ემყარება საბაზრო მექანიზმს.

დაგეგმვა, მართვის მთავარი ფუნქციაა და ის ემყარება ძლიერ დეცენტრალიზაციას საბაზრო ურთიერთობის პირობებში (ვადგენთ საწარმოებში ბიზნეს-გეგმებს) თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე აგებით, ხოლო ეროვნული მეურნეობის მართვა ძლიერი (უპირატესი) ცენტრალიზაციით ხდება სახელმწიფოს მიერ, რომელშიც უნდა იდოს მართვის დეცენტრალიზებული ელემენტებიც, ე.ი. ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მართვის დონეებს განაპირობებს საკუთრების ფორმები. სახელმწიფო საკუთრების ფორმის საწარმოები დაგეგმვის და აღრიცხვის ცენტრალიზებული მართვის სისტემას გამოიყენებს, ხოლო კერძო და ჯგუფური საკუთრების ფორმის საწარმოები დეცენტრალიზებული მართვის სისტემას.

ისმება კითხვა _ ეროვნული ეკონომიკის დაგეგმვასა და მართვაში

გვქონდეს წმინდა ცენტრალიზებული სისტემა, ან წმინდა დეცენტრალიზებული სისტემა, თუ მოვახდინოთ მართვის დონეების შერწყმა? ვპასუხობთ, რომ უნდა მოხდეს მართვის დონეების შერწყმა. წმინდა კაპიტალიზმი, ან წმინდა სოციალიზმი, არცერთ ქვეყანაში არ იყო წარმოდგენილი. მაგალითად, ისეთი მოწინავე კაპიტალისტური ქვეყანა, როგორიცაა აშშ, კაპიტალისტური წარმოების წესი არც იქაა

წარმოდგენილი წმინდად, ე. ი. ამერიკული ეკონომიკა შეიძლება დავასახელოთ, როგორც შერეული კაპიტალიზმი. ეს უპირატესად საბაზრო ეკონომიკაა. მთავრობა სხვადასხვა ხერხებით ზემოქმედებს საბაზრო სისტემის ფუნქციონირებაზე. ამერიკის ეკონომიკა დიდი ბიზნესის ეკონომიკაა, რომელშიაც წამყვანი როლი უჭირავს კორპორაციათა მცირე რიცხვს. აშშ-ში ერთობლივი ეროვნული პროდუქტის დიდ მასას აწარმოებს დიდი ბიზნესი, 60%-ზე მეტს, რომელიც შეიცავს შეზღუდული ფორმით დაგეგმვისა და მართვის ცენტრალიზებულ სისტემასაც. ისე, რომ წმინდა კაპიტალიზმი არსად არ არის წარმოდგენილი.

მომავალში, საქართველოში საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლა უნდა დავიწყოთ მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმისა და მრავალწყობიანი ეკონომიკის დამკვიდრებით.

მიწა განსაკუთრებული სახის საწარმოო საშუალებაა და ნაადრევი პრივატიზაციის ჩატარების გზით (იმ დროს, როცა ხალხი მზად არ იყო მის მისაღებად), გავუფორმეთ პრივატიზების აქტები. ამ პერიოდისათვის გლეხებს მიწის დამუშავებისათვის მანქანა-იარაღები და ტრანსპორტი არ გააჩნდათ. პირველ, მეორე და მესამე წელს მოხდა ვენახებისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების გაველურება, მათი აჩეხვა და მოქმედებაში შევიდა ერთწლიანი კულტურების თესვა. ასეთმა მიდგომამ დიდი ზიანი მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოში სპეციალიზაციის ისეთ დარგებს, როგორიცაა მევენახეობა და მეხილეობა.

ამჟამად, საბაზრო ურთიერთობაზე სრული გადასვლისათვის უნდა მოიძებნოს დაგეგმვისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით

საწარმოთა ორგანიზაციული ფორმები, ამ მიმართულებითვე დამუშავებას საჭიროებს დაგეგმვისა და მართვის სტრუქტურა მაკროეკონომიკური განვითარების პირობებისათვის.

მიკროეკონომიკის საწარმოთა შრომის ორგანიზაციული ფორმების ძიების დროს მარცხი განვიცადეთ, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს ეროვნულ ეკონომიკას. გადაჭრით უნდა გავაანალიზოთ წარსულის შეცდომები და მომავალში დავსახოთ ღონისძიებები მიკრო და მაკრო დარგების ორგანიზაციული ფორმების ძიებისათვის, მათი სტრუქტურული შედგენილობის შემდგომი განვითარების მიზნით.

ახლა რამდენადმე შევეხოთ მევენახეობას, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მაპროფილებელ დარგს და გავაანალიზოთ, თუ რა ცვლილებები განიცადა 1989 წლამდე და რა მდგომარეობაშია ამჟამად საბაზრო ეკონომიკისათვის ბრძოლის გარდამავალ ეტაპზე.

აგრარულ სექტორში ისე, როგორც მთლიანად ეკონომიკის რეალურ სექტორში შექმნილი მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. აღნიშნულ სექტორში სისტემაში სათანადოდ ვერ იკავებს ადგილს მევენახეობის დარგი, რადგანაც ამ დარგშიც დაფიქსირდა გლობალური კრიზისი, განახევრდა და, უფრო მეტიც, 2002 წლის მდგომარეობით, ვენახების ფართობი 1985 წლის 127,5 ათასი ჰექტარიდან 51,5 ათას ჰექტარამდე შემცირდა, ხოლო 2000 წლისათვის 40,0 ათას ჰექტარამდე.

დღევანდელი საქართველო მწვავე ეკონომიკურ მდგომარეობაშია, საბიუჯეტო-საფინანსო კრიზისშია. ფინანსები ეკონომიკის რეალური სექტორის ორგანული შემადგენელი ნაწილია და არ შეიძლება რეალური ეკონომიკიდან ფინანსები ცალკე განვიხილოთ, ან პირიქით,

ეკონომიკის საკითხები (მეურნეობრივი პროცესები) განვაცალკევოთ. ეს ორი რგოლი ერთ მთლიან სისტემას წარმოადგენს, რაც ჰქმნის აგრარული სექტორის განვითარების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სოფლის მეურნეობის წარმოება თავისებურებებით ხასიათდება და რომ არ გავითვალისწინოთ აღნიშნული სისტემის განვითარებაში, ეს ყოვლად მიუღებელი იქნება. სოფლად მიწა, როგორც წარმოების განსაკუთრებული საშუალება და მასზე გაშენებული ნარგავები და კულტურები, მოსავლიანობა და ნაყოფიერება, ბუნებრივ-ეკონომიკურ ფაქტორებთანაა დაკავშირებული. სოფლად წარმოების ციკლი ხანგრძლივია. მოსავლის მიღება და წარმოების პროცესები ერთიმეორეს არ ემთხვევა და ა.შ. ყველა ეს თავისებურებები გასათვალისწინებელია და ღრმა ცოდნაა საჭირო. გარდა იმისა, რომ ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ პროცესებს ვახორციელებთ, ღრმად უნდა ვიცოდეთ მისი არა მარტო საწარმოო პროცესების ორგანიზაცია, არამედ წარმოებისა და დარგების ფინანსების ორგანიზაციაც. ეკონომიკის რაციონალური ორგანიზაციისა და ტექნიკური პროგრესის განვითარებასთან ერთად უკუკავშირის ასახვაა ფინანსები, ამიტომ საჭიროა ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენებაც.

გარდამავალ პერიოდში საქართველოში (1990-2002 წწ.), განსაკუთრებით, არასწორი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების გზით, ჩვენს ეროვნულ ეკონომიკას დიდი ზიანი მივაყენეთ. კოლმეურნეობებისა და მეურნეობებისათვის უნდა გამოგვეყო გარდაქმნისათვის გარდამავალი პერიოდი (7-10 წელი მაინც), რის ბაზაზედაც აღარ განადგურდებოდა ისეთი

მაპროფილებელი დარგები, როგორებიცაა: მევენახეობა, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეცხოველეობა და ა.შ.

აღმოსავლეთ საქართველოში ძლიერ დაზარალდა მევენახეობის დარგი, მისმა ფართობმა საქართველოში გარდამავალი პერიოდის დასაწყისამდე 1990 წლისათვის მიაღწია 112.8 ათას ჰექტარს, რაც 2002 წლისათვის 38,0 ათას ჰექტარამდე შემცირდა, ხოლო მოსავლიანობისა და ფართობების შემცირების საფუძველზე ყურძნის მოსავალი 3-ჯერ შემცირდა. ეს ზოგადი მონაცემები იმაზე მიგვანიშნებს, რომ მევენახეობის დარგში მნიშვნელოვნად შემცირდა მოსავლიანობის მაჩვენებლებიც.

წიგნში _ "საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები", ვკითხულობთ: "მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ტრადიციულ ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენს, თუმცა, 90-იანი წლების დასაწყისიდან დარგი სერიოზულ კრიზისს განიცდის, ბოლო 15 წლის განმავლობაში განახევრდა ვენახების ფართობები, ხოლო ყურძნის წარმოების მოცულობა დაეცა 3-ჯერ".[67]

ჩვენი შეხედულებით, გარდამავალი პერიოდის ტრანსფორმაციისათვის უნდა დაგვეტოვებინა უფრო ხანგრძლივი ევოლუციური გარდაქმნის პერიოდი, ჯერ არ უნდა დაგვეწყო მიწების პრივატიზაცია, უნდა მოგვემზადებინა ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (მცირე მექანიზმები), რაც გვქონდა მობილური ტექნიკის სახით. მისი მუშაობის ორგანიზაციული ფორმებიც არ მოვამზადეთ და არასწორად გამოვიყენეთ, რამაც ჩვენი ეკონომიკა და მისი მაპროფილებელი დარგები მიწასთან გაასწორა.

ეკონომიკას და კვლავწარმოების პროცესებს თავისი კანონზომიერებები გააჩნია. ვენახს და სხვა ნარგავების

კვლავწარმოების პროცესს დრო სჭირდება, ვენახს სრულ მსხმოიარე ასაკამდე მისვლისათვის გაშენებიდან _ 5 წელი, სხვა ნარგავებს უფრო მეტი. ასე რომ, ვინმეს გადაწყვეტილებებით და პარლამენტის დადგენილებებით, ვენახი მოსავალს ვერ მოგვცემს. ცუდად ვმართეთ ჩვენი ეკონომიკა ბოლო ათწლეულში და ეროვნული ეკონომიკის კრიზისიც სახეზე გვაქვს.

იმისათვის, რომ მომავალში მევენახეობის დარგმა შეასრულოს აგრარულ სექტორში თავისი დანიშნულება და მოვახდინოთ შემდგომი განვითარება, საჭიროა გატარდეს ეკონომიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც საჭიროებს შესაბამის ფინანსურ უზრუნველყოფასაც, რაც გამოიხატება შემდგომში:

1. დასამუშავებელი გვაქვს შრომის პროცესთა განხორციელების რაციონალური ორგანიზაციის ფორმები, დეცენტრალიზებული მართვის სისტემაზე გადასვლამ შეცვალა საკუთრებისა და შრომის ორგანიზაციული ფორმები. ვფიქრობთ, ინდივიდუალური, კერძო შრომის პირობებში, კარგი იქნება საწყისად საიჯარო შრომის ფორმების დანერგვა, შემდგომ ეტაპზე კი უნდა გადავიდეთ უფრო მაღალ ფორმებზე. აგროსააქციო საზოგადოებისა და აგროკომპლექსის სისტემის განვითარების ბაზაზე მუშაობა მართვის გაუმჯობესების მიმართულებით მკვეთრად უნდა შევცვალოთ;

2. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა არ უნდა მოვახდინოთ კლასიკური ეკონომიკის, ქვეყნის “ტრანსფერენტულად” გადმოტანით, არამედ, უნდა გავითვალისწინოთ ათწლეულის შეცდომები, ღრმად გავაანალიზოთ ის და დავსახოთ ეკონომიკურ-ფინანსური გარდაქმნის ღონისძიებანი;

3. საქართველოს აგრარული ეკონომიკისა და აქედან, მევენახეობის განვითარება, მჭიდრო კავშირშია მატერიალური და ტექნიკური მომარაგების საკითხებთან. მცირე ბიზნესის განვითარებას მცირე მექანიზმები სჭირდება. მოსაფიქრებელია ტექნიკით და მექანიზმებით მომარაგებისა და მომსახურების ორგანიზაციული ფორმები.

4. უნდა შეიქმნას ინფრასტრუქტურის მომსახურების დარგები, რადგანაც 2002 წელს სამრეწველო გადამუშავების საწარმოებმა ყურძნის მოსავლის მხოლოდ 10% შეისყიდა და გადაამუშავა;

5. დასახვეწია და სრულყოფას საჭიროებს მიწისა და მიწათ-სარგებლობის (მიწათსაკუთრების) შეფასებისა და სხვა საკითხები;

6. უნდა მოიძებნოს თავისუფალი და მიზნობრივი ბაზრები, გაუმჯობესდეს საბაზრო ფასები, თუ არა და ქართველი გლეხი, მიუხედავად იმისა, რომ შვილივით ძლიერ უყვარს ვაზი, მომავალშიც აჩეხავს და მის ფართობზე მოიყვანს საზამთროს.

ახლა რამდენადმე შევეხოთ, ადრინდელ (1990 წლამდე) და შემდგომი პერიოდის მევენახეობის დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფისა და ტექნიკური პროგრესის საკითხებს.

სოფლის მეურნეობაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ქვეშ იგულისხმება შრომის საშუალებათა ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საწარმოებლად. მასში შედის მიწა, შენობები, ნაგებობები, ტრაქტორები, ავტომობილები, მუშა მანქანები და მოწყობილობები, საწარმოო და სამეურნეო ინვენტარი და ა.შ.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფა და განვითარება წარმოებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების

ინტენსიფიკაციის, ახალი ტექნიკისა და ტექნიკური პროგრესის დანერგვის, წარმოების პროცესების ტექნიკური უზრუნველყოფისა და შეიარაღების ბაზაზე.

აღსანიშნავია განსაკუთრებით ის გარემოება, რომ ძირითადი კაპიტალი, რომელიც ებმება წარმოების პროცესში, იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიყენებიან და რა ღირებულებას ქმნიან ისინი, იყოფიან აქტიურ და პასიურ შემადგენელ ნაწილებად. პასიურში შედიან ისეთი სახის შრომის საშუალებები, რომლებიც მონაწილეობენ შრომის პროცესში და ადგილსამყოფელს არ იცვლიან. ასეთებია: შენობები, ნაგებობები და სხვა, ხოლო აქტიურში შედის მობილური ტექნიკა, რომლის აქტიურ მოქმედებაზე ბევრადაა დამოკიდებული შრომის პროცესებიდან მიღებული შედეგები. ენერგოშეიარაღებისა და წარმოების პროცესების ენერგოუზრუნველყოფის დონეზე ბევრადაა დამოკიდებული შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების ეფექტიანობის დონე.

საბაზრო ეკონომიკის დანერგვისათვის ბრძოლის გარდამავალ გზაზე მეტად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკური პროგრესისა და კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებას. კომპლექსური მექანიზაცია უნდა განხორციელდეს მანქანური სისტემების დანერგვის ბაზაზე, რომელთაც ექნებათ დამუშავებული შესაბამისი შრომის პროცესთა მართვის ტექნოლოგიები.

შრომის პროცესთა უნიფიკაციის, ავტომატიზაციის, სამუშაოთა აგრეგატში შესრულების პროცესში უფრო მაღალი ეფექტი მიიღება იმ შემთხვევაში, როცა შემუშავებულია საწარმოო პროცესთა ტექნოლოგიური აღწერილობა და მას სრულად შეესაბამება მანქანური

სისტემები. გადავხედოთ, ახლა როგორ გვაქვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის საქმე სადღეისოდ არსებულ მცირე საწარმოებში და როგორია ტექნიკური შეიარაღების, საწარმოო პროცესების ტექნიკური უზრუნველყოფის დონე საბაზრო ურთიერთობის პირობებში.

რა თქმა უნდა, 1989 წლის რევოლუციური გარდაქმნის ბაზაზე უარვყავით ცენტრალიზებული მართვის საბჭოთა სისტემა და გადავედით დეცენტრალიზებული მართვის სისტემაზე, რამაც საქართველოს ეკონომიკას დაშვებული შეცდომების გამო არასასურველი შედეგები მოუტანა. მართვის სისტემა დარგობრივი მეცნიერული ორგანიზაციის მართვის ცოდნაა, რომელიც ვითარდება თეორიული ეკონომიკის, დარგობრივი ეკონომიკური მეცნიერების, შრომის ეკონომიკის, კიბერნეტიკის, ტექნიკისა და ტექნიკური ესთეტიკის და სხვა მეცნიერების ბაზაზე.

ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ 1990-1995 წლის ოქტომბრამდე განხორციელებულმა არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, საქართველოს ეკონომიკას ნგრევა მოუტანა. უარესი მდგომარეობა განვითარდა შემდგომ პერიოდშიც, რაც გამოიწვია მართვის სისტემის, მარკეტინგის, ბიზნესისა და მენეჯმენტის არცოდნამ, საიდანაც ჯერჯერობით თავს ვერ ვაღწევთ. მაშასადამე, მართვა შეიძლება განხორციელდეს ძლიერ დეცენტრალიზებული, ძლიერ ცენტრალიზებული, ან მართვის კოორდინირების პრინციპების საფუძველზე.

ჩვენი შეხედულებით, საბაზრო ეკონომიკისათვის ბრძოლის გარდამავალ ეტაპზე უნდა გამოყენებულიყო მართვის

კოორდინირების მეთოდი, რაც საშუალებას მოგვცემდა ცენტრალიზებული მართვის სისტემიდან თანდათანობით (ეტაპობრივად) განხორციელების გზით დეცენტრალიზებული მართვის სისტემაზე გადასასვლელად.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გარდამავალ ეტაპზე განხორციელდა უსისტემო ორგანიზაცია, რამაც გამოიწვია ეკონომიკის მართვის ქაოსი. როგორც ცნობილია, მართვა, ეს არის მიზანშეწონილი მოქმედების ორგანიზაცია, ადამიანთა მოქმედების კოორდინაცია, სისტემის ახალ მდგომარეობაში გადაყვანის პროცესი. მართვა ხორციელდება დინამიურ პროცესში, სადაც სისტემა არ არის, იქ არც მართვა ხორციელდება.

სისტემა არის ელემენტთა ორგანიზებული მრავლობა, ურთიერთდა-კავშირებულ ელემენტთა კომპლექსი, მათი ურთიერთშეერთება და ზემოქმედება, რომელთა გამოც მოქმედებს მთელი სისტემა რაიმე ფუნქციის შესასრულებლად.

სისტემა და ორგანიზაცია ორგანულ მთლიანობაში იმყოფება. ორგანიზაცია არის სისტემის მოწესრიგებულობა, დინამიურად ურ-თიერთდაკავშირებულ ელემენტთა კომპლექსურობა, ურთიერთშეერთება და ზემოქმედება, რომელთა გამოც მოძრაობს მთელი სისტემა რაიმე ფუნქციის შესასრულებლად. ამრიგად, სისტემა მიზნობრივი წარმონაქმნია, რომელიც უამრავი ტიპისაა ბუნებასა და საზოგადოებაში. ერთ-ერთ ასეთ სისტემას წარმოადგენს სამრეწველო საწარმო, რომელიც მუშაობს მართვის ცენტრალიზებული, ან დეცენტრალიზებული სისტემით. თუ მართვა დეცენტრალიზაციით ხორციელდება, მაშინ საქმე გვაქვს საბაზრო ურთიერთობის

საწარმოსთან, რომელსაც გააჩნია შრომის შიგა ორგანიზაცია. სისტემა წარმოიქმნება იმისათვის, რომ ბიზნეს-გეგმის, მარკეტინგის და მენეჯმენტის საფუძვლებით ვმართოთ შრომის პროცესი.

მაშასადამე, გარდამავალ ეტაპზე ვერ შევინარჩუნეთ მატერიალურ- -ტექნიკური ბაზა. არასწორი ორგანიზაციის განხორციელებით გავანადგურეთ სასოფლო-სამეურნეო მობილური ტექნიკა, არ შეიქმნა მექანიზებული მომსახურების ორგანიზაციული ფორმები, რის გამოც მოხდა ტრაქტორების, კომბაინების და სხვა ტექნიკის დატაცება, განადგურება. ტექნიკური უზრუნველყოფისა და აღჭურვილობის დონეზე ხომ მთლად ზედმეტია ლაპარაკი. ჩვენ ეს შეცდომები უნდა ვაღიაროთ!

§ 1.2 საბაზრო ეკონომიკის მოდელისათვის აუცილებელი, პრიორიტეტულ საწარმოთა ორგანიზაციული ფორმების შერჩევა და ფორმირება

ეკონომიკური, ორგანიზაციული და მმართველობითი კავშირების შექმნა სოფლის მეურნეობაში საბაზრო ეკონომიკისათვის ბრძოლის გარდამავალ ეტაპზე სულ უფრო რთული ხდება. წარმოების თვისობრივად ახალი ორგანიზაციული ფორმის წარმოქმნა, რის საფუძველზედაც მივაღწევთ წარმოების კარგ ფინანსურ შედეგებს, მეტად რთული პროცესია. ამ მიმართულებით უნდა ვიფიქროთ წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების წარმოქმნაზე.

“წარმოება, დამზადება, გადამუშავება, შენახვა და რეალიზაცია” _

შეიცავს კვლავწარმოების კლასიკურ პროცესებს: წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სტადიებს, რაც სოფლის მეურნეობაში მეტად რთული პროცესია. ყველა ეს პროცესები ერთიმეორესთან დაკავშირებულია ტექნოლოგიურად, ეკონომიკურად, ორგანიზაციულ-ფუნქციონალურად, ხოლო წარმოებით ურთიერთობათა და ფინანსური ურთიერთობის გარკვეულ ეტაპზე აუცილებელი ხდება მათი ორგანიზაციული შეთანაწყობა (ერთიანობა).

აგრარული ინტეგრაცია ნიშნავს სოფლის მეურნეობის პროცესების შეერთებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებით მრეწველობასთან. ცხადია, საკუთარი წარმოების სანედლეულო ბაზაზე განხორციელებული ინტეგრაცია გვაძლევს იაფ სანედლეულო ბაზას. იმ შემთხვევაში, როცა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავება ხდება მართვის ერთი დონის ქვეშ და მთლიანი შედეგები აისახება საწარმოს სამეურნეო-ეკონომიკურ და ფინანსურ შედეგში, ასეთი გარდაქმნა კარგ შედეგს იძლევა აგრარული სექტორის პროცესების ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში. ინტეგრაცია არის კოოპერირების შემდგომი ძირითადი ეტაპი, ამდენად, შრომის უფრო მაღალი ფორმაა, ამიტომ ინტეგრაციას კოოპერირებასთან აქვს ძირითადად საერთო და ამავე დროს განმასხვავებელი ფორმა.

ამ მიმართულებით ლაპარაკია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის, კოოპერირებისა და ინტეგრაციის პროცესებზე, არა უბრალო ტექნიკურ შეერთებაზე, არამედ იმ რთულ პროცესებზე, რაც ორგანულად დაკავშირებულია წარმოებისა და წარმოებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, ორგანიზაციული ფორმების

სტრუქტურულ შედგენილობებსა და საანგარიშსწორებო-საფინანსო ურთიერთობებზე, რის საფუძველზედაც წარმოიქმნება ერთიანი საწარმოთა ორგანიზაციული ფორმა.

ამჟამად ისმება საკითხი _ მივმართოთ თუ არა სოფლად შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფორმების, მცირე საწარმოების (ფერმერული და გლეხური მეურნეობების) გამოყენებას, შრომის ურთიერთობაში იჯარული ფორმით დანაწილების გზას? რა თქმა უნდა, სანამდე გადავიდოდეთ წარმოებისა და შრომის პროცესების დანაწილების მაღალ დონეებზე, ჯერჯერობით უნდა გამოვიყენოთ კერძო და ჯგუფური წარმოების ორგანიზაციული ფორმები, ხოლო შემდგომ ეტაპებზე საწარმოო საშუალებებისა და სამუშაო ძალის განვითარების კვალობაზე უნდა გადავიდეთ სპეციალიზაციის, კოოპერირებისა და ინტეგრაციის მაღალ დონეზე, რაც მომავალში მოგვცემს განვითარების უფრო კარგ შედეგებს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა უნდა დაგვეწყო მრავალწყობიანი ეკონომიკის დამკვიდრებით, სადაც წვრილი ფერმერული მეურნეობები მიწის მესაკუთრენი იქნებოდნენ. მათ ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩამოყალიბდება ახალი ტიპის გლეხი, ფერმერი, რომელთა საშუალებითაც ჩვენ უნდა ვმართოთ ეკონომიკური და სოციალური პროცესები, რაც დაექვემდებარება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. მიწაზე კერძო საკუთრება წარმოშობს მესაკუთრეს, გლეხს, რომელიც თავისუფალია და ემორჩილება მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს, კონკურენციისა და ფასწარმოქმნის ბაზრის კანონებს.

როგორც ცნობილია, პრივატიზაციის პროცესი მიწების

პრივატიზაციით დაიწყო. ფერმერულ და გლეხურ მეურნეობაში მაღალმწარმოებლურობასთან ერთად ვლინდება ადამიანის ცხოვრების, შრომისა და დასვენების ისეთი მატერიალური და ფსიქოლოგიური ასპექტი, რომელიც მათი ცხოვრების გენეტიკურ მახასიათებლად იქცა. ფერმერული და გლეხური მეურნეობა საქართველოსათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ფორმაა, ამიტომ ამ ფორმებით შრომის განვითარება ჩვენი აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად უნდა ჩავთვალოთ.

არ შეიძლება საბაზრო ურთიერთობის გარდამავალ ეტაპზე ხაზი არ გაესვას იმ გარემოებასაც, რომ წვრილ, დაქუცმაცებულ გლეხურ მეურნეობებში მექანიზმების გამოყენება (მცირე მექანიზაციისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით) მაღალ დონეზე ხდება. ეს გამომდინარეობს გლეხის კერძო ინტერესებიდან და შრომის მწარმოებლურობის დონეც მაღალია. რაც შეეხება სპეციალიზაციის, კოოპერირებისა და ინტეგრირების საკითხებს, ეს უნდა გადაწყვიტოს შრომის ორგანიზაციის უფრო მაღალი ფორმების დამკვიდრებამ, როგორიცაა, აგრარულ სექტორში სააქციო საზოგადოებების გაერთიანების ბაზაზე წარმოქმნილი კორპორაციული და კომპანიური გაერთიანებები, რომელთა პროცესში უნდა შევიდნენ აგრეთვე, ბანკები და სხვა საფინანსო დაწესებულებებიც. ისინი დარგობრივი ნიშნის მიხედვით მოახდენენ წარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის დაფინანსებას.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს მეურნეობრიობის ორგანიზაციული ფორმების სწორად განსაზღვრას. მისი ფორმა უნდა შეესაბამებოდეს შინაარსს, შრომით პროცესს, შრომით ჩვევებს და

ტრადიციებს. ბუნებრივ- -ეკონომიკური პირობები, ეკონომიკის თავისებურებანი და სხვა პირობები განსაზღვრავენ აგრარული მეურნეობრიობის ფორმას, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მეურნეობრიობის ორგანიზაციული ფორმა აუცილებლად უნდა უზრუნველყოფდეს დარგის ორგანიზაციის ეკონომიკურ ეფექტიანობას.

გლეხური (ფერმერული) მეურნეობა ინდივიდუალური საქმიანობის ფორმაა და კომლის (ოჯახის) ფარგლებშია წარმოდგენილი. განსხვავება იმაშია, რომ ფერმერულ მეურნეობას გადაეცემა მიწა საკუთრების უფლებით, პრივატიზაციის აქტით, სასაქონლო პროდუქციის წარმოების მიზნით. გადასაცემი სავარგულის ზღვრული ნორმა განისაზღვრება ადგილობრივ საწარმოო-ბუნებრივი პირობების შესაბამისად არსებული სავარგულის შესაძლებლობების პირობებში, რათა მან აწარმოოს სასაქონლო პროდუქცია. საკარმიდამო ნაკვეთზე კი წარმოებული პროდუქცია ძირითადად ოჯახს ხმარდება და ბაზარზე მხოლოდ ნამეტი პროდუქცია გადის, ფერმერული მეურნეობის პროდუქცია კი ძირითადად ბაზარზე იყიდება.

ამრიგად, ჯერჯერობით გლეხური (ფერმერული) მეურნეობა უნდა მივიჩნიოთ შრომის ორგანიზაციის ოპტიმალურ ფორმად. ეს ფორმა ფართო განვითარებას მიიღებს მეხილეობაში, მევენახეობაში, მეცხოველეობაში, მარცვლეულის წარმოებაში და ა.შ. პირველად შრომის ორგანიზაციის ფორმას ექნება მრავალდარგოვანი განვითარების სახე, რომელთაც დასჭირდება შეთანაწყობილი განვითარება, ხოლო, როდესაც ბაზარი გაჯერდება პროდუქციით და

სტაბილური გახდება კონკურენციის კანონი, მოხდება მეურნეობების გამსხვილება და გამოიკვეთება კოოპერირებისა სპეციალიზაციის დონე.

გლეხური (ფერმერული) მეურნეობა არის იურიდიული პირი, რომელსაც ბანკში ეხსნება ანგარიში, მას შეუძლია შევიდეს ნებისმიერი გაერთიანების შემადგენლობაში, თუ შეესაბამება მის ინტერესებს. მიწაზე წესდება გადასახადები საქართველოს საგადასახადო კანონთა კოდექსის №150 მუხლის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ გადასახადს და დიფერენცირებულია საქართველოს რეგიონების, რაიონების და მიწის კატეგორიების მიხედვით. გადასახადები დადგენილია (კარგი, მწირი და საშუალო მიწების მიხედვით) იმდაგვარად, რომ მისი ნიხრები საშუალებას აძლევს მწარმოებელს აწარმოოს უხვი პროდუქცია. მის გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებენ რაიონის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები.

ფერმერული მეურნეობები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ კანონის საფუძველზე, რომელთა მიმართ შემუშავებულია სამართლებრივ-ნორმატიული აქტები. მათ დებულებაში გათვალისწინებული აქვთ მოქმედების ზღვრული ვადები და შემდეგ, თუ მათ არ გამოიყენეს მიწის ნაკვეთები ნაყოფიერად და აწარმოეს მიწის არასწორი ექსპლოატაცია, ეს გამოიწვევს მიწის უნაყოფობას. ამ შემთხვევაში შეიძლება შეწყდეს ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირება, ხოლო მის საკითხს საბოლოოდ წყვეტს სასამართლო.

სოფლის მეურნეობაში, გარდა გლეხური (ფერმერული) მეურნეობებისა, შეიძლება გვქონდეს კოოპერატივები, ანუ შრომის

კოლექტიური ფორმა, რომლებსაც აქვთ დებულება და შრომითი შედეგების მიხედვით განაწილების ფორმა. შეიძლება გვქონდეს აგროკომბინატი, სადაც ხდება ინტეგრირებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, გადამუშავება და რეალიზაცია. მათ მომავალში ფართო განვითარების პერსპექტივები აქვთ.

არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ სახელმწიფო საწარმოო ერთეულებს, რომლებიც არსებობენ საქალაქო და საგარეუბნო ზონებში, ან დარჩა სახელმწიფო საწარმოდ პრივატიზების გარეშე, აგრეთვე, სახელმწიფოს სტრატეგიული წარმოების ზონებში, მათ ბაზაზე შეიძლება წარმოიქმნას სახელმწიფო მეურნეობები, რომლებიც უნდა განსხვავდებოდნენ ცენტრალიზებული მართვის ტიპიური საწარმოებებისაგან.

საბაზრო ეკონომიკისათვის ბრძოლის გარდამავალ ეტაპზე აუცილებელია სოფლისათვის სახელმწიფო მხარდაჭერა, რადგანაც მთელი მსოფლიოს მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოდგენილია სახელმწიფო ბიზნესი ცენტრალიზებული მართვის პრინციპებით, შეზღუდული (შეკვეცილი) ფორმით, რომელსაც მართავს სახელმწიფო და მათი დახმარებით არეგულირებს თავისუფალ ბაზარს, თუმცა, აშშ-ში სახელმწიფო საწარმოთა პროდუქცია მთელს "ევპ-ში" წარმოდგენილია 58-62% წლების მიხედვით ისე, რომ წმინდა კაპიტალიზმი არცერთ ქვეყანაში არ არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ 1995 წლის შემდგომ გამოცოცხლება იწყო ეკონომიკის რეალურმა სექტორმა, მაგრამ სოფლის მეურნეობაში, რაც აისახება ეკონომიკაში კრიზისულ მდგომარეობაა. კრიზისის

გაღრმავების მთავარი მაჩვენებლებია: საკუთარი პროდუქციის წარმოების მაჩვენებლების დაცემა, საბაზრო მოთხოვნილებათა საკუთარი წარმოების პროდუქციით დაუკმაყოფილებლობა, მართვის ეკონომიკური და ორგანიზაციული ფორმების მოშლა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განადგურება-დატაცება (არასწორი პრივატიზების შედეგებით გამოწვეული), ფრინველისა და პირუტყვის სულადობის შემცირება, პროდუქტიულობის შემცირება, საშემსრულებლო დისციპლინის სრული იგნორირება, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა, "სამეურნეო "ჩემოკრატობანას" თამაშის შემოღება".

ყოველივე ამის შემდეგ, ახლა ლაპარაკია საბაზრო ეკონომიკისათვის ბრძოლის გარდამავალ გზაზე შევარჩიოთ პრიორიტეტული დარგები, განსაკუთრებით აღსანიშნავია მევენახეობის დარგი, რომლის ფართობი განახევრდა, ყურძნის მოსავალი სამჯერ შემცირდა, ამდენჯერვე შემცირდა მისი ეფექტიანობის მაჩვენებლებიც.

მევენახეობის დარგის ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების, მიწოდების სისტემების და სტრუქტურების მოშლა _ საწვავის, მარაგნაწილების, ტექნიკის, ტრანსპორტის, შხამქიმიკატების, მედიკამენტების მიწოდების მოშლა. უფრო მეტიც, შემცირდა მთავარი გარანტი - ვენახების ფართობი, რომელთა აღდგენას 1990 წლის დონეზე 10-15 წელიწადი მაინც დასჭირდება. მოხდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დანაშაულებრივი განადგურება, პასუხი კი არავის უგია.

არასწორი და არაკომპენტენტური მართვის შედეგად საწარმოებში (ფირმებსა და კოოპერატივებში) მთლად მოიშალა აღრიცხვა-

ანგარიშგება, განუკითხაობა გამეფდა სოფლის მეურნეობის მართვაში. თუ ასე გაგრძელდა, დაღუპვა გარდაუვალია! მუდამ ხომ არ ვიცხოვრებთ უცხოური ინვესტიციების ხარჯზე. მოცემული მომენტისათვის საშინაო და საგარეო ვალებმა კატასტროფულ ციფრს მიაღწია. მეტად მცირეა საკუთარი კაპიტალდაბანდებათა სახსრები. ჩვენი ეკონომიკა უცხოელთა ეკონომიკის დანამატად და ლარი კი _ სახეშეცვლილ დოლარად იქცა. დემოკრატია და თავისუფლება ქაოსი არ არის, არამედ ის საბაზრო ეკონომიკის სახალხო მართვის ძალაუფლებაა.

განვლილი ათწლეულის ანალიზი გვიჩვენებს, რომ თუ მიღებული არ იქნა განსაკუთრებული ზომები, კიდევ უფრო გაუარესდება მდგომარეობა და მის აღდგენას 1990 წლის დონეზე მეტად ხანგრძლივი დრო დასჭირდება. დეცენტრალიზებული მართვის სისტემის საწარმოები სათანადოდ ვერ ფუნქციონირებს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია კი საჭიროა გადამუშავებითი მრეწველობისათვის, რაც უნდა შეივსოს იმპორტით, ის კი საკუთარი წარმოების განვითარების საშუალებას არ იძლევა. როგორც ვხედავთ, პროცესი თანდათანობით მწვავდება და ისმება კითხვა: მაშ სად ვეძებოთ გამოსავალი? გამოსავალი უნდა ვეძიოთ ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებაში. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ბაზარი ითვალისწინებს მწარმოებლისა და მომხმარებლის კეთილდღეობას, თუ აძლიერებს წარმოების სტიმულებს, ითვალისწინებს კონკურენციასაც და სახელმწიფო ახდენს თავისუფალი ბაზრის რეგულირებას, აორგანიზებს წარმოებასა და მოთხოვნილებას შორის ურთიერთობებს, ახდენს მმართველობითი

ფუნქციების ეფექტიან გამოყენებას.

აგრარული სექტორის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის შესახებ არსებობს მრავალი მოსაზრება, ამიტომ ჩვენ გამოვდივართ იმ ალტერნატიული მოსაზრებიდან, რომ საბაზრო ეკონომიკამ დაიწყოს ნორმალური ფუნქციონირება სოფლად და ეს რომ გაკეთდეს, დიდად არის დამოკიდებული საქართველოს აგრარული სექტორის შემდგომ მდგომარეობაზე. სასურსათო-სანედლეულო პრობლემა თუ არ იქნება გადაწყვეტილი, ვერ იმუშავებს გადამუშავებითი მრეწველობა, ვერ დაკმაყოფილდება მოთხოვნები სურსათზე და აქედან, ისევ დამოკიდებული ვიქნებით უცხოეთის ინვესტიციებსა და იმპორტზე, რაც საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის არ ივარგებს.

დღეისათვის მთავარია სწორად განვსაზღვროთ აგრარული ეკონომიკის განვითარების ტემპები, ეტაპები და თავისებურებანი, ორგანიზაციული და ეკონომიკური სტრუქტურები. უნდა ვიცოდეთ საიდან ვიწყებთ, რით ვიწყებთ, რა უნდა ვაწარმოოთ და რამდენი, რით უნდა ვაწარმოოთ, ვისთვის და რომელი ბაზრისთვის და ა.შ. თუ არ დადგინდა განვითარების პარამეტრები, თუ არ გამკაცრდა მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელში შეგვრჩება საბაზრო ქაოსი და არა საბაზრო ეკონომიკა (“გაბაზრებული ეკონომიკა”).

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეტაპები ზუსტად უნდა განისაზღვროს, რაშიც მეცნიერებამ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს. საქართველოს ეკონომისტთა ძლიერი სამეცნიერო პოტენციალი გააჩნია.

_ საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს თავისუფალ განვითარებას, რომელსაც რეგულირებას გაუკეთებს სახელმწიფო თავისუფალი

ბაზრის მოთხოვნა-მიწოდებისა და კონკურენციის განვითარების ბაზაზე. თავისუფლებასაც თავისი ზღვარი გააჩნია. ბაზრის სახელმწიფო რეგულირება საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც დიდად ირღვევა ბაზრის წონასწორული ფასი.

_ არსებობს საბაზრო ურთიერთობის გეგმურ-ცენტრალიზებული მართვის სისტემა, რომლის გამოცდილებაც წარსულიდან გვაქვს, მაგრამ არა გვაქვს ცენტრალიზებული მართვის სისტემიდან დეცენტრალიზებულ მართვის სისტემაზე გადმოსვლის გამოცდილება. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა თავისუფალ მეწარმეობაზე გადასვლას ნიშნავს, რაც შეიძლება გაკეთდეს გონივრული გათვლებისა და მაღალი დონის მართვის განხორციელების ბაზაზე და არა ისე, როგორც ეს მოხდა საქართველოში სტიქიურად ჩატარებული პრივატიზაციის გზით.

_ სწორი არ იქნება, თუ ვიხელმძღვანელებთ მხოლოდ კლასიკური მოდელებით და სქემებით, იმიტომ, რომ სხვა ქვეყნების მოდელების "ტრანსფერენტულად" გადმოტანა და მორგება ჩვენს ეკონომიკაზე, არ მოგვცემს კარგ შედეგებს. გათვალისწინებული უნდა იქნას ეროვნული ეკონომიკის თავისებურებები, ქართველი გლეხის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფსიქიკა, შრომისმოყვარეობა და თავისებური კულტურა.

_ მევენახეობის დარგის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანა უნდა მოხდეს სტრატეგიული მიზნით, დარგის განვითარებისათვის. რამ გაანადგურა და ვინ გაანადგურა მევენახეობა? სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, ბაზრის მოთხოვნებმა, კონკურენციამ და ფასწარმოქმნამ. მას სახელმწიფოს

მხრივ დამცავი მექანიზმი უნდა შეემუშავებინა.

_ აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს ინფრასტრუქტურის დარგები, თორემ ბაზარი საქმიანობის მიმართ დაუნდობელია. უნდა მოწესრიგდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის ქსელები. საქონლის მომხმარებლამდე მისატანად გარკვეული რგოლები და სისტემებია საჭირო. ავიღოთ თუნდაც თავისუფალი ბაზარი, მას საგადასახადო სისტემის ორგანიზაციის მიერ მოწესრიგება სჭირდება.

ბაზრის მექანიზმი _ შემოსავალ-გასავალი, მოგება-ზარალი ცვლილებებს განიცდის. მოთხოვნა-მიწოდება, მათი შესაბამისობა, კონკურენცია, ფასწარმოქმნა რთული მექანიზმია და ზოგ შემთხვევაში სახელმწიფო რეგულირებას საჭიროებს.

_ საქართველოს სოფლის მეურნეობა, და აქედან, მევენახეობა რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადავიდეს, საჭიროა მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის წესების კანონით დარეგულირება, წარსულის დირექტიული კანონების მთლიანად შეცვლა. საბოლოოდ უნდა განისაზღვროს მიწის ღირებულების საკითხი, მიწა დეცენტრალიზებული მართვის სისტემაში ღირებულებას უნდა წარმოადგენდეს, ხოლო სახელმწიფო საწარმოებს მიწა სარგებლობის უფლებით უნდა გაუფორმდეთ. ეს საკითხი საბოლოო გადაწყვეტას საჭიროებს.

_ საბაზრო ეკონომიკას მართვა სჭირდება, თავისუფალი ბაზარი რომ არ ვმართოთ, ის ყოველთვის კატასტროფამდე მიგვიყვანს.

გამომძალველობამ, მექრთამეობამ, კორუფციამ (თუმცა ძლიერ

იზღუდებოდა) დაღუპა საბჭოთა ტოტალური ეკონომიკა. ეს საფრთხე ემუქრება საბაზრო ეკონომიკასაც. კორუფციის მაღალი ხვედრითი წონა აღინიშნა მშპ-ში, რომელიც 40-45 და უფრო მეტი პროცენტია. ამასთან, სოფლად გლეხი თავისუფალი არ იყო, როგორც მწარმოებელი, ბაზრები ჰქონდათ თავისუფალი საკოლმეურნეო ბაზრების სახით, ეკონომიკას ტოტალური დიქტატი არეგულირებდა, სადაც მართვის სადავეები იმართებოდა ცენტრალიზებულად ქვედა შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად, რამაც საბჭოთა ეკონომიკის კრახი განაპირობა.

_ პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ეკონომიკა ნორმალურად ვერ ფუნქციონირებს, ეკონომიკის რეალური სექტორი კრიზისულია (მითუმეტეს, საქართველოში 2001 წელი გვალვიანი და ნაკლებმოსავლიანი იყო) ფულის ინფლაციისა და დევალვაციის პირობებში.

ამის შესახებ პროფ. ნ. ჭითანავა წერს _ "საშუალო და წვრილი კომერცია, დიდი და მცირე ბიზნესი, დღეს ძირითადად ვითარდება ძარცვის, კორუფციისა და სპეკულაციის გზით ნაშოვნი კაპიტალისა და პროდუქციის მიმოქცევის ხარჯზე. ეს არ არის ჯანსაღი, ცივილიზებული ბიზნესისა და კომერციის გზა".[53]

შიდა კრედიტების, უცხოური ინვესტიციების გამოყენების ქმედითი სისტემის შემუშავება აუცილებელი პირობაა საბაზრო ეკონომიკის ფორმებისათვის. დღევანდელ დონეზე მისი მართვა კატასტროფის ჩიხში მიგვიყვანს. ამ მიმართულებით სახსრების ეფექტი ძალზედ დაბალია, იმიტომ, რომ ძლიერ კორუფცირებულია.

საბჭოთა ეკონომიკაში ბევრ დადებით მოვლენებსაც ჰქონდა

ადგილი. არ შეიძლება არ აღინიშნოს სოფლად საწარმოო ძალების განვითარების, აგრარული მეცნიერების, განათლებისა და კულტურის დარგში მიღწეული შედეგების მნიშვნელობა. ახლა საჭიროა ღრმად გავაანალიზოთ წარსულის შეცდომები, სწორად განვსაზღვროთ აგრარული პოლიტიკა, ქართული სოფლის განვითარების პერსპექტივები.

§ 1.3 მევენახეობის დარგის სპეციალიზაცია, კოოპერირება და ინტეგრაცია, მისი მეურნეობრიობის განვითარების ფორმები

მევენახეობა საქართველოს ისტორიაში განიხილება დარგთაშორის უძველეს დარგად, რომლის წარმოება ჯერ კიდევ ცნობილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მევენახეობას ჩვენს ეროვნულ ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უკავია. იგი აღმოსავლეთ საქართველოსათვის წარმოადგენდა სპეციალიზაციის დარგს, რომლის ხვედრითი წონა საერთო და სასაქონლო ეროვნულ პროდუქციაში იკავებდა 75-80%-ს. საბაზრო ურთიერთობისათვის ბრძოლის გარდამავალ გზაზე (1990-2002წწ.) მისი ფართობი საგრძნობლად შემცირდა, რაც განაპირობა საბაზრო მოთხოვნებმა (ყურძნის პროდუქტებზე ფასის დაცემის გამო) და მისი ადგილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დაიკავა ისეთი დარგებისა და კულტურების განვითარებამ, რომელიც მაღალშემოსავლიანია, ერთეული პროდუქციის წარმოება იაფი ჯდება და მაღალი ეფექტიანობით ხასიათდება.

მოსავალს ოდითგანვე გლეხი "ჭირნახულს" ეძახდა და იმდენად დიდი იყო სიყვარული ვაზის კულტურისა, რომ 1990 წლამდე მისი

ფართობი და მოსავალი 1940 წლის დონესთან შედარებით 3-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა. ამჟამად კი 2002 წლის დონესთან შედარებით განახევრდა.

მევენახეობის დარგის შემდგომ გაფართოებასა და განვითარებაში პრიორიტეტი ეკონომიკური მართვის გაუმჯობესებას ენიჭება. უნდა გაძლიერდეს მევენახეობის დარგის შიგასამეურნეო დაგეგმვა (ბიზნეს - გეგმების შედგენა), უფრო ოპერატიული გახდეს მართვა. მოწესრიგდეს მიზნობრივი, თავისუფალი და რეგულირებული ბაზრების მოძებნა, რათა გაუმჯობესდეს საბაზრო ფასი. ამასთან ერთად, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს წარმოების ფასწარმოქმნის საკითხებს, რომელმაც შეფარდებითობით უნდა გაუძლოს კონკურენციას და საბაზრო ფასწარმოქმნის საკითხებს. მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს შრომის პროცესების ტექნიკური აღჭურვილობისა და უზრუნველყოფის დონე, რათა ამაღლდეს შრომის მწარმოებლურობა, დარგის ეფექტიანობა.

იმისათვის, რომ განისაზღვროს წარმოების მიმართულებები და დადგინდეს დარგთაშორის განვითარებაში წამყვანი მაპროფილებელი დარგი, საჭიროა დადგინდეს დარგობრივი სტრუქტურა და მევენახეობის ხვედრითი წონა საერთო და სასაქონლო პროდუქციის, შრომითი დანახარჯების შემადგენლობაში, ასევე დარგის სპეციალიზაციის, კოოპერირების, კონ-ცენტრაციისა და ინტეგრაციის დონე შრომითი პროცესების დანაწილებაში.

აგრარული სექტორის სპეციალიზაცია და დარგთა შეთა-ნაწყობილად განვითარების საკითხები, ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა სასოფლო - სამეურნეო წარმოების ფორმირების პროცესში,

აგრეთვე, მისი შემდგომი ფუნქციონირება ბევრადაა დამოკიდებული შრომის პროცესთა კოოპერირებასა და ინტეგრირებული წარმოების განვითარებასთან. აგროსამრეწველო ინტეგრაცია მოიცავს დარგთაშორისი კავშირების ყველა ფორმას ეკონომიკის შესაბამის დარგებთან წარმოების ყველა დონეზე. აგრარული სექტორის გაერთიანება ნიშნავს სოფლის მეურნეობის საწარმოო-ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ფუნქციონალური მმართველობითი კავშირების გაძლიერებას მომიჯნავე დარგებთან და მის დონეზე სახელმწიფო-ებრივი და სპეციალიზებული დარგობრივი კომპლექსების ფორმირებას.

გადავხედოთ ახლა რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით საქართველოში. ამჟამად აგროსამრეწველო კოოპერირებული, ინტეგრირებული ფორმიდან, რაც ემყარებოდა შრომის პროცესთა სრულ მექანიზაციას და მეცნიერებათა მიღწევების დანერგვას, შრომის ორგანიზაციის მაღალი კოოპერირებული და ინტეგრირებული ფორმიდან დავუბრუნდით შრომის დაბალ - გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობრიობის ფორმას, ინდივიდუალურ და ოჯახურ იჯარას, რაც არ წარმოადგენს შრომის პროცესთა კოოპერირებულ ფორმას. ისმება საკითხი _ არ შეიძლება იჯარული და ფერმერული მეურნეობის გარდაქმნა-გადაყვანა კოოპერირებულ ინტეგრირებულ ფორმაზე? რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ ისმება მეორე კითხვაც, შრომის რომელი ორგანიზაციული ფორმებით უნდა მოხდეს კოოპერირებისა და ინტეგრაციული ფორმების დაძლევა, რა რეგიონალური და ტერიტორიული დანაწილება დავუდოთ საფუძვლად აგრარულ სექტორში მევენახეობის დარგის განვითარებას.

როგორც ცნობილია, მცირე ბიზნესის განვითარებაში საბაზრო ეკონომიკის თანამედროვეობის გარდამავალ ეტაპზე მთავარ ადგილს იკავებს შრომის ძირითადი ორგანიზაციული ფორმები, როგორიც არის: ამხანაგობა, კოოპერატივი, აქციონერული საზოგადოება, კორპორაცია, კომპანია და ა.შ. შრომის ორგანიზაციული ძირითადი ფორმების ბაზაზე თავისუფლად შეიძლება დიდი ბიზნესის დარგების განვითარება, ჯგუფური და საზოგადოებრივი, კოოპერირებული საკუთრების ფორმებზე დაყრდნობით, რაც საფუძველი უნდა გახდეს სოფლად აგროსამრეწველო დარგების განვითარებისა და დარგობრივი სპეციალიზაციის განხორციელებისა.

თეორიები, რა თქმა უნდა, კარგია, ახლა გადავხედოთ რა მდგომარეობა გვაქვს საქართველოში თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის დონეზე. ვენახების ფართობი საქართველოში საგრძნობლად შემცირდა, თუ გადავხედავთ და მოცემულ საკითხს გავაშუქებთ დინამიკაში, შემდეგ სურათს ვიხილავთ: 1985 წელს ვენახის ფართობი საქართველოში სტატისტიკის მონაცემებით 127,5 ათას ჰექტარს შეადგენდა, შესაბამისად 1990 წელს - 112.8 ათას ჰექტარს, 1998 წელს მისი ფართობი – 71.2 ათას ჰექტარს და ის 2000 წლისათვის შემცირდა 56.0 ათას ჰექტარამდე, ხოლო 2002 წლისათვის _ 38.0 ათას ჰექტარამდე. ფართობი მრავალწლიანი დინამიკის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ცხ.1).

ვენახის ფართობი (ფართობი ათას ჰა)

ცხრ. 1.

1914	1917	1921	1940	1950	1960	1965	1970	1985	1990	1998	2000	2002
61,8	47,1	37,4	69,8	58,2	85,6	106,3	117,8	127,5	112,8	71,2	56,0	38,0

ცხრილში მოყვანილი და სხვა ციფრობრივი მასალების ანალიზით ირკვევა, რომ ვენახის ფართობი საქართველოში განახევრებულია და ყურძნის მოსავალი 3-ჯერ შემცირებული, _ “ბოლო ათი წლის განმავლობაში 1990-2002 წ.წ. განახევრდა ვენახის ფართობი, ხოლო ყურძნის წარმოების მოცულობა დაეცა სამჯერ. 1999 წელს მოკრეფილი იქნა 220,0 ათასი ტონა ყურძენი (54%-ით ნაკლები, ვიდრე 1995 წელს), აქედან მხოლოდ 30,0 ათასი ტონა იქნა შესყიდული გადამამუშავებელი საწარმოების მიერ, ანუ მთლიანი მოსავლის 13%”.[67]

როგორც ვხედავთ, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში და მევენახეობის განვითარებაშიც წარმართული მუშაობა არასახარბიელოა. საბაზრო ურთიერთობის განვითარებამ და ბიზნესისათვის ბრძოლის ღონისძიებებმა, საქართველოში გატარებულმა არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ დიდი ზიანი მიაყენა ისეთი სახის სპეციალიზაციის დარგს, როგორიცაა მევენახეობა. კარგად უნდა შევისწავლოთ მარკეტინგი, დავეუფლოთ ბიზნესის მეცნიერებას, ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად ვმართოთ დარგი, რადგანაც ბაზარი ოპერატიულ მართვას მოითხოვს. ღრმად უნდა შევისწავლოთ მენეჯმენტი ბიზნესის საფუძვლებით მარკეტინგთან ურთიერთობაში. განვითარებას საჭიროებს ტექნიკური მომსახურების ორგანიზაციული ფორმები. მანქანა-იარაღების კერძო მესაკუთრე ცუდად ემსახურება მევენახეობის დარგს, ძვირი ჯდება კერძო ტექნიკური მომსახურება, ვერ იცავენ დამუშავების აგროტექნიკურ ვადებს, ვენახის შაბიამნის ხსნარით ერთი შეწამლის

პროცესის დარღვევა შეიძლება გლეხს ყურძნის მთლიანი მოსავლის ფასად დაუჯდეს, ამიტომ, უნდა გარდაიქმნას მევენახეობის წარმოებისა და შრომის ორგანიზაციული ფორმები. საჭიროა შეიქმნას ტექნიკური მომსახურების სადგურები, რომელებიც დააკმაყოფილებენ მევენახეობის დარგის შრომის პროცესების მოთხოვნებს და სოფლად სამუშაოებს დაარეგულირებს აგროტექნიკური ვადების გათვალისწინებით. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და გარდაქმნის თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური, ორგანიზაციული და მმართველობითი კავშირები სოფლის მეურნეობასა და მევენახეობის დარგში სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება, წარმოიშობა თვისობრივად ახალი ფორმები. კავშირების გაღრმავებამ უნდა შექმნას იმის აუცილებელი პირობა, რომ წარმოიშვას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ერთიანი ჯაჭვი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მრეწველობა ნედლეულით და მოსახლეობა საკუთარი წარმოების სურსათით. “წარმოება, დამზადება, გადამუშავება, შენახვა და რეალიზაცია”_ ერთ მთლიან სისტემას უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც სათავეში უნდა ჩაუდგეს აგრარული სექტორი.

აგრარული სექტორის ინტეგრაცია, რომელიც ნიშნავს სოფლის მეურნეობის პროცესების შეერთებას მრეწველობასთან, თავისთავად წარმოქმნის მრავალფუნქციურ სისტემას, რომელიც წარმოებას მჭიდროდ აკავშირებს საბაზრო საქონლურ ურთიერთობასთან. “ინტეგრაცია არის შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ფორმის _ კოოპერირების შემდგომი განვითარების ეტაპი და ამდენად, შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის უფრო მაღალი (სრულყოფილი) ფორმა”.[53] ამიტომ, ინტეგრაციას მჭიდრო

კავშირი აქვს კოოპერირებასთან. ეს იმაში გამოიხატება, რომ კოოპერირების დროს ხდება საწარმოთა გამსხვილება და მკვეთრად იკვეთება სპეციალიზაციის დარგები. გამსხვილებული მეურნეობრივი პროცესები კი კარგად ითავსებს ტექნიკისა და ტექნიკური პროგრესის პრობლემებს, რაც თავის მხრივ მეტად ამაღლებს დარგებში შრომის მწარმოებლურობას, ნაყოფიერებას და ეფექტიანობას.

აგრარული სექტორის ინტეგრაცია მევენახეობის დარგშიც უნდა განხორციელდეს, რომელიც დაემყარება შემდეგ პრინციპებს: საწარმოთა ინტეგრირებული სისტემის გაერთიანების ნებაყოფლობის, მუშაკთა მატერიალური დაინტერესებისა და სტიმულირების პრინციპებს სამრეწველო ინტეგრაციის განვითარებით, ინტეგრირებული ფორმის არჩევას, სამეურნეო თავისთავადო-ბის შენარჩუნებას მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით.

აგრარული სექტორის ინტეგრაცია მოიცავს სოფლის მეურნეობისა და მევენახეობის დარგში კავშირების ყველა ფორმას წარმოების ყველა დონეზე. ქვედა რგოლებში ინტეგრაცია გამოიხატება აგროსამრეწველო საწარმოს რაიონულ და სხვა რეგიონალურ გაერთიანების წარმოქმნაში. აგროსამრეწველო გაერთიანება და ინტეგრაცია უნდა მოხდეს არა მექანიკური, ტექნიკური გაერთიანების ბაზაზე, არამედ, ყველა რგოლის ორგანიზაციულ-ფინანსური შერწყმით, რაც განხორციელდება საწარმოს ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ფუნქციური, მმართველობითი კავშირების გაძლიერებისა და მართვის ძლიერი ფორმირებით.

აგრარულ სექტორში ინტეგრაციის თეორიული საფუძველია

მეცნიერულად დამუშავებული დებულება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმოების სინთეზის შესახებ, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური საფუძველია_ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და მეცნიერებათა მიღწევების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამრეწველო გადამუშავება. თანამედროვე ეტაპზე შრომის საზოგადოებრივი დანაწილება განსაზღვრავს ცალკეული დარგების შრომის პროცესების შერწყმას არსებული დარგების კავშირების შემდგომი განვითარებისა და გარდაქმნის გზით. თავის მხრივ, განზოგადოებული წარმოება ხელს უწყობს დეცენტრალიზებული მართვის გაფართოებას, მიკრო დარგების განვითარებას და შეზღუდული ფორმების პირობებით ცენტრალიზებული მართვის ფორმების გაფართოვებას დიდი ბიზნესის განვითარების პირობებში, ინტეგრაციისა და სამეურნეობათშორისო კოოპერაციის სხვადასხვა ფორმის შექმნას, კომბინირებას და კონცენტრაციას დარგთაშორისი ინტეგრაციის სისტემის ფარგლებში.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, რომელიც დარგთაშორისი ინტეგრაციის განვითარების ობიექტური პირობაა, ემყარება წარმოების საშუალებათა წარმოების გაფართოებას და მისი განვითარება უნდა მოხდეს ძირითადად საკუთარი დაფინანსების წყაროების ანგარიშზე. წარმოების საშუალებათა წარმოება მოზიდული ინვესტირებული წყაროების ანგარიშით, არ იძლევა კარგ შედეგს იმიტომ, რომ წარმოების საშუალებათა მესაკუთრე, ან მონაწილე ინვესტორი ხდება, რომელსაც ჩვენიდან მიაქვს შემოსავლის გარკვეული ნაწილი დივიდენდების, ან საფინანსო საშუალებათა სხვა წყაროების სახით.

ცენტრალიზებული მართვის სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში კიდევ უფრო ღრმავდება აგროსამრეწველო ინტეგრაციის პროცესი, თანაც უფრო ბუნებრივ ხასიათს ღებულობს. გასათვალისწინებელია, რომ ინტეგრაცია საბჭოურ და საბაზრო ეკონომიკის პირობებში ორი სრულიად განსხვავებული პროცესია, მიუხედავად მსგავსებისა, ისინი შინაარსობრივად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ინტეგრაცია გეგმური ცენტრალიზებული მართვის ეკონომიკის პირობებში და ინტეგრაცია დეცენტრალიზებული მართვის სისტემაში განსხვავდება ფორმითაც და შინაარსითაც. ინტეგრაცია ამ შემთხვევაში წარმოდგენილია დიამეტრულად საპირისპირო საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობილებაში, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საწარმოო საშუალებათა საკუთრებისა და წარმოების ორგანიზაციული ფორმებით, აგრეთვე, წარმოებული პროდუქციის განაწილების ფორმებით.

ამ ორი ინტეგრაციის საერთო არის ის, რომ ორივე, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემაში ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობის ზრდას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, წარმოების მაღალი შედეგების მიღწევას.

აგრარულ სექტორში ინტეგრაციის განვითარება მევენახეობის დარგში ბუნებრივია, ადვილია, რადგანაც, მევენახეობის დარგი რაიონული რეგიონის მიხედვით სპეციალიზებული და ინტეგრირებულია. ეს დარგი ცენტრალიზებული მართვის სისტემაში სპეციალიზებული და ინტეგრირებული იყო, რომელიც გარდამავლად გადმოგვეცა ნაშთად და რომელსაც ცუდი პატრონი აღმოაჩნდა. ცუდი იმ გაგებით, რომ სპეციალიზებული და ინტეგრირებული დარგის

ფართობი ვერ შევინარჩუნეთ, ამასთან, საერთო მოსავალი და მოსავლიანობა სამჯერ შევამცირეთ.

“ისმება კითხვა: საბაზრო ეკონომიკისა და დეცენტრალიზებული მართვის საწყის ეტაპზე რა ნაშთები მივიღეთ, რითი ვაპირებთ შემდგომ პერიოდში განვითარებას და რა სპეციალიზაციის, დარგის კოოპერირებისა და ინტეგრაციის ბაზაზე. ხომ არ დასჭირდება ამ პროცესებს უფრო ხანგრძლივი პერიოდი, რადგანაც ჯერ უნდა მოხდეს დარგის აღდგენა 1985 წლის დონეზე, ხოლო შემდგომ ეტაპზე ვილაპარაკოთ მევენახეობის დარგის კოოპერირებასა და ინტეგრაციაზე. თუ არა, თეორიები რჩება თეორიულ ზღაპრებად, თუ არ ვილაპარაკებთ მევენახეობის ფაქტობრივ რეალურ სექტორზე, მისი განვითარებისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებსა და აღდგენისათვის საჭირო დაფინანსების წყაროებზე”.[67] ამ მიმართულებით მასალები გავაშუქოთ ცხრილზე, რომელიც ასახავს ვენახის ფართობებს. (მსხმოიარე საექსპლოატაციო ასაკში, მოსავლიანობას და საშუალო მოსავლიანობას დინამიკაში) (იხ. ცხ. №2).

ვენახის ფართობი, მოსავალი და მოსავლიანობა

დინამიკაში საქართველოში

ცხ. №2 [68]

№	მაჩვენებლების დასახელება	წლები										
		1921	1940	1950	1960	1965	1970	1985	1990	1998	2000	2002
1.	ვენახის ფართობი სულ ათასი ჰა	37,4	69,8	58,2	85,6	106,3	117,8	127,5	112,8	71,2	56,0	38,0
	მ.შ. ნაყოფის მომცემ ასაკში ჰა	29,0	53,3	47,8	59,0	73,5	93,3	100,0	90,0	71,2	56,0	38,0

2	საერთო მოსავალი ათას ტონობით	76,0	150,0	158,0	247,0	385,0	579,0	915,0	352,0	238,0	230,0	146,0
3	საშუალო მოსავლიანობა (ცენტნერი)	26,2	28,1	33,1	41,8	52,0	61,4	91,5	39,1	33,4	41,1	37,5

ცხრილ №2-ის მასალების ანალიზით როგორც ირკვევა, ვენახის საერთო ფართობმა მაქსიმუმს მიაღწია 1985 წელს, როცა მან შეადგინა 127,5 ათასი ჰექტარი, აქედან მსხმოიარე ასაკის ფართობი დაფიქსირდა 100,0 ათასი ჰექტარი, ყურძნის საერთო მოსავალი მიღებული იქნა 915,0 ათასი ტონა, ხოლო საშუალო მოსავლიანობამ 91,5 ცენტნერი შეადგინა. ვენახის ფართობი 1985 წლამდე ზრდით ხასიათდებოდა, რომელმაც 127,5 ათას ჰექტარს მიაღწია, ხოლო 1990 წლისათვის, ის შემცირდა 112,8 ათას ჰექტარამდე, 1998 წელს 71,2 ათას ჰექტარამდე და 2000 წლის იანვრისათვის დაფიქსირდა 56,0 ათასი ჰექტარი, 2002 წლისათვის – 38,0 ათასი ჰექტარი, ე. ი. მიღწეულ დონესთან შედარებით ვენახის საერთო ფართობი განახევრდა და უფრო მეტად შემცირდა.

“ყურძნის საერთო მოსავალი ყველაზე მეტი მიღებული იქნა 1985 წლისათვის, რომლის საერთო მოსავალმა 915,0 ათას ტონას მიაღწია, ხოლო შემდგომ წლებში მოსავლიანობა და საერთო მოსავალი სამჯერ შემცირდა.”[67]. აღნიშნული კლებადი ხასიათი განპირობებულია მრავალი მიზეზით, რომელშიც მთავარი ბრალი მიუძღვის სახელმწიფოს არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას, მოუვლელობის შედეგად ვენახის ფართობის გამეჩხერიანებას, ვაზის გაველურებას და გადაგვარებას. არასწორად წარმოებულმა აგროტექნიკურმა ღონისძიებებმა, ვაზით დაკავებული ფართობების

დაუმუშავებლობამ (1990-1995 წლებში), გაუსხვლელობამ, განსაკუთრებით, 1991-1992 წლებში ვაზი გააველურა.

ასეთი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში ახლა გვსურს ვისაუბროთ მევენახეობის დარგის სპეციალიზაციის, კოოპერირებისა და აგროსამრეწველო სისტემაში ინტეგრაციის პროცესებზე. ინტენსიურად რომ ვიმუშაოთ ვენახების ახალშენსა და გაშენებაზე, მის გასაშენებლად გასაწევ გიგანტურ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯებზე, ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ დიდი დრო დასჭირდება 1985 წლის დონეზე მისვლას.

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის წარმოების სინთეზის შექმნისათვის საჭიროა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათი შერწყმა ხდება იმ შემთხვევაში, როცა საწარმოო საშუალებები და მთლიანი ძალები აღწევენ განვითარების ისეთ დონეს, როცა სოფლის მეურნეობა თავის თავში ვერ პოულობს პირობებს თვითგანვითარებისათვის.

საქართველოში აგრარული ინტეგრაციის განვითარება და მის ბაზაზე აგრარული კომპლექსის ჩამოყალიბება მწიფდებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მისი საფუძველი იქმნებოდა ჯერ კიდევ პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდგომ. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს წინ უძღვოდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის პერიოდი, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დაჩქარებას, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროცესების შერწყმა-განვითარებას.

აგროსამრეწველო ინტეგრაციის გაღრმავების მაჩვენებელია ის, რომ

წარსულში 1990 წლამდე მომხმარებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ძირითადად ღებულობდა გადამუშავებული საქონლური პროდუქციის სახით, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ 1990 წლამდე გადამუშავებითი მრეწველობა მუშაობდა, წარმოქმნილი იყო აგროსამრეწველო კომპლექსები და კომბინატები, რომელთა გადამუშავებული პროდუქცია მომხმარებლამდე დაიყვანებოდა მზა პროდუქციის სახით. სახელმწიფო სავაჭრო საწარმოები გამოტენილი იყო: ქართული ღვინოებით, კონსერვებით, ძეხვებით, მურაბებით და სხვა პროდუქტებით, რაც იყიდებოდა საბითუმო საანგარიშსწორებო ფასებით (ბითუმად ვაჭრობის პირობებში), ხოლო უშუალოდ მომხმარებელზე პროდუქცია (საქონელი) იყიდებოდა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ქსელში მტკიცე საპრეისკურანტო საცალო ფასების მიხედვით.

აღნიშნულ პროცესს ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ “1970-1990 წლებში კვების მრეწველობის დარგებისათვის ნედლეულის მიწოდება გაიზარდა (ათას ტონობით) შემდეგნაირად: ჩაის ფოთლისა _ 259-დან 516-მდე (99%-ით), ყურძნისა_ 387-დან 428-მდე (11%-ით), ხილის კურკოვნისა და თესლოვნების 149-დან 292-მდე (96%-ით), ციტრუსების _ 25-დან 101-მდე (404%-ით), ბოსტნეულისა _ 15-დან 38-მდე (2,5-ჯერ), რძისა _ 175-დან 232-მდე (33%-ით), ხორცისა (ცოცხალი წონით) _ 74-დან 131-მდე (77%-ით).

აღნიშნული მაჩვენებლები მიანიშნებს იმაზე, რომ ყოფილი აგროსამრეწველო კომპლექსი კარგად ინტეგრირებული იყო.”[53] სოფლის მეურნეობის წარმოების პროცესი კარგად მარაგდებოდა ტრაქტორებით, ავტომობილებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით,

მინერალური სასუქებით, კომბინირებული საკვებით, ამით იყო განპირობებული, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმოებათა შორის კავშირები მტკიცე იყო და მუდმივ განახლებას განიცდიდა. ის, რაც კარგი ჰქონდა ცენტრალიზებული მართვის სისტემას, მისი უარყოფა არ შეიძლება.

აგრარულ სექტორში აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას კერძო და წარმოების კოლექტიური სისტემა, მათი სოციალურ-ეკონომიკური ბუნება.

სოფელი, განსაკუთრებით, ჩამორჩება საყოფაცხოვრებო პირობებით ქალაქს, რომელთა დაძლევა უნდა მოხდეს აგრარული ინტეგრაციის ბაზაზე. ასევე უნდა მოხდეს შრომის ორგანიზაციის ძირითად ფორმათა კოოპერირება, სპეციალიზაციისა და ინტეგრირებულ ფორმაში შესვლა, რაც მომავლისათვის წარმოადგენს გრძელსა და რთულ გზას (20-25 წელი დასჭირდება აგროკომპლექსებისა და აგროკომბინატების წარმოქმნის ინტეგრაციის დონემდე მისვლას). ამჟამად, მატერიალურ-ეკონომიკური ბაზა განადგურებულია, ტექნიკით მომსახურების სფერო არ გაგვაჩნია, მოსაფიქრებელია ტექნიკური მომსახურების სფეროს ორგანიზაცია. ტექნიკური მომსახურების კრიტარული სფერო აგრარული ინტეგრაციის მოთხოვნებს ვერ გაუძღვება, შესაქმნელი გვაქვს თავიდან ინფრასტრუქტურის მომსახურების სფეროც, თუ არა წარმოება, სასოფლო- სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება, შენახვა და მომხმარებლამდე დაყვანა მეტად რთული პროცესია.

რეგიონების მიხედვით ყურძნის წარმოება 1998-2002 წლებში
შემდეგ სურათს იძლევა

ცხ. №3

დასახელება	1998წ.	1999წ.	2000წ.	2001წ.	2002წ.
საქართველო	238,5	210,0	210,0	150,0	90,0
მ.შ.					
იმერეთი	59,6	55,5	52,5	37,5	36,5
კახეთი	119,2	111,0	105,0	75,0	25,6
შიდა ქართლი	19,9	11,0	10,5	7,5	6,4
დანარჩენი რეგიონები	47,8	44,0	42,0	30,0	21,5

ზემოთ აღნიშნული ცხრილის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ მევენახეობის დარგი კატასტროფულ მდგომარეობაშია, ყველა რეგიონებში ყურძნის წარმოების კლებადობის ტენდენცია, რაც განპირობებულია ვენახის ფართობის შემცირებით, მეჩხერიანობით და დაუმუშავებლობით. აუცილებელია ამ დარგის აღორძინება, რაც დიდი ძალისხმევა სჭირდება, რაც უნდა გადაწყდეს სამთავრობო დონეზე.

ყურძნის მოსავალი ყველა კატეგორიის მეურნეობებში
1985-2002წ.წ. (ათას ტონებში)

წლები	ყურძნის მოსავლიანობა	ოჯახური მეურნეობების წილი მთლიან წარმოებაში (%-ში)
1985	914,9	
1990	691,0	45%
2000	210,0	99%
2001	150,0	88%
2002	90,0	99%

1985-2002 წლების ანალიზი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დღეისათვის არსებულ მდგომარეობაზე, 2002 წლისათვის თითქმის

10-ჯერ შემცირდა ყურძნის მოსავალი. დასკვნებში მოცემულ ჩვენს მოსაზრებებს თუ დავეყრდნობით თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესის პირობებში ქვეყანაში შესაძლებელია 2000-2006 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია წარმოებული იქნას შემდეგი მოცულობით: მარცვლეული 1500-2000 ათასი ტონა, ყურძენი 800-900 ათასი ტონა, რაც 1985 წლის დონეა. ჩაის ფოთოლი 360-400 ათასი ტონა, ციტრუსი 230-250 ათასი ტონა კარტოფილი 700, 800 ათასი ტონა, შაქრის ჭარხალი 300-350 ათასი ტონა, ხილი 1000-1200 ათასი ტონა, ბოსტნეული 900-1100 ტონა ხორცი 300-400 ათასი ტონა, რძე 1200-1400 ათასი ტონა, თევზი 100-120 ათასი ტონა, კვერცხი 1400-1600 ათასი ცალი. არის შესაძლებლობები, მთავარია არსებული რესურსების გამოყენება და გათვალისწინება საბაზრო ეკონომიკის, მოზიდვა ინვესტიციების და მათი სწორად დაბანდება კერძოდ სოფლის მეურნეობის აღდგენის და განვითარების მიმართებაში.

თავი II. სოფლის მეურნეობის ეკონომიკური განვითარების დინამიკისა და სტრუქტურის სახელმწიფოებრივი რეგულირების სრულყოფის მიმართულებები

2.1. თავისუფალი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბების ამოცანები და მიმართულებები

რეფორმის შედეგების შეფასებისას, ქართველ ეკონომისტთა ერთი ნაწილი უარყოფითად აფასებს "საქართველოში მიმდინარე რეფორმების პირველი ეტაპის შედეგებს-წერს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი ვლადიმერ პაპავა, უცხოელი სპეციალისტები და საერთაშორისო ორგანიზაციების მისიები ცალსახად დადებითად აფასებენ. ეს მაშინ, როცა იგივეს შესახებ ქართველი ეკონომისტების ნაწილი უარყოფითი შეხედულებისაა".

ჩვენ მოხმობილ რადიკალურ შეფასებებს შორის მოშუალედე პოზიცია გვიჭირავს. მართლაც, ბრმა უნდა იყო, რომ არ დაინახო ის სასიკეთო ცვლილებები, რომელიც ქვეყნის ეკონომიკაზე გამოვლინდა მაკრო თუ მიკრო ეკონომიკური გარდაქმნების ხაზით. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, საჭიროა ამ დადებითი შედეგების გამტკიცება და გაფართოება, ეკონომიკის სწრაფად აღმავლობა და ხალხის ცხოვრების დონის მკვეთრად გაუმჯობესება. განვლილი პერიოდის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველოში უკვე დამთავრდა ეკონომიკის დაცემის ტემპი, ხდება

სტაბილიზაცია ერთგვარად აღმავლობა. ამასთან, ყველაზე დიდი ნაბიჯია გადადგმული ლიბერალიზაციის მიმართულებებით და გარკვეული პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება მაკრო და მიკრო ეკონომიკური სტაბილიზაციის საქმეში. მაგრამ ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება იმასაც ხომ ცხადყოფს, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია მიზანი კი არაა, არამედ მხოლოდ წინაპირობაა მეწარმეობის ფართოდ გაშლისა. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სწორედ ეროვნული მეწარმეობის განვითარებულობის დონეა საუკეთესო საზომი საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირებისა. იმიტომ, რომ მეწარმეობა ერთ მხრივ უშუალოდ მონაწილეობს ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი ეკონომიკის მშენებლობაში და მეორეს მხრივ, უშუალობით გადასახადებით-საქმიანობით დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

ჩვენ როდესაც ვაფასებთ, რეფორმის შედეგებს, გამოვდივართ იქიდანაც, რომ ქვეყანაში დღეს მიღწეული ფინანსური სტაბილიზაცია (ინფლაციის აღმოფხვრა, ვალუტის კურსის გამყარება და სხვა), ძირითადად განხორციელდა არა ეკონომიკის განმტკიცებით, არამედ უპირატესად იგი მიღებულია საერთაშორისო და ჰუმანიტური დახმარებების წყალობით. მან კი სახელმწიფოს დამოუკიდებელი (პროტექციონისტული) პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობანი რამდენადმე შეზღუდა, რის გამოც ქვეყანაში ვერ მოხერხდა ეროვნული საწარმოო ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოპირობების შექმნაფორმირება.

ჩვენში მიმდინარე რეფორმების ნაკლი, ვფიქრობთ მაინც ის არის, რომ მისი სასტარტო შედეგები (ინფლაციის შეკავება, სახელმწიფო საკუთრების ტრანსფორმაცია და სხვა) ხილულია მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილს, სპეციალისტების და თვით რეფორმატორებისათვის, არადა მისი წარმატებით განვითარებისათვის აუცილებელია უფრო ფართო სოციალური ბაზა. ამისათვის საჭიროა ადამიანებმა უფრო თვალნათლივ იხილონ რეფორმის სიკეთე. მეტიც, მათ ეს უნდა იგრძნონ თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ოჯახებში, სუფრაზე. ცხადია, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მიზერული, საარსებო მინიმუმზე ბევრად დაბალი და ისიც დიდად დაბეგრილი ხელფასით, ეს ვერ მოხერხდება. მართალია, ხელფასების, პენსიების და სხვათა გაყინვამ და გამოუცდელობამ გარკვეულად აღმოფხვრა ინფლაცია, მაგრამ მეორე მხრივ, რიგი პრობლემები წარმოშვა, ერთერთია სამუშაო ძალის მიგრირება, სამუშაო ძალის ხელოვნურად დაბალი, არასაბაზრო ფასი, ასევე ასტიმულირებს იაფი, მაგრამ მდარე ხარისხის იმპორტული პროდუქციის გასაღებას და ჩვენი პროდუქციის ჯერ ჩაწოლას, ხოლო შემდეგ ეროვნული წარმოების საერთოდ მოშლას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოო მეწარმეობის აღორძინების აუცილებლობა განპირობებულია არა მარტო სამამულო საქონლის წარმოების ზრდით, არამედ შიდა ბაზრის უმთავრესი სუბიექტის, მყიდველობით უნარიანი მომხმარებლის ჩამოყალიბებითაც. ჩვენ ვერც ერთს ვერ მივაღწიეთ, ვერ შევქმნით გაჯერებული ბაზარი და უფულობის გამო, ამ საქონლის მომხმარებელიც ვერ გავხდით. ეს რომ

დავძლიოთ საჭიროა შევუწყოთ ხელი მეწარმეობის განვითარებას, ავაღორძინოთ მცირე, საშუალო და დიდი ბიზნესი.

ეროვნული მეწარმეობის ფორმირება-განვითარება მხოლოდ მომგებიანი საქმიანობისათვის ხელსაყრელ საბაზრო და სოციალურ გარემოშია შესაძლებელი. ამგვარი გარემოს შექმნა კი სახელმწიფოს პრეროგატივაა.

საქართველოში დღეს არსებული სამეურნეო თაოსნობის დაუმთავრებელი სალიცენზიო პრაქტიკა, წერს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი უშანგი სამადაშვილი, მოგების შთანმთქმნელი, მოუქნელი საგადასახადო, საკრედიტო და საბაჟო რეჟიმი, ლარის არაბუნებრივი კურსი, მოძველებული ტექნიკა-ტექნოლოგია და რაც ყველაზე მინიშვნელოვანია, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გამო, მოსახლეობის დაბალი მოთხოვნა, რაც იმპორტულ და სამამულო პროდუქციას შორის ფასებისმიერ კონკურენციას საერთოდ გამორიცხავს, კანონიერი მომგებიანი საქმიანობისათვის არახელსაყრელ, კრიტიკულ და კატასტროფული რისკის გარემოს ქმნის. ეს კი პრაგმატიკოს მეწარმეს ჩრდილოვანი ეკონომიკისაკენ უბიძგებს. სწორედ ამის გამოა, რომ საქართველოში ჩრდილოვანი, უკანონო ბიზნესი, ლამის წესადაა გადაქცეული. მეწარმეობა ცალკეული სუბიექტის ან სუბიექტთა ჯგუფის დამოუკიდებელი საქმიანობაა, რომლის მიზანია მატერიალური დოვლათის, ინტელექტუალური ფასეულობების, ფასიანი მომსახურების და ა.შ. წარმოება და რეალიზაცია და ამის შედეგად მოგების (შემოსავლის) მიღება.

მეწარმე, მეწარმეობის კანონის შესაბამისად, შეიძლება იყოს ნებისმიერი სუბიექტი, რომელიც დამოუკიდებლად წარმართავს თავის საფინანსო საქმიანობის კანონით გათვალისწინებული წესით.

სამეწარმეო საქმიანობას შეიძლება ეწეოდეს უშუალოდ მესაკუთრე ან სხვა სუბიექტი, რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად, მესაკუთრის მიერ გადაცემული აქვს ქონება სარგებლობის უფლებით. ამასთან დაკავშირებით, უნდა განვასხვაოთ მეწარმე და მენეჯერი. მეწარმე დამოუკიდებელი მეპატრონეა, იგი თავისი საკუთარი რისკით და პასუხისმგებლობით მოქმედებს. მენეჯერი კი დაქირავებული მუშაკია, მას არ ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა. თავისი საქმიანობისათვის ის პასუხს აგებს მხოლოდ თავისი დამქირავებლის წინაშე.

მესაკუთრეს აქვს იმუნიტეტური მისწრაფება, გაზარდოს თავისი საკუთრება. ეს სურვილი ამოძრავებს ყველა მესაკუთრეს და მაშასადამე, მთელ საზოგადოებას, ამისათვის კი მეწარმეობაა (რაიმეს კეთებაა) საჭირო.

ნებისმიერი ტიპის საწარმოს მესაკუთრეს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ქონების ფლობის, სარგებლობის და აქედან გამომდინარე, განკარგვისა და მართვის უფლება. განკარგვისა და მართვის უფლებებით აღჭურვილნი არიან სახელმწიფო, ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ ამ უფლებას კანონით გათვალისწინებულ პირობებში.

არსებობს მეწარმეობრივი საქმიანობის შემდეგი ძირითადი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები: ინდივიდუალური და

ერთპიროვნული მეწარმეობა, პარტნიორობა (ამხანაგობა) და კორპორაცია.

ახლა, როცა სახალხო მეურნეობის საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასაყვანად მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში ინტენსიური გარდაქმნები მიმდინარეობს, მუშავდება ეკონომიკის ამ სისტემისათვის აუცილებელი ისეთი პრინციპები, როგორიცაა: 1. საკუთრების მრავალფორმიანობა (კერძო საკუთრების წამყვანი როლით), 2. მეწარმეობრივი საქმიანობის შერჩევის თავისუფლება, 3. პირადი მატერიალური დაინტერესება, როგორც მოქმედების (საქმიანობის მთავარი) მოტივი. 4. კონკურენცია, 5. ფასების მოქნილი სისტემა, 6. ეკონომიკაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის განსაზღვრა და ა.შ.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობით იქმნება საქარმოთა შემდეგი ფორმები: ინდივიდუალური მეურნეობები, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოებები, კოოპერატივები და სახელმწიფო სახაზინო საწარმოები.

საწარმოთა ამ ახალი ფორმების ჩამოყალიბების ცნობილი ძირითადი პრინციპებია: 1. ნებაყოფლობის პრინციპი, 2. მიწის ფართობის (ნაკვეთის) გადაცემა პირად საკუთრებაში, კერძო საკუთრებაში ან გამოიყოფა იჯარით საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. 3. საკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლზე, ტექნიკაზე, პირუტყვზე ან წარმოების სხვა ძირითად საშუალებებზე, 5. სრული დამოუკიდებლობა წარმოების სტრუქტურაზე, პროდუქციის

წარმოებაზე, გადამუშავებაზე, რეალიზაციაზე და შემოსავლის გამოყენებაზე. 6. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური დახმარების გაწევა, 7. საწარმოთა უფლებების ხელშეუხებლობა და სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების დაცვა, 8. დამოუკიდებელი ანგარიშსწორების ანგარიშის გახსნა ბანკში.

ბიზნესია კანონიერი გზით მოგების მიღების მიზნით წარმართული მეწარმეობრივი საქმიანობა. საბაზრო ურთიერტობათა სისტემაში ბიზნესისა და მეწარმეობრივი საქმიანობის შინაარსობრივი დატვიტთვა არსებითად ერთნაირია. ბიზნეს საქმიანობაზე მსჯელობისას, მეწარმეობრივი საქმიანობა იგულისხმება და პირიქით, მეწარმეობრივ საქმიანობაზე მსჯელობისას-ბიზნეს საქმიანობა. თუმცა, მოვლენების ღრმად გაანალიზებისას, შეიძლება გამოიკვეთოს მათ შორის განსხვავება გარკვეულ ნიუანსებში. მაგალითად, არის ისეთი მეწარმეობრივი საქმიანობა, რომელიც არ ისახავს მიზნად მოგების მიღებას და ტრადიციული გაგებით არ განეკუთვნება ბიზნესს.

საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პირველ ეტაპზე აშკარა იყო პროცესების სტიქიურად განვითარების ტენდენცია, რასაც თანდათანობით ცვლიდა საერთაშორისო ეკონომიკური სტრუქტურების მხრიდან დიქტატის პოლიტიკა. ასეთ ვითარებაში, ხშირად უგულველყოფილი იყო ქვეყნის ისტორიული, ეთნიკური, დემოგრაფიული, გეოპოლიტიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებები და საუკუნისგანმავლობაში ჩვენში დამკვიდრებული საწარმოო ურთიერთობების ტრადიციები. ცხადია, აღნიშნული განსაკუთრებით

მწვავედ აისახება ეკონომიკის ისეთ ტრადიციულ სფეროზე, როგორიცაა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ამ სექტორებში ჯერ-ჯერობით არ შექმნილა საბაზრო გარემოს პირობები. კერძოდ, არა გვაქვს სრულყოფილი საგადასახადო, საკრედიტო, საფინანსო, სადაზღვევო, საბაჟო სისტემები. ამის გამო, ვერ ამოქმედდა საბაზრო ეკონომიკის ზრდის საწარმოები ბერკეტები: მიწა, კაპიტალი, შრომა, სამეწარმეო უნარი და სახელმწიფოს მართვის უნარი.

მთლიანად გარდაქმნებმა საკუთრებაში ძირეულად ვერ შეცვალა სიტუაცია ქვეყნის აგრო სამრეწველო სექტორში: ორგანიზაციულ-სამართლებრივი და მით უფრო-თვისობრივი მაჩვენებლის ზრდა, პირველ რიგში-ეფექტიანობისა, ვერ მოხერხდა საწარმოო საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, მისი დაცვა, შემცირდა მოთხოვნები სახელმწიფო ხარჯზე აგრო სამრეწველო სექტორისათვის მხარდასაჭერად, ვერ განხორციელდა ახალი სტრუქტურების სწრაფი გადასვლა ბაზარზე ორიენტირებულ ქცევაზე, ვერ შეიცვალა შრომის მოტივაცია, რეფორმირებული საწარმოების, მუშაკთა ძირითად მასაში და ვერ წარმოიშვა ადამიანთა უმრავლესობაში პრინციპულად ახალი დამოკიდებულება პრივატიზირებული საშუალებების და ქონების მიმართ (ამ თვალსაზრისით, ჯერ კიდევ მძლავრობს მეურნეობრიობის საბჭოთა სისტემის დროს ჩამოყალიბებული მენტალიტეტი), ვერ მოხერხდა მნიშვნელოვანი რაოდენობით კერძო საწარმოების შექმნა. აღნიშნული მდგომარეობის მიზეზები მრავალია:

ჯერ ერთი, ნებისმიერი საკუთრება, მათ შორის, კერძო, თავისთავად ვერ წყვეტს და ვერც გადაწყვეტს წარმოებისა და სოციალური

ცოვრების ყველა საკითხს. მექანიზირებული წარმოების მოცულობის ზრდისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს უახლოეს ტექნოლოგიებს, ნორმატივების შესაბამისად წარმოების ტექნოლოგიურ უზრუნველყოფასა და ა.შ. მეორე, განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის რეალური პრაქტიკა არ უკავშირდებოდა წარმოების შედეგიანობის ამაღლების პრინციპებს, საკუთრება ნაწილდებოდა თანაბრად, ეფექტიანად მეურნეობრიობის უნარის გაუთვალისწინებლად. ამით წინასწარ იქნა დაშვებული მიწისა და წარმოების სხვა ძირითადი საშუალებების შემდგომი გადანაწილების აუცილებლობა უკეთეს მომუშავე მესაკუთრეთა სასარგებლოდ, მესამე პრივატიზაცია ხშირად ტარდებოდა ნაჩქარევად და ფორმალურად. საწარმოთა ხელმძღვანელები ყოველთვის როდი ერკვეოდნენ გატარებული გარდაქმნების შინაარსში, ხოლო რიგითმა მუშაკებმა ხშირად არ იცოდნენ თავიანთი უფლებები, ადგილი ჰქონდა დარღვევებს საწარმოო საშუალებებსა და ქონებრივი პაიების განსაზღვრაში, საწარმოო წესდების გაფორმებაში და ა.შ.

პრივატიზაციით დასახული მიზნების მისაღწევად და დაყენებული ამოცანების გადასაწყვეტად, აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებისაღმოფხვრა და გარემოებათა გათვალისწინება. ამჟამად, პრივატიზაციის დაწყებიდან 6 წლის შემდეგ, კიდევ არ არის დამთავრებული საწარმოთა ფორმალური რეორგანიზაცია, საკუთრებითი ურთიერთობების რეორგანიზაციის თანამედროვე ეტაპზე უმნიშვნელოვანეს ამოცანებს შორის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: ჯერ კიდევ რეორგანიზაციისა და რესტრუქტურიზაციის გარეშე დარჩენილი საწარმოების პრივატიზების საკითხი. საწარმოებს

შორის ფარგლებში სახელშეკრულებო ურთიერთობების სრულყოფა, რაც საწარმოთა ადმინისტრაციასა და მუშაკებს შორის პრინციპულად ახალი ურთიერთობების დამყარების საფუძველი უნდა გახდეს.

მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში რეფორმების მაგისტრალურ გზად პრივატიზების განხორციელებისა და კერძო საკუთრების წარმოშობა-დამკვიდრების აღიარება სრულებით არ ნიშნავს საკუთრების სხვა ფორმების არასიცოცხლისუნარიანობას და კერძო საკუთრების პანაცეად გამოცხადებას, მთავარია სათანადო გარემო პირობების შექმნა ნებისმიერ საკუთრებაზე დამყარებული საწარმოთა ფუნქციონირებისათვის და მათი საქმიანობის სწორად წარმართვა, ზემოთ დასახელებული საწარმოები, მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, წარუმატებლად ფუნქციონირებენ, თუ მათ არ გააჩნიათ სათანადო ინფრასტრუქტურა, საწარმოო-სანედლეულო ბაზა, ყოველი კონკრეტული საწარმოსა და პროდუქციისათვის ოპტიმალური მოცულობები, უახლესი-ეფექტიანი ტექნოლოგიები და სათანადო კვალიფიკაციის მუშაკები.

ქვეყნის ბუნებრივმა სანედლეულო რესურსებმა უნდა უზრუნველყოს ნედლეულის მომხმარებელი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო კომპლექსების განვითარება, რისთვისაც საქართველოს აუცილებელი პოტენციალი გააჩნია.

ქვეყნის სანედლეულო-რესურსული პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს ნედლეულის გადამამუშავებელ, პროდუქციის მწარმოებელ და იმ მომხმარებელ დარგებს შორის ორგანული კავშირების ფორმირებაზე, რითაც მიიღწევა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური

წონასწორობა და იქმნება მისი სტაბილური განვითარების აუცილებელი პირობა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების შემდგომი დაჩქარება ძირითადად დამოკიდებული იქნება იმ მაკროეკონომიკურ მოდელზე, რომელსაც ქვეყანა აირჩევს არსებული ბუნებრივი რესურსების გამოყენების ბაზაზე სოფლის მეურნეობის და მრეწველობის შეკრული სისტემის ჩამოყალიბებისათვის, რისთვისაც სოფლის მეურნეობისა და სურსათის, მრეწველობის აგრეთვე ეკონომიკის, ვაჭრობის სამინისტროებისათვის დამუშავდება სპეციალური მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამები.

ამასთან, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე, ქვეყნის სანედლეულო ბაზის პრაგმატული შეფასების მიდგომიდან უნდა გადავიდენ უპირატესად ეკონომიკურ მიდგომაზე, როდესაც არსებული რესურსები განიხილება, როგორც უძრავი მატერიალური ქონების ფორმა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობებში, ამ ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ყველა ეკონომიკური მაჩვენებლებით.

რამდენადაც, დღეისათვის სასოფლო და ასკ-ს სამრეწველო საწარმოთა კრიზისული მდგომარეობის ძირითადი განსაზღვრული მიზეზი არის საბრუნავი საშუალებების და საერთოდ ფინანსური აქტივების უქონლობა, ამ დარგების განვითარების მიმართულებების განსაზღვრისას, დარგთა და საწარმოთა პრიორიტეტების დადგენა უნდა განხორციელდეს მათ საინვესტიციო რესურსებზე მოთხოვნილების კონტექსტში. აქედან გამომდინარე, ამ დარგების ძირითადი ჯგუფები უნდა დაიყოს შემდეგი სქემებით;

1. საბაზრო საწარმოებად, რომელებსაც გააჩნიათ უნარი თვითონ შექმნან საინვესტიციო რესურსები,
2. პერსპექტიული დარგების ჯგუფებად, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან საინვესტიციო რესურსები მათი რესტრუქტურიზაციის შემდეგ.
3. სტრუქტურულად დეპრესიულ დარგებად, საწარმოებად, რომლებიც ექვემდებარებიან მთლიანად ან ნაწილობრივ ლიკვიდაციას.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ცოტაა ისეთი საწარმოები, რომლებსაც დღეისათვის შეუძლიათ აღორძინდნენ ინვესტიციების გარეშე, სადაც (მათ რიცხვში) ძირითადად კვების მრეწველობის საწარმოები შედიან. აგრეთვე სამეურნეო საწარმოები მეორე ჯგუფის პრიორიტეტებს, პირობითად მიეკუთვნება სამთო, მეტალურგიული, ქიმიური, ნავთობქიმიური, მანქანათმშენებლობის, ხის დამამუშავებელი და ადგილობრივი (მრავალდარგოვანი) მრეწველობის ცალკეული დარგები და საწარმოები. ასევე დანარჩენი საწარმოო, რომლითაც რესტრუქტურიზაციის შემდეგ, შეეძლებათ უზრუნველყონ გასაღების ბაზრების მოპოვება.

მესამე ჯგუფს განეკუთვნება საწარმოები, რომლებიც ვერ შეძლებენ აღორძინებას რესტრუქტურიზაციის შემდეგაც, საჭიროებენ მნიშვნელოვან სახსრებს და მათი ფუნქციონირების შეწყვეტა არ მოახდენს გავლენას ეროვნული ინტერესებზე. ასეთ საწარმოთა რიცხვში შეიძლება დავასახელოთ მანქანათმშენებლობის და მსუბუქი მრეწველობის რიგი საწარმოები, ქიმიური მრეწველობის საწარმოების გარკვეული ნაწილი და ა.შ.

სასოფლო და სამრეწველო დარგების განვითარების მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისას, მხედველობაშია მისაღები აგრეთვე საქართველოში ამ დარგების განვითარების არსებული ხელშემწყობი პირობები, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- გარკვეული სანედლეულო ბაზის არსებობა (როგორც მატერიალური, ისე სასოფლო-სამეურნეო);
- ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის შექმნასა და მომსახურებაში სამამულო მრეწველობის მონაწილეობის შესაძლებლობა;
- ტრადიციული საექსპორტო პროდუქციის შექმნისა და გასაღების გამოცდილება;
- სამრეწველო და სასოფლო პოტენციალის არსებობა შიდა ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;
- განვითარებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი სასოფლო და სამრეწველო წარმოების გარკვეული გამოცდილება;
- კვალიფიციური და შედარებით იაფი მუშახელის გამოყენების შესაძლებლობა;
- თავდაცვითი მნიშვნელობის პროდუქციაზე მოთხოვნილების არსებობა და სამამულო წარმოების მიერ მისი ნაწილობრივი დაკმაყოფილების შესაძლებლობა;
- სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ელემენტების არსებობა;
- აგრარული სექტორის პოტენციური მოთხოვნილების არსებობა სამრეწველო პროდუქციაზე;
- შიდა და გარე ბაზრებზე კვების მრეწველობის პროდუქციის პოტენციური კონკურენტუნარიანობა;

- ხელშემწყობი ბუნებრივი კლიმატური პირობები და საკურორტო-ტურისტული ბიზნესის ინდუსრტიული მომსახურების პერსპექტივები;
- არსებული სანედლეულო ბაზის შენარჩუნება და შემდგომში განვითარება სამრეწველო პროდუქციის წარმოებისათვის;
- ევროპააზიის სატრანსპორტო დერეფნის სამრეწველო და სასოფლო მოთხოვნილების და მომსახურების საჭიროების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული დარგების განვითარება (სატრანსპორტო საშუალებები, საგზაო ტექნიკა, სასიგნალო-საავარიო აპარატურა და მოწყობილობა, სპეციალური კონსტრუქციების სამშენებლო მასალების წარმოება);
- კვების საწარმოთა რეაბილიტაცია და განვითარება (ღვინო და ღვინის პროდუქტები, ჩაი, სასმელი და მინერალური წყლები, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები, ეთერზეთები და სხვა);
- საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისათვის მანქანა-დანადგარების წარმოება (მცირეგაბარიტიანი სამთი-ვაკისი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მოწყობილობა-დანადგარები ჩაის, ყურძნის, ტექნიკური კულტურების, ხილის, თამბაქოს და სხვა მოვლა-მოყვანისა და გადამუშავებისათვის);
- ადგილობრივ და გარე ბაზრებზე ორიენტირებული მსუბუქი მრეწველობის და საყოფაცხოვრებო მოხმარების სამრეწველო პროდუქციის წარმოება.

დასკვნა: სოფლის მეურნეობისა და ასკ-ს საბაზრო ურთიერთობაზე გადაყვანის სტრატეგია და ტაქტიკა (მიმართულებები) ორგანულად

უკავშირდება პრივატიზაციის პრიგრამას. საზღვარგარეთის ქვეყნებისა და ჩვენი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები შედიან იმ საწარმოთა რიცხვში, რომელთა პრივატიზაცია, პირველ რიგში, ხორციელდება, ვინაიდან ეს საწარმოები უზრუნველყოფენ კაპიტალის სწრაფ ბრუნვას, მოკლე ვადაში იძლევიან მოგებას და არ მოითხოვენ დიდ დაბანდებებს. მსოფლიოს რიგი ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პირველ რიგში, გამოისყიდება ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები. ამიტომაც, მოსახლეობა დიდი სურვილით იძენს ამ საწარმოთა აქციებს. აღრიცხვისა და კონტროლის იმ დონით, რაც დღეისათვის ჩვენთან არსებობს, არ გვეძლევა საშუალება ციფრობრივად ეს ჩვენ უფრო ნათლად დავადასტუროთ, მაგრამ ზემოთ თქმულს შეიძლება ის დავუმატოთ, რომ სოფლის მეურნეობა ეს ერთ-ერთი დარგია, რომელსაც შეუძლია ქვეყანაში ჩავარდნილი ეკონომიკის ამომწევი ფუნქცია და ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობაში განმსაზღვრელი როლი შეასრულოს. ამიტომაც, აუცილებელია აღნიშნული დარგი მიჩნეული იქნას პრიორიტეტულ მიმართულებად, ქვეყნის ეკონომიკის ამაღორძინებელ დარგად. ეს კიდევ უფრო ნათლად დასტურდება პრივატიზაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგებიდან, როცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა მხოლოდ სოფლის მეურნეობის დარგმა შესძლო.

ყოველივე აღნიშნული გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ასკ-ს დარგებში საბაზრო ურთიერთობების მოთხობნებისადმი საკუთრების ფორმებს, მათ შორის საწარმოთა რესტრუქტურიზაციასა და რეორგანიზაციის გზაზე, აუცილებელია გიქნეს, როგორც საშინაო და

საგარეო ეკონომიკური მდგომარეობა, ისე რაც მთავარია, ეროვნული ინტერესები და საბაზრო გარემო პირობებში ასე უნდა შევქმნათ და ჩამოვაყალიბოთ.

2.2. სოფლად აგროსერვისული გარდაქმნის შედეგები და მისი სრულყოფის მიმართულებები

აგრო სერვისის დარგებში, ისევე როგორც საერთოდ აგრარულ სექტორში აღინიშნება პრივატიზაციის დაბალი სამეურნეო-ეკონომიკური და სოციალური შედეგები. ამის მიზეზები ძირითადად იგივეა რაც სოფლის მეურნეობის დარგში მთლიანად, მაგრამ უნდა აღინიშნოს აგრეთვე დარგის თავისებურებებიდან გამომდინარე მიზეზები.

ჩვენი აზრით პრივატიზაციის დაბალი ეფექტიანობა აგროსერვისში უწინარეს ყოვლისა გამოწვეულია მომსახურე სფეროს პარალიზებით, ამ სისტემაში არსებული მდგომარეობის ნათლად წარმოსადგენად უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდის დროს საქართველოს სოფლის მეურნეობა ყოველწლიურად ცენტრალური წესით ღებულობდა ყველა სახის ტრაქტორებს (სამი ათასი ცალი) სატვირთო ავტომანქანებს (3200ც.) დიზელის საწვავს (280 ათ. კ.) ბენზინს 250 ათ. ტ. ათასობით ტონა მინერალურ სასუქებს. ჰერბიციდებსა და პესტიციდებს, სხვა და სხვა სათადარიგო მასალებს და მილიონობით კვ. ელექტრო ენერგიეს, მოიხმარება ათასობით ტონა კომბინირებული საკვები. ამჟამად ყოველივე ეს თითქმის აღარ არის, ჯერ ერთი იმიტომ

რომ საკანონმდებლო ბაზის გარეშე, ქაოსის პირობებში დაწყებული რეფორმის წყალობით, დარღვევებით მიმდინარე ფორმების პრივატიზაციის შედეგად სასოფლო-სამეურნეო ქონების დიდი ნაწილი დატაცებული და განადგურებული აღმოჩნდა და მეორეც, მომარაგების სისტემის მოშლის შედეგად მეათე წელია არ ხდება მანქანა ტრაქტორთა პარკის განახლება და დარჩენილია ისიც გამოუსადეგარი გახდა.

მთავრობის დადგენილების დარღვევით მოხდა ლიკვიდირებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობათა ტრაქტორების, კომბაინების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა-მოწყობილობების პრივატიზაცია. იგი ძირითადად გასხვისებული აღმოჩნდა, ნაცვლად იმისა, რომ შექმნილიყო საკარმიდამო, გლეხური მეურნეობების საწარმოო მომსახურეობის საწარმოები, რომლებიც წინასწარ დადგენილი ტარიფებით შეასრულებენ მოსახლეობის შეკვეთებს. პირები რომლებმაც მიზერულ ფასებში შეიძინეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მიწების მოხვნის, მოსავლის აღების, ტრანსპორტირების და სხვა სამუშაოების შესრულებისათვის აწესებენ ისეთ ხელმიუწვდომელ ფასებს, რომ ბევრგან ხდებიან არ დაამუშავონ საკარმიდამო მიწის ფართობი.

მიწების პრივატიზების დროს დაშვებული დარღვევებიდან აღსანიშნავია მიწების მასობრივად მიტაცება. ღის შედეგადაც თვითნებურად იქნა მიტაცებული სანაშენე, მეთესლეობის, ექსპერიმენტულ სასწავლო და სხვა მეურნეობების მიწები, რომლებიც ამ ეტაპზე რეფორმირებას არ ექვემდებარებოდნენ.

რეფორმების პერიოდში აგროსერვისის სისტემაში პრივატიზაციის მიმდინარეობისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აგროსერვისის დაწესებულებათა პრივატიზება ექვემდებარება მის თანამიმდევრულ განხორციელებას. მაგალითად ორგანიზაცია "საქაგროტექსერვისი"-ს სათაო ორგანიზაციას ექვემდებარება შვიდი ძირითადი საწარმოო შესაბამისი რაიონული ორგანიზაციები რომელთა პრივატიზაცია ერთ რომელიმე კონკრეტულ წელიწადში ვერ ხორციელდება და ამ პროცესს გარკვეული პერიოდი სჭირდება.

სახელმწიფო ქონების პრივატიზებით პროცესის ორგანიზებულად და თანამიმდევრულად წარმართვის მიზნით მომზადდა სახელმწიფო ქონების პრივატიზების გეგმა 1998-2000 წლებისათვის, რომელიც მოიცავს აგროსასურსათო სფეროს ყველა დარგს და ითვალისწინებს საწარმოთა პრივატიზების განხორციელებას ეტაპობრივად და დაჩქარებული ტემპებით.

სოფლის მომსახურების სფეროს ძირითადი დაწესებულებები დღეისათვის რესტრუქტურიზებულია და ორგანიზაციული და სამართლებრივი ფორმით შეესაბამებიან "მეწარმეთა შესახებ" კანონის მოთხოვნებს, მაგრამ პარტნიორებთან ურთიერთობაში კვლავ ინარჩუნებენ ძველებურ ტრადიციებს. ღაც იმითაა განპირობებული, რომ ჯერჯერობით შექმნილი არ არის მომსახურების თავისუფალი ბაზარი და კონკურენტული გარემო. ტრადიციულ მომწოდებელთან კავშირის გაწყვეტა შედარებით იოლი აღმოჩნდა, მაგრამ რთული და მიუწვდომელია ჯერჯერობით მომარაგების თავისუფალი ბაზრის შექმნა, რომელიც მეურნეობრიობის საბაზრო ფორმას მიესადაგება. ამიტომ არის რომ სოფლის მეწარმე გადამყიდველებისა და

არაკეთილსინდისიერთა პირისპირ აღმოჩნდა, რომლებიც სოფელს სთავაზობენ უვარგის და ფალსიფიცირებულ მცენარეთა და ცხოველთა დაცვის საშუალებებს. ეს მაშინ როცა თავისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე სოფლის მეურნეობის აღმავლობა და პროდუქციის წარმოების გადიდება თანამედროვე ინფრასტრუქტურის გარეშე წარმოუდგენელია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფლად მიმდინარე რეფორმების შედეგად მოხდა ძველი სისტემის დემონტაჟი, ხოლო კიმერციული სისტემები არ შექმნილა და სოფლად დარჩა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე. როგორც ავღნიშნეთ, არსებული ტექნიკა მორალურად გაცვდა, ზოგი ჩამოიწერა და ნაწილი კი დაიტაცეს. მის შედეგად განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის სფეროში, რის შედეგადაც კლასიკური საქონელწარმოების რეგიონებში მიმდინარეობს არქაულ ტექნოლოგიაზე და ხელით შრომაზე დაფუძვნებული ნატურალური მეურნეობების რეამინაციის პროცესი, რომელსაც არ ძალუძს კონკურენცია გაუწიოს ცივილიზებულ ბაზარს. კიდევ ერთი შედეგი, რომელსაც აგროსერვისული რეფორმის პირობებში სოფლად შეინიშნება, ესაა ანტიმექანიზაციული პროცესები და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვისათვის არა სასურველი მიმართულებების ჩამოყალიბება.

მიწის პრივატიზაციამდე საადგილმამულო ურთიერთობების რეფორმამ დაანაწევრა რა მიწის ერთიანი მასივები მეტად მცირე ნაკვეთებად (1ჰა-მდე), საფუძველი გამოაცალა მსხვილი მეურნეობის შექმნას. მსხვილ მეურნეობებს კი, როგორც ცნობილია, ის

უპირატესობა გააჩნია წვრილთან შედარებით, რომ ჯერ ერთი მეტი სახსრები გააჩნია თანამედროვე ტექნიკის შესაძენად და მეორე, უფრო ეფექტურად შეუძლია ამ ტექნიკის გამოყენება.

აგროსერვისში დღესდღეობით შენარჩუნებულია უაღრესად მონიპოლიზებული სტრუქტურა, რომელიც მთლიანად გამორიცხავს ყოველგვარ კონკურენციას. როგორც აღინიშნა საბჭოთა პერიოდში სოფლის მეურნეობის ტექნიკით მომსახურების ფუნქცია ძირითადად კონცენტრირებული იყო გაერთიანება "საქსოფტექნიკი"-ს ხელში და მისი ალტერნატიული ფორმა არ არსებობდა, ამის გამო "საქსოფტექნიკა" მუდამ თავის პირობებს კარნახობდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს თავისი უწყებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. მიმდინარე რეფორმა, რა თქმა უნდა შეეხო მომსახურების სფეროსაც. მიუხედავად იმისა, რომ "საქსოფტექნიკის" საწარმოები და ორგანიზაციები რესტრუქტურიზებულია საბაზრო ტიპის მეწარმეებად მათ კვლავ შეინარჩუნეს ძველი ტრადიციული მიდგომები. რაც ძირითადად იმით არის განპირობებული, რომ არ არის შექმნილი მომსახურების რეალური ბაზარი, მით უმეტეს, კონკურენციული გარემო. ამიტომაც არის, რომ მეურნეობრიობის ახალ პირობებში მომსახურების სფეროს საქმიანობის გარდაქმნის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ფართო ბაზრის შექმნა, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებენ კერძო, კომერციული, სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის სტრუქტურები. ამით სოფლის მეწარმეებს ექნებათ თავისუფალი არჩევანის საშუალება, თუ ვისთან იქონიონ საქმე.

ახალ პირობებში მაღალი შედეგების მიღწევას განაპირობებს მეწარმეთა უზრუნველყოფა ტექნიკური და მატერიალური საშუალებებით, საკრედიტო, საინჟინრო, აგრონომიულ, ვეტერინალურ, ზოოტექნიკურ, მარკეტინგულ, საინფორმაციო და სხვა სახის მომსახურება.

პრივატიზაციის დაბალი ეფექტიანობა როგორც ავღნიშნეთ საინჟინრო-ტექნიკური მომსახურების დაბალი დონითაა განპირობებული: მოუგვარებელია სოფლის მეწარმეების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, მინერალური სასუქებით, შხამქიმიკატებით, საწვავ-საცხებით, სათადარიგო ნაწილებით ინვენტარითა და მოწყობილობებით მომარაგება, სამეურნეო ტექნიკის რემონტი, სატრანსპორტო მომსახურების და სხვა საკითხები, რომლის გარეშე არ მოხერხდება სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლება.

ჩვენი აზრით, სოფლის მეწარმეთა საინჟინრო ტექნიკური მომსახურება უნდა განვითარდეს რამდენიმე მიმართულებით. მათ შორის მთავარია თვით მომსახურება როცა მეწარმე თვითონ შეიძენს მისთვის საჭირო საშუალებებს და უზრუნველყოფს მისი დანიშნულებით გამოყენებას, რისთვისაც საჭირო იქნება სოფლად შეიქმნას ვაჭრობის სათანადო ქსელი. საინჟინრო-ტექნიკური მომსახურების ფუნქციები შეიძლება შეასრულონ კოოპერატივებმა, რომელსაც ექნებათ სავაჭრო ობიექტები, შესაბამისი ტექნიკა და სახელშეკრულებო საფუძველზე შეასრულებენ იმ სამუშაოებს, რომელთა თვითმომსახურების წესის შესრულება არარაციონალური ანუ მოუხერხებელი იქნება.

ასევე ქვეყნის მთიან ზონაში მიზანშეწონილია შეიქმნას სოფლის მეწარმეთა მომსახურების კოოპერატივები, რომელთაც გადაეცემათ გაუქმებული კოლმეურნეობების ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ ყველა ფორმის მეწარმეებს. აღნიშნული კოოპერატივების დამფუძვნებლები უნდა იყვნენ ყოფილი კოლმეურნეობის წევრები; რომლებზედაც წილობრივად განაწილდება გადაცემული ტექნიკური საშუალებანი და ჩაეთვლებათ მათ საპატიო შენატანში. ღოგორც ცნობილია, საბჭოთა მეურნეობები რეორგანიზაციისა და პრივატიზაციის დროს მექანიზაციის საშუალებებს გადასცემენ "საქაგროტექსერვისს", მაშინ როცა კოლმეურნეობების პრივატიზება ხდება დანარჩენ ქონებასთან ერთად. გადაცემული ტექნიკით "საქაგროტექსერვისი" აპირებს შექმნას ახალი სარაიონო მანქანა-ტრაქტორთა პარკები, რომელთაგან რამდენიმე უკვე დაარსებულია.

გლეხური მეურნეობების მომსახურების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს მცირე ტექნიკური საშუალებების შემოტანას, გამოყენებას თუ მისი დაქირავების საქმის ორგანიზაციას. გლეხური მეურნეობები, სპეციფიკურობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მთიან ზონაში სულ უფრო ფართო გამოყენებას პირველ ხანებში მაინც მიიღებს ცოცხალი გამწევი ძალა (ხარი, ცხენი, სახედარი, და სხვა), რისთვისაც საჭირო იქნება შესაბამისი ინვენტარისა და მოწყობილობის წარმოების ორგანიზაცია. დღევანდელ ვითარებაში სოფლად აღდგენილი უნდა იქნას სამჭედლოები და მექანიკური სახელოსნოები, სადაც შესაძლებელი იქნება წვრილი ტექნიკის ინვენტარისა და მოწყობილობების შეკეთება.

საინჟინრო ტექნიკური მომსახურების ერთ-ერთი სახეა ტრაქტორების, სატრანსპორტო საშუალებების და სხვა სახის ტექნიკის შეკეთება, რომელიც ძირითადად გადაწყვეტილი უნდა იქნას ყოფილი “საქსოფტექნიკის” ბაზაზე, მაგრამ მათ ხელი არ უნდა შეუშალონ ანალოგიური დანიშნულების კერძო სტრუქტურების შექმნასა და საქმიანობას.

რაც შეეხება ვეტერინალურ და აგრონომიულ-ზოოტექნიკურ მომსახურეობას, იგი სოფლად ჯერჯერობით ხორციელდება სახელმწიფო სამსახურების მეშვეობით, მათთვის დადგენილი ფორმით და ჩვეული ტრადიციებით.

მიუხედავად იმისა, რომ მეცხოველეობამ მთლიანად გლეხურ მეურნეობებში გადაინაცვლა და იგი გახდა ამ დარგის პროდუქციის ძირითადი მიმწოდებელი ვეტერინალური მომსახურეობა დროებით მაინც სახელმწიფომ უნდა განახორციელოს მთელი ქვეყნის მასშტაბით და ერთიანი ვეტერინალური პოლიტიკის საფუძველზე. ამასთან, ადგილობრივი პირობების შესაბამისად, მიზანშეწონილია სოფლად ვეტერინალური მომსახურების კერძო და კომერციული სამსახურების არსებობა.

ზოოტექნიკური მომსახურებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სოფლად პირუტყვის ხელოვნურად დათესვლის პუნქტების მოწყობას. საქმე იმაშია, რომ გლეხურ მეურნეობებში დაბალი პროდუქტიულობის მთავარ მიზეზს უჯიშო პირუტყვი წარმოადგენს და მისი ჯიშობრივი შემადგენლობის შეცვლა არის ხორცისა და რძის სიუხვის შექმნის უმოკლესი გზა.

ახლანდელ პირობებში, როდესაც გლეხური მეურნეობა სოფლის ძირითადი მეწარმე ხდება ახლებურად გადაწყვეტას მოითხოვს სამელიორაციო მომსახურეობა, რომელიც ჰიდრომელიორაციასთან ერთად თანაბრად გულისხმობს აგროტექნიკური, ქიმიური, ტექნიკური და სხვა ღონისძიებების განხორციელებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკური, წყალ-ჰაეროვანი და მცენარის ზრდა განვითარებისათვის საჭირო სხვა თვისებების გაუმჯობესება.

ჰიდრომელიორაციულ ღონისძიებებში ქვეყნის ერთ ნაწილში მნიშვნელოვანია ჭარბი წყლის მოცულობა, მეორეში კი მორწყვა. დღევანდელ გარდამავალ ეტაპზე ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებების საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 13 იანვრის №20 ბრძანებულება “მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგებში განხორციელებული რეფორმის პირველ ეტაპის შესახებ”, რომლითაც განსაზღვრულია, რომ სარაიონათაშორისო და სამეურნეოთაშორისო დანიშნულების და სარწყავი, დამშრობი და გაწყლოვანების სისტემის სათავე ნაგებობანი, მაგისტრალური არხები, სატუმბო სადგურები, წყალსაცავები და ჰიდროტექნიკური ნაგებობანი სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა და მისი მოვლაშენახვის ასევე ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებიდან.

სახელმწიფო სახსრებით აშენებული შიდა სამეურნეო ქსელი და მათზე არსებული ტექნიკური ნაგებობანი გადაეცათ გამგებლობაში ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და მათი შენახვა

ექსპლოატაცია განხორციელდება ადგილობრივ ბიუჯეტში მიწის გადასახადიდან მიღებული თანხებიდან.

აღნიშნული ბრძანებით შიდა სამეურნეო ქსელებისა და მათზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობათა მიწით მოსარგებლეთა მომსახურების მიზნით რეკომენდირებულია კოოპერატივების შექმნა, რომელთა დამფუძნებლებიც იქნებიან მიწის მესაკუთრენი და მიწათმოსარგებლენი, ოჯახური მეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, სააქციო საზოგადოებები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და სხვა ფორმით სამართალმემკვიდრე კოლექტიური მეწარმეები.

სამწუხაროდ სამელიორაციო კოოპერატივების ფორმირება, მითუმეტეს სამეურნეო მოწყობა და საქმიანობის დაწყება ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. რაც შექმნილია ისინი ჯერჯერობით ვერ მუშაობენ საჭირო ტექნიკური და ფინანსური საშუალებების უქონლობის გამო.

სოფლად მიმდინარე რეფორმები და მიწების პრივატიზაცია გარკვეულად ართულებს მელიორაციული ღონისძიებების განხორციელებას. საქმე ისაა, რომ მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემამ გამოიწვია მისი წვრილ კონტურებად დანაწილება, რომელიც მუშავდება სხვა და სხვა დროს, განსხვავებულია კულტურათა განლაგება და სხვა. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ მოსალოდნელია სამელიორაციო კოოპერატივების განსახელმწიფოებრიობა, იმდენად რამდენადაც მათ გაცემული აქვთ სახელმწიფო ქონება და ნაწილობრივ ფინანსდებიან ადგილობრივ ბიუჯეტიდან.

მდგომარეობა შემსუბუქდება ალბათ, თუ მოხდება სამელიორაციო კოოპერატივებზე გადაცემული ქონების პრივატიზაცია ისე, რომ მათ მიიღონ კერძო მეწარმის სტატუსი. ამასთან ერთად, მათმა არსებობამ ხელი არ უნდა შეუშალოს ალტერნატიული სამსახურების ჩამოყალიბებას და კონკრეტულ გარემოს შექმნას. მეურნეობრიობის ახალი პირობების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი საკითხი მარკეტინგული საქმიანობის სწორად ორგანიზაციაა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდას უშუალოდ განაპირობებს ბაზარი. მაგრამ მეწარმისათვის დამახასიათებელი არ არის გასაღებასთან დაკავშირებული საქმიანობა. იგი ყოველთვის ცდილობს მისგან გამოთავისუფლებას. აშშ-ს მსხვილი ფერმერებიც კი, რომლებიც 1000 ტონაზე მეტ სასაქონლო მარცვლეულს აწარმოებენ, გასაღების კოოპერატივის წევრები არიან და მას აბარებენ თავის პროდუქციას, ინაწილებენ მათ მოგებას და ზარალს.

ჩვენი ქვეყნის მეწარმეები, მითუმეტეს გლეხური მეურნეობები, რომლებიც მცირე რაოდენობის სასაქონლო პროდუქციას აწარმოებენ, დაინტერესებული არიან არ გაწიონ ზედმეტი ხარჯები და ადგილზევე მოახდინონ პროდუქციის რეალიზაცია, ამისათვის რა თქმა უნდა საჭიროა ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია გასაღების ისეთი ფორმა ორგანიზაცია, როცა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამართალ-მემკვიდრეს სააქციო საზოგადოებები, იქნებიან ისინი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, სააქციო საზოგადოებები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები თუ სხვა, თვითონ შეისყიდონ გლეხურ მეურნეობებში წარმოებული პროდუქცია და

საკუთარი წარმოების სასაქონლო პროდუქციასთან ერთად, მიაწოდონ მომხმარებელს. ამისათვის საჭირო გამოცდილება ქვეყანაში უკვე არსებობს, განსხვავებული იქნება მხოლოდ ის, რომ მათ თვითონ უნდა მონახონ მყიდველები და დაამყარონ მათთან ურთიერთობა. გლეხური მეურნეობიდან პროდუქცია მიღებულ უნდა იქნეს შეთანხმებულ ფასებში. ამასთან სასარგებლო იქნება თუ გლეხური მეურნეობები მონაწილეობას მიიღებენ შემსყიდველი საწარმოების დამზადების საქმიანობის შედეგებში, რათა გაინაწილონ მიღებული მოგება ან დაფარონ შესაძლო ზარალი.

საბაზრო ურთიერთობის პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს სოფლის მეურნეობის მეწარმეთა საინფორმაციო საკოსულტაციო მომსახურეობა, ის რომ ჯერჯერობით ასეთი სახის მომსახურება არ არსებობს, დიდად აუარესებს პრივატიზაციის შედეგებს.

საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება ცენტრალიზებული დაგეგმვის პირობებში იმდენად საჭირო არ იყო და ამ მიმართულებით არც გამოცდილება გაგვაჩნია. დღეს მეწარმე ვერ გაუძლებს მეურნეობას, თუ მას არ ექნება სრულფასოვანი ინფორმაცია სამეწარმეო კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, ბაზრის კონიუქტურის, საწარმოო საშუალებების და საკრედიტო ბაზრის, მეცნიერებებისა და ტექნიკის მიღწევების, ვალუტის კურსის, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებისა და მავნებლების მოსალოდნელი გავრცელების და სხვათა შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოების შედეგებზე.

ასეთი მომსახურება თანაბრად საჭიროა გლეხური მეურნეობებისათვის, რომელთა მრავალრიცხოვნობა და ვრცელ

ტერიტორიაზე არსებობა ართულებს, საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების ორგანიზაციას.

ყველა შემთხვევაში, მაინც სოფლის მეურნეობისა და სურსათის რაიონული სამმართველოები უნდა გახდნენ ასეთი მომსახურების ცენტრები. აქ შეიძლება შეიქმნას სპეციალისტების ჯგუფი ან სპეციალური სამსახური სამეურნეო ანგარიშზე, რომლებიც მიიღებენ და გადასცემენ საჭირო ინფორმაციებს და კონსულტაციებს. სისტემა ისეთი უნდა გაიმართოს, რომ ნებისმიერმა მეწარმემ საჭირო ინფორმაცია მიიღოს თავისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ხოლო დღევანდელ ეტაპზე რაიონულ ცენტრში მაინც.

საინფორმაციო ვაკუუმი, რომლებიც ბოლო წლებში წარმოიშვა, დიდად უშლის ხელს სოფლად რეფორმების მიმდინარეობას, კრიზისული მდგომარეობის დაძლევას, მეურნეობრიობის საბაზრო ფორმების დამკვიდრებას, პრივატიზაციის ეფექტიანობის ამაღლებას, აგრარული პოლიტიკის სწორად გაგებას.

სამწუხაროა, რომ სოფლის მეწარმეთა უდიდესი ნაწილი, მათ შორის გლეხური მეურნეობები, სუსტად ერკვევიან, საბაზრო ურთიერთობებსა და მეწარმეობის პრინციპებში, თავიანთ უფლებებსა და მოვალეობაში.

სოფლად მიმდინარე რეფორმების დაბალი სოციალურ-ეონომიკური შედეგი იმაშიც გამოიხატება, რომ ძალიან დაბალ დონეზეა სოციალური ინფრასტრუქტურა განსაკუთრებით მთის ზონაში, სადაც იგი ხელაღებით დანგრეული და მიტოვებულია. ჩატარებული გამოკვლევები იმას მოწმობენ, რომ სოფლად ფაქტობრივად შეწყდა სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობა

და ფუნქციონირება, გზებისა და ხიდების მშენებლობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, სოფლის მეურნეობის დიდმა ნაწილმა კი გამყიდველის პროფესია მიიღო და დისკვალიფიკაცია განიცადა. მაშინ როდესაც ქვეყანაში საკმაოდ არის მიტოვებული სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწები. განსაკუთრებულ გულისტკივილს იწვევს სამედიცინო მომსახურება. ამ დარგში განხორციელებულმა რეფორმამ ისეთი მდგომარეობა შექმნა, როდესაც ავადმყოფი მოკლებულია ექიმის დახმარებას. მშრომელებს არასერიოზულად მიაჩნიათ განცხადებები იმის თაობაზე, რომ ჯანდაცვის სისტემის რეფორმირება მიმდინარეობს სტანდარტების დონეზე.

უნდა ითქვას, რომ სოფლად საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურისათვის ხელშეწყობა ხელისუფლებამ უნდა იკისროს. მდგომარეობის შემსუბუქება შეუძლია სახელმწიფო რეგულირების შესაძლო პროგრამების განხორციელებას. სოფლად საქონელმწარმოებელთა ეკონომიკური ინტერესები უნდა ამაღლდეს საფინანსო, საგადასახადო, საკრედიტო, საბაზრო პოლიტიკის მოხერხებულად გამოყენებით. მსოფლიოს მაღალ განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობისა და სახელმწიფო პროგრამებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოფლის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამებს (ელექტროფიკაცია, საგზაო მშენებლობა, მელიორაცია, განათლება, ჯანდაცვა და ა.შ.) კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანისათვის აუცილებელია აგროსერვისის განვითარებისათვის სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა, იქნება ეს

სპეციალური პროგრამების მეშვეობით, თუ დარგისადმი ფინანსური დახმარებითა და რაციონალური ფისკალური პოლიტიკის გატარებით.

2.3. სამეწარმეო საქმიანობის მიმართულებები საქართველოს აგრობიზნესში

რეფორმების პროცესში მოხერხდატოტალიტალური, ცენტრალიზებული პრინციპებით აგებული სისტემის ტრანსფორმაცია საბაზრო კანონებით ფუნქციონირებად, თვისობრივად ახალ სისტემად. ეს სისტემათა ჭიდილი მოიცავს არა მხოლოდ მეურნეობის წარმართვის მექანიზმების გარდატეხას, არამედ ძველი და ახალი მსოფლმხედველობის ორთაბრძოლას, რის შედეგადაც, ცალსახად დადასტურდა საბაზრო რეფორმების აღებული კურსის სისწორე და მისი შეუქცევადი ხასიათი. რეფორმის სოციალურ-ეკონომიკური შედეგი თვალნათლივ ამტკიცებს იმას, რომ ამ კურსის თანმიმდევრულად წარმართვამ განაპირობა ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცება და პირიქით, მისმა არათანმიმდევრულმა, არასწორმა მიმართულებამ ქვეყანა მოაქცია ეკონომიკურ კრიზისში.

თუ ციფრებს გადავხედავთ, შევნიშნავთ, რომ ეროვნულ ეკონომიკაში 1996-1998 წლამდე, როცა რეფორმა პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობდა, სახეზეა უდაოდ პოზიტიური ტენდენციების განვითარება, მაგრამ 1998-2000 წლებში, ამ კურსის არასწორი მიმართულებით გატარებამ, დადებითი ტენდენციების შემცირება დაცემა განაპირობა.

ბუნებრივია იბადება კითხვა, რა არის ამის ძირითადი მიზეზი? ამის ძირითად მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ქვეყნის ეკონომიკაში განხორციელებული არათანმიმდევრული, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა.

მდგომარეობის გამოსწორებისათვის საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად დავაღწიოთ თავი სტიქიურ ბაზაარს და გადავიდეთ ნორმალურ საბაზრო ეკონომიურ ურთიერთობებზე.

ღოგორც ცნობილია, საბაზრო ურთიერთობების ფორმირების სისტემა უნდა ეფუძვნებოდეს შემდეგ პრინციპებს:

საბაზრო გარდაქმნის სოციალურ მიმართულებებს, ბაზარზე თვითრეგულირების სახელმწიფო ზემოქმედების შერწყმას, ბაზარზე საკუთრების ყველა ფორმის მონაწილე სუბიექტების თანაბარ უფლებებს, მაკროეკონომიკური მექანიზმების ფორმირებას და მათი გავლენის გათვალისწინებას ქვეყნის ბაზარზე. ასეთი თანამიმდევრული კურსის გაუტარებლობამ სრულებით ვერ აამოქმედა ეკონომიკური ზრდის ბერკეტები: მიწა, კაპიტალი, შრომა, სამეწარმეო უნარი და სახელმწიფოებრივი მმართველობის ქმედითუნარიანობა. ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანად ფუნქციონირების მისაღწევად საჭირო და აუცილებელია, შეტანილი იქნეს კორექტივები საბაზრო ურთიერთობის მოქმედ მოდელში, მისი მიმართულებასა და სტრუქტურაში, მიზნისა და რეალიზაციის ძირითად მექანიზმებში. ამასთან დაკავშირებით, სადღეღამისო მიწოდება იმის შესახებ, რომ “მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს” არ არის მთლად გამართლებული იმიტომ, რომ მრეწველობა კი არ გადაარჩენს და განამტკიცებს ქვეყნის ეკონომიკას, არამედ მეწარმეობა

გადაარჩენს და ააღორძინებს ქვეყანას! მეწარმეობა ეკონომიკის ყველა დარგს მოიცავს, იგი საბაზრო ეკონომიკის ისეთი ფენომენია, რომელიც მართლაც, რომ ქვეყნის აღორძინების საფუძველი გახდება. მას შეუძლია ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგში და მათ შორის მრეწველობაშიც შექმნას წარმოების ზრდის მასტიმულირებელი პირობა და შესაბამისად საფუძველი დაუდოს პროდუქციის წარმოების განუხრელი ზრდის შესაძლებლობებს მატერიალური და არამატერიალური წარმოების ყველა სფეროში. ეს ნამდვილად იქნება ქვეყნის ჩავარდნილი ეკონომიკის ამომყევი და ამაღორძინებელი. იგი განამტკიცებს და შექმნის ძლიერ ეკონომიკას, ქვეყანას იხსნის მწვავე ეკონომიკური კრიზისიდან, ხალხის ცხოვრების დონეს გააუმჯობესებს და აამაღლებს.

სოფლის მეურნეობაში საკუთრების ფორმის შეცვლა, თუ იგი მოწყვეტილია აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო ძალებისაგან თავისთავად ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკურ განვითარებას და ეფექტურ შრომას. ასეთ პირობებშია დღეს ჩვენი ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსი. ცნობილია, რომმეწარმეობა წარმოადგენს დამოუკიდებელ, მეწარმის საკუთარი რისკით განხორციელებულ საქმიანობას, რომელიც მოგების მიღებას ეფუძვნება. ხოლო მეწარმეობის მიზნით მოწყობილი საწარმო-წარმოება კი არის საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების ერთიანობა. იგი დღემდე სრულად ვერ ჩამოყალიბდა.

სამეწარმეო საქმიანობა სოფლის მეურნეობაში შეიძლება დავახასიათოთ ოთხი ძირითადი ნიშნით:

- მეწარმეობის დამოუკიდებლობა;
- საქმიანობის განხორციელება საკუთარი რისკით;
- რეგისტრაციის აუცილებლობა;
- მეწარმეობის ფორმირება;
- მიზანი მოგების მიღება.

სამეწარმეო საქმიანობა არის ენერგიული და ინიციატივიანი ადამიანების საქმიანი მოღვაწეობა. მეწარმე მთლიანად ან ნაწილობრივ რომ ფლობს რაიმე მატერიალურ ფასეულობას, იყენებს მათ ბიზნესის ორგანიზაციისათვის, რომელსაც თვითონ მართავს, სწორედ მეწარმეობა აქცევს რეალობად მრავალ საინტერესო იდეას, იგი არის მცდელობა, მოიგონოთ გააკეთოთ რაღაც ახალი ან გაუმჯობესოთ უკვე არსებული.

სანამ თითოეული ჩვენთაგანი, დიდი თუ პატარა, არ გაიცნობიერებს, რომ შეიცვალოს სახელმწიფოს ეკონომიკური პილიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ქართული წარმოებების ხელშეწყობისა და განვითარებისაკენ, არაფერი გამოგვივა.

ძლიერი სახელმწიფოს საფუძველი ძლიერი ეკონომიკაა. ეს კი მოითხოვს, რომ ავაღორძინოთ მისი წარმოების ფუნდამენტალური დარგები: სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, პრიორიტეტი ამჟამად არცერთს არ ეძლევა. ამ ამოცანის განხორციელება თავისუფლად შეიძლება, რადგან ჩვენი მიწა ამის საფუძველს იძლევა, იგი მადლიანია და ავაღორძინებთ სოფლის მეურნეობას. ამავე დროს ჩვენ გაგვაჩნია სამრეწველო პოტენციალი, რომ ასევე ავაღორძინოთ მრეწველობა.

განა სირცხვილი არ არის, რომ უძველესი კულტურისა და სამი ათასი წლის სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყანაში ადამიანებს ნორმალური ცხოვრების უფლებაც არა აქვთ. გადარჩენა ჩვენი ტრადიციული ქართული ცხოვრების წესის აღდგენაში, ჩვენი მამულის, ჩვენი მამულის, ჩვენი მიწაწყლის გაცოცხლებაში, ჩვენი მეურნეობის აღორძინებაშია. საამისო ძალა კი მეწარმოების აღორძინებასა და განვითარებაშია. ხაზგასმით გვინდა ავღნიშნოთ, რომ ამის საფუძველი არსებობს, ეს შეგვიძლია ყველას ერთად, რადგან ძალა ერთობაშია. მეწარმეობის განვითარება კი ამის ფუნდამენტი, გარანტი გახდება. ახლა ისმება კითხვა, როგორ ვითარდება დღეს მეწარმეობა, რომელმაც უნდა ააღორძინოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა.

ამ კითხვაზე შეიძლება ცალსახად ვუპასუხოთ, იგი არ ვითარდება ისეთი მიმართულებით და მასშტაბებით, რომელმაც უნდა შექმნას ქვეყნის აღორძინების საფუძველი. დღეს მეწარმეობას არა აქვს ხელშემწყობი პირობები, ქვეყანაში ძნელად მოიძებნება ნამდვილი მეწარმე, არა და მეწარმეობამ უნდა გადაარჩინოს ქვეყანა, ეკონომიკა მან უნდა ააღორძინოს ხალხის ცხოვრების დონე ამის საფუძველზე ამაღლდება კვლავაც ხაზგასმით ავღნიშნავთ, რომ ჩვენში მეწარმეობის განვითარებისათვის დღემდე არ შექმნილა შესაბამისი გარემო პირობები, საგადასახადო, საკრედიტო, საფინანსო, სადაზღვევო, საბაჟო, სუბსიდირება და სხვა მექანიზმები. ამის გამო თითოეულმა საქონელმწარმოებელმა დღემდე ვერ იპოვა თავისი ადგილი საბაზრო ურთიერთობაში და ფაქტობრივად ეკონომიკა ცალკეულ დარგებში, თითქმის აუმოქმედებელია. არსად არ გაგვაჩნია ორგანიზაციულ-სამართლებრივი თვალსაზრისით ჩამოყალიბებული ახალი ტიპის

მეწარმე და მეურნეობრივად გამართული შრომითი კოლექტივი. მიუხედავად ამრავალი პრობლემისა, საქართველოში სამეწარმეო აქტივობა საკმაოდ მაღალია, ამიტომაც სოფლად დამოუკიდებელი და თავისუფალი მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბება, მათი საქმიანობის გარემო პირობების შექმნა ქვეყნის ყველა დარგის აღმავლობის ერთადერთი გზაა.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი "მეწარმეთა შესახებ", რომელიც პარლამენტმა 1994 წლის ოქტომბერში მიიღო და წარმოადგენს ახალი ტიპის მეწარმეობის ორგანიზაციის ძირითად ნორმატიულ აქტს, არ ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის სპეციფიკას, რომ საბაზრო ტიპის სოფლის მეურნეობა საწართველოში უნდა შეიქმნას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების ბაზარზე, რომელიც მრავალნაირ პრობლემასთან არის დაკავშირებული.

სოფლის მეურნეობა, რომელიც ადამიანების სასიცოცხლო დარგს წარმოადგენს იმის ღირსი კი იყო, რომ მიღებული ყოფილიყო დარგის რეორგანიზაციისა და საბაზრო ეკონომიკაზე დინამიურად გადასვლის კანონმდებლობა, რომელიც ყველასათვის გასაგები იქნებოდა ვინც ამ სფეროში მეწარმეობას მოისურვებდა, მაგრამ ეს სამწუხაროდ არ მოხდა და ჯერჯერობით არც არავინ ფიქრობს მის გამოსწორებას. არ არსებობს ეროვნული პროგრამა, სადაც თითოეულ რაიონს და მეურნეობას (საწარმოს) კონკრეტული პირობების გათვალისწინებით წარმოდგენილი იქნებოდა შესაბამისი რეკომენდაციები, განხორციელების მიმართულებანი და ვადები.

სწორედ ამის შედეგია, რომ რეფორმების დაწყებიდან 10 წლის შემდეგ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები,

სამურნეზათაშორისო და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები აღარც ძველი და აღარც ახალი სამეურნეო-ორგანიზაციული და სამართლებრივი ფორმებით არ არიან ფორმირებული და მეწარმეობის უნარი არ გააჩნიათ, მოხდა ისე, რომ აგრარული რეფორმა სტიქიურად თვითდინებაზე, მიშვებული აღმოჩნდა და სწორედ ეს არის კრიზისის გაღრმავებისა და გაჭიანურების მიზეზი, ამ ქაოსის პირობებში განსაკუთრებით დაზარალდა კოოპერაციული სექტორი, რომლის პარტნიორობაზე თავიდანვე აიღეს ხელი ხელისუფლების ორგანოებმა.

დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოებიდან ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა წვრილი ნატურალური, ნახევრად ნატურალური და საოჯახო მეურნეობები. მათ ბაზარზე გასვლა კი არაეფექტიანია-სასურსათო პროდუქციის წარმოებისა და ბაზრის გაჯერების ინტერესების თვალსაზრისით.

გამოსავალი ამ გზიდან ფერმერთა "წმინდა" თეორიით ისაა, რომ "მეწარმე ყოველთვის უნდა იღებდეს მაქსიმალურ მოგებას." ეს წმინდა თეორიული მოთხოვნა, ქართული აგრარული სექტორისათვის მისი წარმოების სპეციფიკური და ეროვნული ნიშანთვისებიდან, აგრეთვე ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე მიუღებელია, ეს იმიტომ, რომ ჩვენთან არის ნამდვილი მეწარმის შრომითი მოტივაცია. ამის გამო, ბაზრის გაჯერების ინტერესებიდან და მეწარმის მატერიალური დაინტერესებიდან გამომდინარე უნდა შეიცვალოს შრომის მოტივაცია.

მეწარმეთა შორის ჩატარებული უახლესი გამოკითხვები მოწმობს, რომ მათი 70% მოითხოვს საგადასახადო კოდექსის გადახედვას და გადასახადების ლიბერალიზაციას. ამასთან, მეწარმეთა 76%-ის

აზრით, საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია გაზრდის გადამხდელთა რაოდენობას, ვინაიდან, გადახდა უფრო ხელსაყრელი იქნება მისგან თავის არიდების რისკთან შედარებით. თავისთავად ეს არის საზოგადოებრივი აზრის ნათელი გამოხატვა და მისი იგნორირება დაუშვებელია. გარდა ამისა, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულ მეწარმეთა 75%-ის აზრით, ბოლო წელიწადში პროდუქციის გამოშვების ხარჯები გაიზარდა, ხოლო მათი საქმიანობის ეკონომიკური კონიუქტურა გაუარესდა, გამოკითხულ მეწარმეთა ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ მათი მოგება შემცირდა. ასე მიიჩნევს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ მეწარმეთა 65,7%, მრეწველობაში – 51,6%, ვაჭრობაში – 52,7%, დანარჩენ დარგებში – 55,5%. ასეთია გარკვეულ წილად, საზოგადოებრივი აზრი, რომელიც არ შეიძლება გათვალისწინებული არ იქნეს.

სოციალისტური ეკონომიკის სისტემიდან თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ლოგიკურად აყენებს ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული პროცესების შესაბამისად, სამეურნეო ცხოვრენის საკუთარი ორგანიზაციის მოწყობას, რომელშიც შეხამებული იქნება მეურნეობრიობის ტრადიციული პრინციპები, გამოცდილება და თანამედროვე მსოფლიო აგრარული სექტორის განვითარების თავისებურებები, კანონზომიერებანი.

საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს აგრარული რეფორმის განხორციელებისათვის საჭირო მრავალი საკანონმდებლო-სამართლებრივი აქტი, მათ შორის გლეხური და ფერმერული მეურნეობების განვითარების ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზაც.

ამდენად, გლეხური და ფერმერული მეურნეობა იურიდიულად შეზღუდულია, ვიდრე ვითარება არ შეიცვლება, იგი ზემოთ აღნიშნული სტატუსით ვერ განვითარდება, თორემ ტენდენცია მისი ინდივიდუალური საწარმოს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების თუ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმის ჩარჩოებში მოქცევისა, რომელსაც აწესებს "მეწარმეობის შესახებ" _ კანონი, დღეს უკვე ხაზზეა, თავისი უარყოფითი შედეგებით, რაც თავის მხრივ აბრკოლებს მეწარმეობის განვითარებას.

არადა საქართველოში დღეს უამრავია ისეთი სასოფლო-სამეურნეო საწარმო, რომელიც არსით ფაქტიურად გლეხური მეურნეობაა, (ხოლო ფერმერული მეურნეობა ძალზედ უმნიშვნელოდ არის წარმოდგენილი), მაგრამ იმის გამო, რომ მისი ამ სტატუსით ფუნქციონირება სათანადო იურიდიული ბაზის არსებობის გამო შეუძლებელია, მოქცეულია სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ჩარჩოებში და ისევე იბეგრება, როგორც მრეწველობის თუ ვაჭრობის საწარმო. ეს იმ დროს, როცა განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფერმერული მეურნეობები მთელი რიგი შეღავათებით სარგებლობენ, რის გამოც ხშირად სხვა დარგის საწარმოები თავისი კაპიტალის ნაწილს სოფლის მეურნეობაში სწორედ ზემოთ აღნიშნული შეღავათებით სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით აბანდებენ. ამდენად, გლეხური და ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის სათანადო იურიდიული ბაზის შექმნას და მის საფუძველზე საგადასახადო სისტემის დახვეწას უკვე დღეს ესაჭიროება სერიოზული მიხედვა და სახელმწიფო დონეზე

გადაწყვეტა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამა თუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ფუნქციონირებადი ბევრი სასოფლო-სამეურნეო საწარმო ხვალ არსებობას შეწყვეტს, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის სოფლად მეწარმეობის განვითარებას.

საერთაშორისო ექსპერტების (მათ შორის ბანკის) მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლა მოწმობს, რომ რესპოდენტთა 40%-ზე მეტი არაოფიციალურ გადასახადებს ჩვეულებრივ და აუცილებელ მოვლენად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, არასრულყოფილი კანონმდებლისა და სუსტი ადმინისტრირების ფონზე, არაოფიციალური ურთიერთობები, გარკვეულწილად ჩაენაცვლა ოფიციალურად მიღებულ კანონებს და ჩვეულებრივ ნორმად იქცა. ყოველივე ეს გაცდა მხოლოდ ეკონომიკურ სფეროს ზღვარს და სერიოზული პრობლემის წინაშე გვაყენებს.

საგულისხმოა ისიც, რომ მეწარმეთა შორის ჩატარებული სტატისტიკური გამოკითხვის თანახმად, მაინც აქ ოპტიმისტური განწყობა სჭარბობს, გამოკითხულ მეწარმეთა _40%-ს მიაჩნია, რომ მათი სამეწარმეო აქტივობა უახლოეს პერსპექტივაში გაიზრდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათ მხარდაჭერა ექნებათ სახელმწიფოსაგან), მხოლოდ _20% ვარაუდობს აქტივობის შემცირებას. სტატისტიკური გამოკვლევების თანახმად მეწარმეთა _86%-ის მიერ გამოშვებული პროდუქცია მაინც სამამულო ბაზარზეა ორიენტირებული და მხოლოდ _12%-მდე ახერხებს ნაწილობრივ ან მთლიანად საგარეო ბაზარზე მის გატანას, დანარჩენს საერთოდ უჭირს საკუთარი პროდუქციის გასაღება.

მიუხედავად ამისა, ვაჭრობა შედარებით ნაკლებიკაპიტალტევადობის გამო სამეწარმეო თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი დარგი გახდა. ამ დარგში არის მეწარმეთა მთელი რაოდენობის ნახევარზე მეტი დასაქმებული.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო სტრუქტურებმა ვერ მოახერხეს მყარი ხიდის გადება კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის. დღეს ერთმანეთისადმი გარკვეულ დაპირისპირებაშია კერძო სექტორი (კერძო ინტერესი) და სახელმწიფო სექტორი (საზოგადოებრივი ინტერესი), რაც დაუშვებელია. იგი უნდა აღმოფხვრას კერძო ინტერესებიდან სახელმწიფოს ინტერესების ჰარმონიული შეთანწყობის გზით. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტმა დაკარგა მთავარი ფუნქცია შემოსავლების გადანაწილება საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით.

საქართველოს კანონის (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ) პირველი თავის, მეოთხე მუხლის, პირველი პუნქტის თანახმად: “საადგილმამულო (ფერმერულ) მეურნეობად ითვლება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, მასზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობათა ერთობლიობა, რომელსაც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს”. ამ მუხლის მეორე პუნქტით “საადგილმამულო (ფერმერულ) მეურნეობად მიიჩნევა მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა სააგარაკო ნაკვეთი, თუ მისგან მიღებული შემოსავალი შეადგენს ოჯახის შემოსავლის ნახევარზე

მეტს”, ხოლო ამავე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად: “საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობა შეიძლება არსებობდეს საკომლო (გლეხური, ფერმერული) მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო იურიდიული პირის სახით”. ბუნებრივია, ასეთი დიფერენცია საკმაოდ გაუგებრობას იწვევს, რადგან ამ ფორმულიდან გამომდინარე არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს გლეხურ, ფერმერულ-მეურნეობებს, ოჯახურ-ფერმერულ, გლეხურ-ფერმერულ, თუ საადგილმამულო-ფერმერულ მეურნეობას ვუწოდებთ, ან რა მიმართულებით მოვახდენთ მის ორგანიზაციას.

ფაქტია, ისიც, რომ ახალი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შერჩევის, ჩამოყალიბებისა და შემდგომში განვითარების დაჩქარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დასაძლევად, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად, ეკონომიკის შემდგომი პროგრესისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. მისი ეს მნიშვნელობა და როლი კიდევ უფრო გაიზრდება მომავალში, საბაზრო ურთიერთობის განვითარებასა და სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ახალი დიდი ამოცანების პარალელურად, ეს გასაგებიცაა და იგი ახლავე შესაბამისად უნდა იქნეს გასწორებული. მეურნეობრიობის ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შერჩევის, ჩამოყალიბებისა და შემდგომში განვითარების აუცილებლობიდან გამომდინარე, რომლებმაც საბოლოო ანგარიშით უნდა უზრუნველყოს არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოვლენა და რაციონალურად გამოყენება.

დღის წესრიგში დადგა უცხოური ინვესტიციებისათვის მაქსიმალურად ხელშეწყობის საკითხი, სახელმწიფოს ხელში დარჩენილი ქონების მართვის ეფექტურობის ამაღლება, ბიუჯეტში დამატებითი თანხების მოზიდვის ღონისძიებათა შემუშავება განხორციელება, პოსტპრივატიზების პერიოდში ინსტიტუციონალური ცვლილებებისათვის კონსტრუქციული მხარდაჭერა და პრივატიზების პროცესში ჩამოყალიბებული მესაკუთრეთა და მეწარმეთა ფენისათვის ხელშეწყობა. ყოველივე ეს მოითხოვს სათანადო საკანონმდებლო, სტრუქტურულ და ადმინისტრაციულ ცვლილებებს.

ამჟამად მძიმე ტვირთად აწვება სოფლის მეურნეობას ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო, საკრედიტო, საფინანსო, სადაზღვევო, საბაჟო მექანიზმები. ამის გამო სოფლის მწარმოებელთა ფინანსური მდგომარეობა კრიტიკულია. აღნიშნულის გამო ბევრი საწარმო გაკოტრდება და შეწყვეტს თავის ფუნქციას. მართალია, გაკოტრება საბაზრო მეურნეობის კანონიერი მოთხოვნაა, მაგრამ იგი უნდა ემყარებოდეს ობიექტურად მოქმედ კონკურენციასა და კონკურენტუნარიანობას და არა ანარქიას.

სტატისტიკური გამოკითხვით, მეწარმეთა 46%, ახალი ფინანსების მოსაზიდად, საკუთარი პარტნიორების დანაზოგებს მიმართავს და მხოლოდ 8% იყენებს საბანკო კრედიტს. გამოკითხულთა 89%-მა აჩვენა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის კრედიტს არ იძლევიან ამ დარგში არსებული დიდი რისკის გამო.

მეწარმეთა 62% ნაღდი ფორმით ანგარიშსწორებას ამჯობინებს და მხოლოდ 31% სარგებლობს საბაჟო გადარიცხვებით. ამდენად, საბანკო

სისტემის იგნორირება და საერთოდ ფინანსური ბაზრის განუვითარებლობა ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად კვლავაც რჩება.

არც ერთი საქონელმწარმოებელი სფერო ისე არ არის დამოკიდებული ქვეყნის მაკროეკონომიკურ სიტუაციაზე, როგორც აგროსამრეწველო წარმოება. ამასთან, მას არ შეუძლია აქტიური გავლენა მოახდინოს მასზე თავისი დანაწევრების გამო, რადგან არ არსებობს სრულყოფილი მართვის თვითრეგულირებადი ორგანოები სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ყველა დონეზე. ამას უნდა დაემატოს აგრეთვე ამ დარგში მოთხოვნის დაბალი ელასტიკურობა, წარმოების ხანგრძლივი ციკლი და პროდუქციის შექმნისას სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სამუშაო დროის ერთმანეთისადმი დაუმთხვევლობა, რის გამოც თითქმის შეუძლებელია სწრაფი რეაგირება ბაზრის კონიუქტურის შეცვლაზე. ამ პირობებში ფასები იმდენად დამახინჯებულია, თუ არ იქნება სახელმწიფო მეტად ორგანიზებული, ზუსტი რეგულირება თითქმის შეუძლებელია მისი სრულყოფა-გაუმჯობესება. არა და დღეს დარღვეულია ფათა პარიტეტი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, ასევე ამ დარგებს შორის პროდუქტგაცვლა დღეს სოფლის მეურნეობის დარგის საზიანოდ წარმომართება, ამიტომაც ამ დარეგბს შორის ფასების დისპარიტეტი უნდა აღმოიფხვრას.

კერძო სექტორის მსოფლიოში აღიარებულ ფორმას წარმოადგენს ფერმერული მეურნეობა, იგი სამეწარმეო კანონმდებლობაში გათვალისწინებული არ არის, მაგრამ ხელისუფლების ორგანოების

ცალკეული დადგენილებით მაინც იქნება. საჭიროა მას მიეცეს საკანონმდებლო სტატუსი.

კერძო საკუთრებაზე დაფუძვნებულ მეწარმეებთან ერთად არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულია კოლექტიური მეწარმეობის ფორმები, რომელიც დაფუძვნებული იქნება წილობრივ საკუთრებაზე (სააქციო საზოგადოება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება) ამჟამად კოლექტიური მეწარმეობა სოფლად ძირითადად ყალიბდება ყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე. მეწარმეობის ფორმას სოფელი, ადამიანთა ჯგუფი, თუ ფიზიკური პირი თვითონ ირჩევს იმის მიზედვით, თუ როგორი აქვს საწარმოო პირობები. დიდი შეცდომა იქნება თუ ასეულობით ჰექტარ სახნავს დავაქუცმაცებთ და მასზე მსხვილ მეწარმეობას არ მივცემთ უპირატესობას, ასევე შეცდომა იქნება თუ მსხვილ კოლექტიურ მეწარმეობას ჩამოვაყალიბებთ მიწის მცირე ფართობებზე.

საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში, იმდენად მცირე იყო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რომ იგი საკმარისი არ აღმოჩნდა მოსახლეობის საკარმიდამო მეურნეობის ზღვრულ ნორმამდე შევსებისათვის. ასეთ პირობებში დიდი სურვილის პირობებშიც არ მოხერხდება მეწარმეობის კოლექტიუკი ფორმის შენარჩუნება და გვექნება მხოლოდ კერძო სექტორი საოჯახო მეურნეობის სახით. არის შემთხვევები, როცა მიწის პრივატიზაციის შემდეგ დარჩა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის დამუშავება სოფელმა მოისურვა კოლექტიური წესით და შეიქმნეს

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. ე.ი. ერთი და იგივე სოფელში გვაქვს კერძო, ასევე კოლექტიური მეურნეობები. როგორც ითქვა მეურნეობრიობის ფორმის არჩევა სოფლის კომპეტენციას წარმოადგენს და იგი რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს, თუმცა მრავალია იმის შემთხვევებიც, როცა ვიღაცის ხათრით, ან კიდევ ზევიდან კარნახით ქმნიან უპერსპექტივო კოლექტიურ მეურნეობებს, რომლებიც ბუნებრივია რომ ვერ იარსებებენ.

საბაზრო ტიპის კოლექტიური მეურნეობები, როგორი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმებისაც არ ინდა იყოს ისინი, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შექმნის სამართლებრივი ფორმებით, რაც შეეხება საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის პრინციპებს, იგი იმდენად განსხვავებული არ არის, რომ საჭირო იყოს მასზე ცალკე შეჩერება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების მასშტაბები ჯერ კიდევ არ შეესაბამება რეალურ შესაძლებლობებს.

დასკვნა: უნდა მოვახდინოთ საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების გაერთიანება ე.ი. უნდა შევქმნათ წარმოება, ჩამოვაყალიბოთ საწარმო, ავაღორძინოთ მეწარმეობა. იგი ქვეყნის აგრარულ ეონომიკას ააღორძინებს და სასურსათო უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, სასურსათო უსაფრთხოება კი ჩვენი ქვეყნის ნომერ პირველი პრობლემაა. ამასთან ერთად, აგრარულ სფეროში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ გვიჩვენა, რომ მიღებულია მთელი რიგი დებულებები და მეთოდები, რომლის მიხედვით დღემდე ხდებოდა

მეწარმეობის ფორმირება-განვითარება. ამიტომ საერთო ზოგად პრინციპებთან ერთად აგროსამრეწველო კომპლექსში უნდა გამოვიყენოთ შემდეგი მიდგომები:

- მივაღწიოთ თვითრეგულირებად ბაზარში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერებას;
- შევუქმნათ თანაბარი პირობები ბაზარში მონაწილე ყველა ფორმის მესაკუთრე-სუბიექტებს იმის გათვალისწინებით, რომ ისინი არიან რეალიზებული პროდუქციის, მომსახურების და მიღებული შემოსავლის სრული მესაკუთრეები;
- თანდათანობით უნდა განხორციელდეს ეკონომიკური გარდაქმნებით სოფლის მეურნეობის საქონელმწარმოებელთა ადაპტაცია საბაზრო ურთიერთობებისადმი;
- აგრარულ სექტორში ეფექტიანად მომუშავე საქონელმწარმოებლისადმი უფრო მტკიცე მხარდამჭერი პოლიტიკის გატარება;
- საადგილმამულო ურთიერთობის სრულყოფა, მიწის სრულად, რაციონალურად გამოყენებისათვის სახელმწიფო კონტროლის დაწესება;
- იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო უახლოეს მომავალში გადაიქცევა სატრანზიტო სახელმწიფოდ, აუცილებელი იქნება მისი დარგობრივი სტრუქტურის შეცვლა და მცირე ბიზნესის სწრაფად განვითარება;
- უნდა დაჩქარდეს წარმოების აგროსერვისული მომსახურების ალტერნატიული სფეროს ჩამოყალიბება, როცა მეწარმეს

საშუალება ექნება აირჩიოს მომსახურე სერვისული ორგანიზაცია;

- ინვესტიციებს ყოველგვარი გზით (საშინაო, საგარეოუცხოური) მოზიდვა და პრიორიტეტული დარგების განვითარებისათვის ფართოდ გამოყენება;
- ამასთან, ინვესტიციების მოზიდვას შესაბამისი მასტიმულირებელი გარემო სჭირდება, რომლის უმთავრეს კომპონენტს ქვეყნის სტაბილურობა, კანონის უზენაესობა და ამ საფუძველზე საკუთრების მყალი გარანტიების არსებობა წარმოადგენს;
- მცირე ბიზნესი დაცული უნდა იქნეს ბაზრის მერყეობისაგან, სახელმწიფო გარკვეული, მარეგულირებელი ახალი სისტემის ფართოდ გამოყენებით გზა უნდა გაეხსნას მათ მიერ წარმოებული პროდუქციის თავისუფალ გასაღებას;
- რეგიონებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზონების მიხედვით, უნდა დაზუსტდეს მიწაზე გადასახადის ოდენობანი, მოხდეს მისი უფრო სრულყოფილი დიფერენციაცია ნიადაგის ეკონომიკური ნაყოფიერების მიწის კადასტრული შეფასებისა და რენტული მიდგომების გათვალისწინებით;
- სახელმწიფომ რეფორმის გარდამავალ პერიოდშიც სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე თანდათანობით უნდა შემოიღოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე შეკვეთები;

- სახელმწიფომ უნდა შექმნას სპეციალური პროგრამები მცირე და საშუალო ბიზნესის წასახალისებლად, თუნდაც კონკურსის საფუძველზე;
- მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირება პირველ რიგში გაგებული უნდა იქნას, როგორც სოფლის მეწარმეობის ხელშემწყობი პროგრამების შემუშავება და განხორციელება, მათ შორის დახმარების გაწევა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ხორციელდება;
- საგადასახადო განაკვეთები, რომელსაც სოფლის მეწარმე გადაიხდის, ისე უნდა განისაზღვროს, რომ არ შეიზღუდოს მეწარმის არსებობის და მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პირობები. თუ ამ აზრს უფრო დავაკონკრეტებთ, მაშინ კერძო სექტორის მეწარმის მაგალითზე, ეს იმას ნიშნავს, რომ შემოსავალმა, რომელსაც გლეხური ან ფერმერული მეურნეობა ღებულობს, მთლიანად უნდა დაიფაროს პროდუქციის წარმოების აუცილებელი ხარჯები (ჩვენ ხაზს ვუსვამთ აუცილებელ ხარჯებს, რომლის გარეშე არ არსებობს წარმოება) და მისცეს მოგება არანაკლები რენტაბელობის 50%-ისა, რაც საჭიროა ეფექტური მეწარმეობისათვის. ეს მოთხოვნა თანაბრად ეხება მიწის ფართობს, რომელიც საკომლო მეურნეობას გააჩნია და მეურნეობრიობის სხვა მხარეებს, რომელიც გადასახადით იბეგრება. ე.ი. საგადასახადო განაკვეთი უნდა განისაზღვრებოდეს საოჯახო მეურნეობის შემოსავლის იმ ნაწილის ოდენობიდან გამომდინარე, რომელიც მას რენტაბელობას 50%-ს ზევით რჩება.

თუ გვინდა სოფლის მეწარმეობა გავხადოთ მაღალეფექტური და მცირე აგრობიზნესი ასევე გადაიქცეს საშუალო და შემდგომ დიდ ბიზნესად, აუცილებელია მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან საკანონმდებლო დოკუმენტების შექმნისათვის მიწის ბაზრის შესაქმნელად, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნება მსხვილი სასაქონლო ფერმერული მეურნეობებისა და სხვა ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ორგანიზაცია. მიწის ბაზარი გამოავლენს მაქსიმალურად სოფლის საქონელმწარმოებელთა პოტენციურ შესაძლებლობებს, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაფართოებისა და მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, ხოლო მრეწველობის ნედლეულზე მოთხოვნილების რეალურად დაკმაყოფილების საფუძველი გახდეება. მიწის ბაზრის შექმნამდე კი მაქსიმალურად და სრულყოფილად უნდა ამოქმედდეს კანონი მიწის იჯარისა და არენდის შესახებ, რომელიც ამჟამად რეალურ საფუძველს ქმნის მსხვილი სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ამოქმედებისათვის.

გლეხური, ფერმერული მეურნეობების, აგრეთვე სხვა სახის საწარმოების მიმართ ძალზე მწვავედ დგას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინფორმაციული მასალების მასალების მოპოვებისა და შესაბამისად აღრიცხვის ორგანიზაციის საქმიანობა. საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის ორგანიზაცია და გარდაქმნა. ამისათვის კი საჭიროა მიღებული იქნას სტატისტიკური ანგარიშების სავალდებულო ფორმების ნუსხის სია. დადგენილ იქნას მათი მაჩვენებლების წრე, დაკანონდეს მისი მიღების და ანგარიშების ახალი ორგანიზაცია.

ამასთან ერთად, მიღებულ უნდა იქნეს კანონები და კანონქვემდებარე აქტები:

- “სასოფლო-სამეურნეო მეწარმეობის განვითარების შესახებ”,
- “გლეხური მეურნეობის შესახებ”,
- ფერმერული მეურნეობის შესახებ”,
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფორმების განვითარების შესახებ”,
- პირუტყვის შენახვის, საერთო სარგებლობის საძოვრების გამოყენებისა დაწანახდენების ანაზღაურების წესის შესახებ”,
- გამოუყენებელი მიწების გაკულტურების და სასოფლო წარმოებაში ჩართვის წახალისების წესის შესახებ” და ა.შ.

§ 2.4 მევენახეობის დარგისა და მისი ინფრასტრუქტურის ბიზნესის მართვის, სასურსათო ბაზრის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების საკითხები

განვლილი ათწლეულის პერიოდის ანალიზი ადასტურებს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში აგროსამრეწველო კომპლექსის ინფრასტრუქტურის დარგები მთლიანად არ ფუნქციონირებდა, რამაც ხელი შეუშალა ძირითადი მაპროფილებელი დარგების განვითარებას. ინფრასტრუქტურის დარგები მომსახურებას უწევენ, ეხმარებიან ძირითად დარგებს საწარმოო პროცესების განხორციელებაში, ხელს უწყობენ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგები იმის მიხედვით, თუ რა მიმართულებები და დანიშნულებები აქვთ მათ, იყოფა: ძირითად, დამატებით, დამხმარე და მომსახურე სერვისის დარგებად. დამხმარე და მომსახურე დარგებში შედიან: 1) საწარმოო მიმართულების დამხმარე დარგები და 2) მომსახურების მიმართულების მომსახურე დარგები.

ზემოთ მინიშნებულ პირველ დარგში შედის: სატრაქტორო სერვისი (პარკი), ავტოტრანსპორტი, სარემონტო-მექანიკური სახელოსნო, წყალმომარაგება, ელექტრომომარაგება და ა.შ. ამასთან ერთად, სოფელში არსებობს მომსახურე მიმართულების დარგები, როგორებიცაა: პურის საცხობი, აბანო, საპარიკმახერო და სხვა სერვისის საწარმოები, რომლებიც სოფლად ემსახურებიან ხალხის სოციალურ-კულტურული ღონისძიების განხორციელებას. ეს სტრუქტურები უნდა ჩამოყალიბდეს ამჟამად არსებული სამსახურების სისტემაში ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე კომერციულ საწყისებზე, რომლებიც იმუშავებენ თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებით.

ამჟამად, სოფლად დამხმარე-მომსახურე ტიპის საწარმოები სუსტად მუშაობენ. არ მუშაობს არავითარი დამხმარე-საწარმოო ტიპის საწარმო, როგორიცაა ავტოტრანსპორტისა და სატრაქტორო პარკის სარემონტო მომსახურების საწარმოები. არ არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც მომსახურეობას გაუწევენ ძირითადი საწარმოო მიმართულების დარგებს, როგორებიცაა: მაპროფილებელი დარგები - მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა, მეჩაიეობა და სხვა. ეს დარგები დახმარებას უნდა უწევდეს ძირითად დარგებს, მაგალითად,

მევენახეობაში ვაზით დაკავებული ფართობის მოხვნისა და დამუშავების, შეწამვლის, გოგირდის შეფრქვევის და სხვა საწარმოო პროცესებს. ასეთი ორგანიზაციები მათ უნდა ეხმარებოდეს: ტვირთების ორგანიზებულ ტრანსპორტირებაში, მიწის დამამუშავებელი მანქანა-იარაღების რემონტში, სარწყავი სისტემების მოწყობაში, ირიგაციისა და მელიორაციის სამუშაოებში, ელექტროუზრუნველყოფაში და სხვა ენერგეტიკული რესურსებით დაკმაყოფილების უზრუნველყოფაში.

საქართველოში დამხმარე და მომსახურების სფეროს (სერვისის)
სამსახურებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია "საქსოფლ-სერვისს". მის სისტემაში, საქართველოში, 1994 წლისათვის 6 სარემონტო-მექანიკური ქარხანა, 56 რაიონული სამანქანო-სატრაქტორო პარკი, 6 მიწის სპეციალიზებული და 27 "სოფლენერგოს" რაიონული საწარმო ითვლებოდა, რომელთა ორგანიზაციული დატვირთვისა და გამოყენების მაჩვენებლები სუსტია, იმიტომ, რომ თვითონ სასოფლო-სამეურნეო ფირმები და გლეხური მეურნეობები ცუდად მუშაობენ, რაც მეტად აფერხებს
მომსახურე სერვისის მუშაობას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამუშაოების მოცულობის მატერიალურ-ტექნიკური და ტექნოლოგიური დონე დიდად ჩამორჩება აგროსამრეწველო დარგების საბაზრო კომპლექსში განსახორციელებელ მოთხოვნებს. ზემოთ მინიშნული მომსახურე საწარმოებისა და ინფრასტრუქტურის დარგების დანადგარებისა და ჩარხდანადგარების, მოწყობილობებისა და ტექნიკური

აღჭურვილობის ყველა საშუალება გაცვეთილია ფიზიკურად და მორალურადაც (15 წელზე მეტი ხნისაა საშუალოდ). სერვისის განახლება ფაქტობრივად შეწყვეტილია და მათი შეიარაღება ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლებით მთლიანად ჩამორჩება სხვა ქვეყნების ტექნიკურ მახასიათებლებს.

საქართველოში მომავალში საჭიროა გაძლიერდეს აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში შემავალი საწარმოების მახასიათებლები. ისინი უნდა გავაძლიეროთ ტექნიკური უზრუნველყოფისა და შრომის პროცესთა აღჭურვილობის დონის მიხედვით ისე, რომ ყოველი რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში გვქონდეს ძლიერი სარემონტო და მიწის სამუშაოების სამსახურების სადგურები, რომელთაც რაიონის ყოველ სოფელში ექნებათ ფილიალები, რათა ორგანიზებული მომსახურება გაუწიონ სასოფლო ფირმებსა და ფერმებს, კოოპერატივებსა და გლეხურ-ფერმერულ მეურნეობებს.

ინფრასტრუქტურის დარგების სერვისის არარსებობა სოფლად იწვევს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამუშაოთა ქაოსს, კერძო მომსახურების გაძლირებას, მთავარს _ კალენდარული აგროვადების დარღვევას, რითაც ზიანდება თვით დარგები და კულტურები, მცირდება მათი მოსავლიანობა და მოსავალი. კერძო კუსტარული წესით მომსახურება ძვირი უჯდება ფირმებს, რაც თავის მხრივ აძვირებს წარმოებული პროდუქციის ფასს, ეს კი თავის მხრივ, ვეღარ უძლებს საბაზრო ფასს, ამიტომ, წარმოებისა და საქონელმი-მოქცევის პროცესი ზარალით იხურება, რის გამოც გლეხი იწყებს ვაზის აჩეხვას, რათა მის სანაცვლოდ დათესოს საზამთრო. გლეხი ამ პროცესებში არ

ტყუის, რადგანაც, თუ საზამთრო ჰექტარზე მოიყვანა 30 ტონა, 10 თეთრადაც რომ გაყიდოს პროდუქცია, 1 ჰა საზამთროდან იღებს 3000 ლარს, ხოლო ვენახიდან თუ მიიღებს 1 ჰექტარზე 8 ტ ყურძენს, იღებს 2400 ლარს. ამიტომ, გლეხი ცდილობს სადაც უკუგების მაჩვენებელი მაღალია, მიმართოს იმ კულტურების თესვას, ან გაშენებას.

"ასკ"-ის სისტემაში ინფრასტრუქტურის დამხმარე და მომსახურე დარგების განვითარება სოფლად უპირველესი და აუცილებელი ეტაპია, რომელთა განვითარებას სჭირდება დიდი ოდენობის კაპიტალდაბანდებანი. ამჟამად, ჩვენ საკუთარი საშუალებებით მისი ამ დონეზე განვითარების შესაძლებლობები არ გაგვაჩნია, ამიტომ დგება საკითხი, განხორციელდეს მისი პრივატიზება (განსახელმწიფოებრივობა), გასხვისება, რომელიც, რა თქმა უნდა, საკუთრების უფლებით მოექცევა სხვის ხელში, რაც დადებით შედეგებს იძლევა იმ მიმართულებით, რომ საქმე გაკეთდება გასხვისების უფლებით. მიღებული ინვესტიციების საფუძველზე დანადგარების დადგმით, ახალი გადაიარაღებით გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურის დარგების მომსახურე სფეროს სამუშაოები, ხოლო შემდგომში, თუ არ მოხდა გასხვისება, მიღებული ინვესტიციები და კრედიტები გასასტუმრებელი დაგვრჩება თავისი პროცენტული დანარიცხით. ეს რეალური პერსპექტივაა,
მაგრამ დიდ კაპიტალდაბანდებებს და ინვესტიციებს მოითხოვს.

სარემონტო-ტექნიკური და სატრაქტორო სადგურების პოტენციალის შეცვლის პირობებში მანქანა-დანადგარების სიმძლავრეები გამოყენებული უნდა იქნას იმ შესაძლებლობებით, რომელიც საჭიროა სრული მომსახურების სფეროს

განხორციელებისათვის, რაც სწორ გზად გვესახება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგრეთვე, ერთობლივი საწარმოების შექმნა, როცა უცხოელი პარტნიორი შემოდის თავისი მოწყობილობებითა და დანადგარებით, ხოლო საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის დარგებს უზრუნველყოფს ჩვენი მხარე. ინფრასტრუქტურის დარგების ერთობლივი საწარმოების შექმნა _ ეს დღეისათვის ყველაზე ხელსაყრელ საწარმოთა ფორმად მიგვაჩნია, თუმცა ასეთ შემოსვლას მცირე საწარმოო სიმძლავრეები გააჩნიათ. ორგანიზაციულად ასეთები დაქსაქსულნი არიან და მეტად სუსტია მათი საწარმოო პროცესებთან კავშირების დონეც. მიუხედავად იმისა, რომ ნაკლი გააჩნია შრომის ორგანიზაციის ამ ფორმას, ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ინფრასტრუქტურის დარგების განვითარებას მინიშნებული ფორმით.

ქვეყნის აგროსამრეწველო სისტემის დღევანდელი მდგომარეობა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ტექნიკური რემონტებისა და წარმოებული სატრაქტორო სამუშაოების ორგანიზაციული სტრუქტურა, მთლიანად შეცვლას საჭიროებს. წამყვანი როლი მართვაში, მაინც საბაზრო ურთიერთობას მიენიჭება და ამ სფეროს სახელმწიფოებრივი მართვა კონკურენციის პირობებში დარჩება. უფრო მეტიც, საბაზრო ურთიერთობის პირობებში ინფრასტრუქტურის დარგების მართვა განხორციელდება დეცენტრალიზებული მართვის პრინციპებით, რომელშიც გვექნება ცენტრალიზებული მართვის ფორმები შეზღუდული პრინციპებით, თავისუფალი კონკურენციის განვითარებით.

მიწის პრივატიზაციიდან გამომდინარე, შემდგომი პერიოდი უფრო

დაძაბული აღმოჩნდა. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების რეორგანიზაციის შემდგომ დადგა ინფრასტრუქტურის დამხმარე და მომსახურე წარმოებების მომსახურების ორგანიზაციული ფორმების შეცვლის საკითხი, რაც განპირობებული აღმოჩნდა ორი გარემოების გამო: პირველი ის, რომ მიწების პრივატიზაციის შემდგომ პერიოდში ბევრ მეურნეობებში პრივატიზებული ტექნიკა ზედმეტი აღმოჩნდა, ზოგიერთი რეგიონის მიხედვით კი ნაკლებიც დარჩა და მისი სიმძლავრეები აღარ შეესაბამებოდა ძირითადი მაპროფილებელი დარგების ტექნოლოგიური პროცესების მოთხოვნებს. მეორეც არის ის საკითხი, რომ მეურნეობები უწესრიგოდ დაიშალა, დარჩათ ტექნიკა, რომელიც ზოგიერთი მიკრო რეგიონისათვის ჭარბი აღმოჩნდა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც იმართებოდნენ ცენტრალიზებული მართვის სისტემით, ნაკლოვანებებთან ერთად ბევრი დადებითიც გააჩნდათ, მაგალითად, მევენახეობის დარგში (და საერთოდ, დარგების მიხედვით), ადგენდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტექნოლოგიურ რუკებს, რომლებშიც გათვალისწინებული იყო ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობა მთელი წლისათვის. მათი შედგენის პროცესი წინ უსწრებდა საწარმოო-საფინანსო გეგმის შედგენას და აუცილებელი იყო გაანგარიშებულიყო წარმოების მოცულობა, პროდუქციის გამოსავალი, თვითღირებულება და დანახარჯების მოცულობა. ის დგებოდა თითოეული დარგისა და კულტურის მიხედვით, რაც იძლეოდა ზუსტ სურათს მათი შედეგიანობის შესახებ. ამასთან, საწარმოებში ტექნოლოგიური რუკების შედეგები ნაერთი ანგარიშის მიხედვით შეიტანებოდა

საწარმოო-საფინანსო გეგმებში, რაც წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის მყარ დოკუმენტს. მასში დეტალურად შეიტანებოდა როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი, ასევე დამატებითი, დამხმარე და მომსახურე დარგები.

საწარმოო-საფინანსო გეგმა წარმოადგენდა ერთიან ტიპიურ მაკეტს
(წიგნს), რომელიც უნიფიცირებული იყო დარგების მიხედვით. დამტკიცების შემდეგ ის კანონის ძალას ღებულობდა მართვის პროცესების განსახორციელებლად რაიონის და შემდგომ საქართველოს მასშტაბით. აი, ის პრაქტიკული სახე დაგეგმვისა, რომელიც წარმოადგენდა მთლიანად სოფლის მეურნეობის სამინისტროს მასშტაბით საქართველოს მართვის დონეების განსახორციელებლად შექმნილ აუცილებლობას.

აქედან გამომდინარე, აღსანიშნავია ის, რომ ამჟამად, მეთოდური
სრულყოფის საკითხებზე არავინ არ მუშაობს, არავინ ადგენს ტექნოლოგიურ რუკებს, რაიონის დონეზე არავინ აძლევს დოკუმენტებსა და გაანგარიშებებს საწარმოებში, უშუალოდ ფირმებში არ დგება საწარმოო დავალებები რაიონული მართვის დონეზე, საწარმოებში უმეტეს შემთხვევაში არ იცოდნენ ბიზნეს-გეგმა რა იყო, მასში რა უნდა შეტანილიყო. მეთოდურად არ არის დამუშავებული წარმოების პროცესების ტექნოლოგიური რუკები და საწარმოო დავალებები არც ძირითად (წამყვან), არც დამატებით, არც დამხმარე და მომსახურე დარგებში.

ცენტრალიზებული მართვის სისტემას რაც კარგი ჰქონდა

(ყოველგვარი მეთოდოლოგია და მეთოდი), შეიძლება გადმოვიტანოთ საბაზრო ეკონომიკის სისტემაში საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა გათვალისწინებით (მასში გავითვალისწინოთ წარმოების, საკუთრების, საწარმოთა ორგანიზაციული სტრუქტურებისა და მართვის თავისებურებანი) და ის დავნერგოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში საერთოდ და მევენახეობის დარგში კონკრეტულად. რაც კი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით და კანონებით სამართლებრივ-საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მუშაობაზე გადავედით, საჭიროა მყარად განვახორციელოთ მართვა აგროსამრეწველო სამმართველოს რაიონულ დონეზე, მართვის კომპიუტერული სისტემის შემოღების პირობებშიც. კომპიუტერში დაგეგმვის მაჩვენებელთა სისტემის საფუძველი ჯერჯერობით არის დაგეგმვისა და აღრიცხვის მყარი ნორმატიული დოკუმენტი, როგორიცაა: საწარმოო ბიზნეს-გეგმა, საწარმოო-საფინანსო აღრიცხვის ანგარიშგების მასალები (ბალანსი ფ. №1 თავისი დანართებით).

დაგეგმვა მართვის ფუნქციათა მთავარი შემადგენელი ნაწილია, რომელიც წარმოადგენს მართვის დონეების განხორციელების საფუძველს. იმისათვის, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მაღალ დონეზე ვმართოთ საბაზრო ურთიერთობები და მართვას არ ექნეს ქაოსური ხასიათი, საჭიროა ძირეულ საწარმოებში შედგენილი იქნას საწარმოთა (ფირმების, კოოპერატივების, სააქციო საზოგადოებების და ა.შ.) ბიზნეს-გეგმა. საჭიროა აგრეთვე, შედგენილი იქნას მყარი ბიზნეს-გეგმის უნიფიცირებული მაკეტი, რომელშიც დაიგეგმება მთელი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა.

როგორც ცნობილია, შრომის ორგანიზაციის ძირითად ფორმას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმოადგენდა მუდმივი საწარმოო ბრიგადები, რომელთაც ეძლეოდათ საწარმოო დავალებები ტიპიურ ბალანსზე (წიგნზე). ამჟამად, საბაზრო ეკონომიკის კერძო მეწარმეობის პირობებში საწარმოო დავალებებს აღარ ადგენენ და მართვას ზეპირად ახორციელებენ. თუნდაც მართვა კომპიუტერული სისტემით განხორციელდეს, მართვის ელემენტს, ადამიანის თავს (ცოცხალ კომპიუტერს), მართვის ინფორმაციული მწყობრი სისტემა სჭირდება.

იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ სასურსათო ბაზრის ჩამოყალიბებისა და ორგანიზაციული მართვის პრობლემა, საჭიროა თანამედროვეობის შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა _ მცირე საწარმო ვმართოთ ბიზნეს-გეგმების საფუძველზე, რომლის მაკეტი წიგნის სახით შემდეგნაირად გვესახება (მაკეტი იხილეთ დანართის სახით): მასში ძირითადად შეტანილი უნდა იქნას შემდეგი სახის მონაცემები: საწარმოს (ფირმის), გლეხური მეურნეობის დასახელება, საწარმოო მიმართულება, ფირმის შემადგენლობა, მათი ასაკობრივი დაჯგუფება, ფირმაზე მიმაგრებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, შენობა-ნაგებობანი და სხვა ძირითადი საშუალებანი, მატერიალური მარაგების გაანგარიშება და წვრილი ინვენტარი, ფირმაში არსებული მუშა პირუტყვი, თესლი და სარგავი მასალების გაანგარიშება, დავალება თესვაზე, მოსავლიანობასა და საერთო მოსავალზე, მრავალწლიანი ნარგავების გაშენების დავალება და მოთხოვნილება მასალებზე, ხარჯები მრავალწლიანი ნარგავების მოვლაზე, მოთხოვნილება თესლებზე, მინერალურ და ორგანულ

სასუქებზე, შხამმასალებზე, ინფრასტრუქტურის დარგების (სატრაქტორო პარკი, ავტოტრანსპორტი, ელექტრომომარაგება, წყალ-მომარაგება), ხელფასის სატარიფო და სხვა ფონდების, მატერიალური და შრომის დანახარჯების ლიმიტების გაანგარიშება და ა.შ. ბიზნეს-გეგმის შედგენა უნდა მოხდეს არა რაიონის აგროსამმართველოს ბრძანებით, არამედ, ის უნდა დაექვემდებაროს სახელმწიფოს საკანონმდებლო-იურიდიულ-სამართლებრივ კანონმდებლობას, რაც უნდა განხორციელდეს თავისუფლებისა და დემოკრატიზმის პრინციპების დაცვით. მისი შედგენის პრინციპები უნდა გამომდინარეობდეს საბაზრო ურთიერთობის პრინციპებიდან, სადაც პროდუქციის წარმოების, მზა პროდუქციის და საქონლური მასის ჩამოყალიბება უნდა დაექვემდებაროს ბიზნესისა და კომერციის მოთხოვნებს. განსხვავებით ცენტრალიზებული მართვის სისტემიდან, სასაქონლო პროდუქციის მწარმოებლებს თავზე არ უნდა მოვახვიოთ მბრძანებლური მეთოდები და ის უნდა ეყრდნობოდეს ბაზრის, საქონლის მოთხოვნა-მიწოდების, კონკურენციისა და ფასწარმოქმნის მოთხოვნებს. ფირმამ (მცირე საწარმომ), კეთილ ინებოს და აწარმოოს ის პროდუქცია, რომელიც მისთვის ეფექტიანია, მაგრამ მასაც გააჩნია ზღვარი. გარკვეულწილად ბაზარი უნდა დაექვემდებაროს სახელმწიფო რეგულირებას იმ შემთხვევაში, როდესაც მეურნეობრივ-ფინანსური ზღვარი სცილდება საზოგადოებრივ ზღვარს, რის მიხედვითაც შემუშავებულია თითოეული სახის საქმიანობის მიხედვით სამართლებრივ-ნორმატიულ-საკანონმდებლო აქტები.

ბიზნესი, მარკეტინგი და მენეჯმენტი საბაზრო ურთიერთობათა ატრიბუტია, რომელიც წარმოიშვა დეცენტრალიზებული მართვის

სისტემაში, მაგრამ ისე არ წარმოვიდგინოთ, რომ ის არ არსებობდა ცენტრალიზებული მართვის სისტემის დროს. იგი წარმოდგენილი იყო სახელმწიფო და კოოპერატიული, აგრეთვე საკოლმეურნეო ბაზრების სახით, რომელსაც ეწოდებოდა გეგმიანი ბიზნესი ცენტრალიზებული (ზეცენტრალიზებული)
მართვის პირობებში.

ბიზნესი დეცენტრალიზებული მართვის სისტემაში, საბაზრო ურთიერთობის პირობებში წარმოდგენილია გაშლილი ფორმით, რომლის ზღვარი არ არის შეზღუდული (ზღვრული ნორმების ფარგლებამდე), მთავარი და წამყვანი როლი ენიჭება მართვის დეცენტრალიზაციას, რომელშიც რეგულირდება ცენტრალიზებული მართვის ელემენტებიც. დიდი ბიზნესი (კორპორაციული და კომპანიური გაერთიანების პირობებში), მოქმედებს შეზღუდული ფორმით, ე.ი. მართვა ხორციელდება დეცენტრალიზებული ფორმით და ცენტრალიზაცია ხდება აგრეთვე დეცენტრალიზაციით. საერთოდ, ცნობილია მართვის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფორმები. მათი რომელიმე ზეფორმის გამოყენება კი არ უნდა მოხდეს, არამედ ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე, უნდა გამოვიყენოთ ორივე ფორმა შერწყმით, რაც საზოგადოებისათვის სიკეთის მომტანი და მეტი ეფექტის მომცემი იქნება.

მოცემული პარაგრაფიდან გამომდინარე, საჭიროა გავაშუქოთ მევენახეობის დარგის და მისი ინფრასტრუქტურის დარგების ბიზნესის, სასურსათო ბაზრის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პრობლემები, ბიზნეს-გეგმების შედგენის მეთოდიკის საკითხები, რადგანაც საბაზრო ეკონომიკის მეურნეობრივ-ფინანსური

პრობლემები და მართვა უნდა მოექცეს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და მარკეტინგის მენეჯმენტური მართვის სისტემაში.

ბიზნეს-გეგმაში დახასიათებულია მზა პროდუქციის წარმოების, მიღების, საქონლური წარმოების, დანახარჯებისა და საფინანსო შედეგების განსაზღვრის საკითხები. ამ მიმართულებით აქვე უნდა შევეხოთ ბიზნეს-გეგმების შედგენის საკითხებს, რომელშიც (მაკეტში), ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია ინფრასტრუქტურის დარგებს.

საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ ეტაპზე მიზანშეწონილი იყო
გაუქმებული კოლმეურნეობების ტექნიკა კონცენტრირებული ყოფილიყო
კოოპერატივებსა და მექანიზებულ რაზმებში. კერძო ფერმერული წარმოების პირობებში ქაოსი რომ არ წარმოქმნილიყო, საჭირო იყო ტექნიკური მომსახურების მითითებული ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბება და მომსახურების სახელშეკრულებო საწყისებით მუშაობა. ტექნიკური მომსახურების ეს ორგანიზაციული ფორმა თავის სამუშაო ბიზნეს-გეგმაში გაითვალისწინებდა სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიური პროცესების შესრულების აგროტექნიკურ ვადებს, რასაც შეიტანდა ხელშეკრულებათა ურთიერთგათვალისწინებულ მოცულობათა და საანგარიშსწორებო პირობებში. თავის მხრივ კი სატრაქტორო მომსახურების დარგი დაადგენდა შესასრულებელ სამუშაოთა ფასებს, რის მიხედვითაც სამუშაოებს შეასრულებდა აგროტექნიკური ვადების გათვალისწინებით. სამუშაოების

შეუსრულებლობისა და ფასების დარღვევისათვის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნებოდა სანქციებიც, რის მიხედვითაც განხორციელდებოდა სამუშაოები, მაგრამ ეს არ გაკეთდა.

ფაქტობრივად, განვლილი ათწლეულის ანალიზმა გვიჩვენა, რომ არ გაამართლა ტექნიკის პრივატიზების კერძო მფლობელობაში გადაცემამ. მფლობელები მხოლოდ თავისთავს ემსახურებიან და თუ რჩებათ ზედმეტი დრო მომსახურებისათვის, მეტად დიდ საზღაურს ახდევინებენ (ორჯერ და სამჯერ მეტს). ამასთან, სადიზელო საწვავი და ბენზინი გაძვირებულია. კერძო მფლობელები არ მარაგდებიან საწვავით და სათადარიგო-სარემონტო
მასალებით, რის გამოც მეტად ძვირი ჯდება მომსახურების პროცესი.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნებისმიერი ფორმა სიცოცხლისუნარიანი უნდა იყოს, თუ ის ეყრდნობა სასოფლო-სამეურნეო პროცესების ოპტიმალურ ვარიანტს. ინფრასტრუქტურის მომსახურე დარგი მაშინ შეასრულებს წარმატებით ფუნქციას (ხვნას, თესვას, მცენარეთა დაცვას, მოსავლის აღებას), როცა წარმატებით მიმდინარეობს ტექნიკის შეკეთება და მოვლა, სოფელში ეს პროცესებიც ჩაშლილია. იგი კუსტარული წესით მიმდინარეობს – ტრაქტორისტებს და კომბაინერებს არა აქვთ სათადარიგო ნაწილები. ბაზარი ამას ვერ უზრუნველყოფს, რის გამოც მთლიანი ინფრასტრუქტურის დარგების მომსახურების სფერო არა გვაქვს, კერძო მეწარმეობა კი მოქცეულია მომსახურების ქაოსში.

მობილური ტექნიკის ექსპლოატაციის რაციონალური ორგანიზაციის ფორმების შექმნა და ფუნქციონირება საჭიროა სასურსათო პროგრამის განხორციელების აუცილებლობით, რათა

ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის დონე, მწარმოებლურობა და შრომის ნაყოფიერება, ბაზარი უზრუნველვყოთ საკუთარი წარმოების იაფი პროდუქციით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბაზრის სურსათით მომარაგების პროგრამაში მთავარ ადგილს იმპორტირებული სურსათი დაიკავებს, რაც მეტად ცუდ გავლენას მოახდენს ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

დღეისათვის საქართველოში ფუნქციონირებს "საქაგრომონტაჟი". ეს ორგანიზაცია თანამედროვე დონით აგროსამრეწველო კომპლექსის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. მას არა აქვს მყარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სტრუქტურა, ამჟამად, თითქმის არ ფუნქციონირებს და ვერ შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის კომერციულ პრინციპებს. მისი მოდელი უნდა პასუხობდეს: კომპლექსური მექანიზაციის, ავტომატიზაციის, გასამართ-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის კონკრეტულ ნომენკლატურას. საჭიროა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადაიარაღება, კვალიფიციური კადრების მომზადება და ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმირება.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში ენერგეტიკული კრიზისი, ენერგორესურსების გაძვირება და ფასების ზრდა ქრონიკულ ხასიათს იღებს (ნავთობში ბიუროკრატია და კორუფცია მეფობს). მართალია, საწვავის ფასი მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაიზარდა, მაგრამ ჩვენთან მაინც მეტად მაღალია. ამასთან ერთად, ძვირია ელექტროენერგეტიკა და გაიაფების შესაძლებლობა ჯერაც არ ჩანს, რადგანაც თბოელექტროსადგურები მუშაობენ სადიზელო საწვავზე, ან გაზზე და ეს რესურსები გარედან შემოგვაქვს. ამჟამად, ჩვენ გვაქვს 136

ჰიდროელექტროსადგური, რომელთა რეკონსტრუქციის ბაზაზე შეიძლება მივიღოთ 120-130 მილიონი კ/ვატ. საათი ელექტროენერგია, რაც დაზოგავს 50 ათას ტონამდე პირობით საწვავს. მისი გამოყენება სოფლის მეურნეობას მეტად დიდ ეფექტს მისცემს. ამ მიმართულებით გამოყენებული უნდა იქნას აგრეთვე, მცირე ტურბინების სიმძლავრეებიც. პროფ. ნ. ჭითანავა მიუთითებს: "მძლავრ სახელმწიფო ენერგეტიკულ სისტემაში კერძო კოლექტიური საკუთრების მცირე სიმძლავრეების ჰესების ფუნქციონირება (რა თქმა უნდა, სათანადო ეკონომიკურ-ტექნიკური დასაბუთებით და სხვა) ელექტროენერგიის ბალანსის წონასწორობის გარკვეულ პირობებს შექმნის, ამიტომ ეს რეზერვი უნდა გამოვიყენოთ".[53]

ცენტრალიზებული მართვის სისტემის მოშლის შემდეგ, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, მითუმეტეს, ისეთი მაპროფილებელი დარგისა, როგორიც არის კახეთისათვის მევენახეობა, მეტად რთული პროცესია. ამ დარგის უზრუნველყოფა დაეკისრა ბაზარს, ბირჟას და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც თავიანთ დანიშნულებას ვერ ასრულებენ. როგორც განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, სოფლის მეურნეობაში გამოჩნდა ახალი კერძო მფლო-ბელი, რომელიც ამავე დროს კვლავწარმოების პროცესების განხორციელების მიზნით მომხმარებელიცაა, საჭიროა განმტკიცდეს კავშირები კერძო მწარმოებელთან. ხშირად ამ საკითხს გვერდს უვლიან და დღეისათვის ჩვენ სხვა მწარმოებელი არ გაგვაჩნია. ეს მეტად რთული პროცესია და მათთან ურთიერთობის პრობლემები უნდა მოვაგვაროთ (შხამმასალებით და სხვა მატერიალური მომარაგების, ფასწარმოქმნის, პროდუქციის შესყიდვის ფასები და სხვა

საკითხები). ამასთან ერთად, ყურადღება არ ექცევა მწარმოებელს სახელმწიფო რეგულირების თვალთახედვით, ბაზარმა ისინი ფასწარმოქმნის საკითხებით დასაჯა. მაგალითად, 2000 წლის შემოდგომაზე ღვინის ქარხნებმა ყურძნის მწაროებელ გლეხს კილოგრამ ყურძენში 17 თეთრი შესთავაზა, 2001 წელს – 20-25 თეთრი (ყურძნის საბაზრო შესყიდვის ფასები მეტად დაბალია), როცა გლეხს ყურძნის მოყვანა და მისი წარმოების ფასი 40-50 თეთრი უჯდება.

მეტად მნიშნელოვანია სასურსათო-სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და საბაზრო ფასწარმოქმნის საკითხები. გლეხს (ფერმერს) ძვირი უჯდება ტექნიკური მომსახურების სერვისის ღირებულება, ამიტომ იყო, რომ ამ პარაგრაფის დასაწყისში ყურადღება გავამახვილეთ ბიზნეს-გეგმების პროცესებისათვის ტიპიური ფორმებისა და ნორმატიული ბაზის შექმნის საკითხებზე. ძვირია მატერიალური მარაგები ბაზარზე და ტექნიკური სერვისის მომსახურება. ენერგეტიკული რესურსებიდან სადიზელო საწვავი 1ლ. 80-90 თეთრი ღირს, 20 ლ. სადიზელო საწვავის ფასი სულ მცირე 16--18 ლარი ჯდება, ამიტომ საყურადღებოა ყურძნის წარმოების (მატერიალური და შრომითი) დანახარჯების სტრუქტურა. ღრმად უნდა იქნას გაანალიზებული და დადგენილი საწარმოო და საბაზრო ფასები, რათა რაიონული აგროსამრეწველო სამმართველოების დონეზე გაუმჯობესდეს მართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაინც გვაქვს ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი, კრახი გარდაუვალია. საბაზრო ეკონომიკას თავის კანონები გააჩნია და ის ბაზრის ოპერატიული მოთხოვნების შესაბამისად უნდა დარეგულირდეს, საბაზრო ეკონომიკის აგრარულ ეტაპზე სახელმწიფო რეგულირება

გარდაუვალი ეტაპია. ბაზრის დეცენტრალიზებული მართვის გაუმჯობესებაა საჭირო, რომელსაც უნდა მივაშველოთ ცენტრალიზებული მართვის ელემენტებიც. გარდაქმნა უნდა განხორციელდეს მართვის კომბინაციით _ შერწყმით.

თავი III მევენახეობის დარგის საწარმოო და მმართველობითი ურთიერთობები, საგარეო კავშირები

§ 3.1 მევენახეობის განვითარებისათვის ხელშემწყობი პოლიტიკური ბაზის შექმნა და მმართველობითი ურთიერთობის სრულყოფის საკითხები

მევენახეობის განვითარებისათვის რომ შევქმნათ ეკონომიკურ-პოლიტიკური ბაზა, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დარეგულირდეს ყურძნის პროდუქციის საბაზრო ფასები.

ფასი არის ღირებულების ფულადი გამოხატულება, რაც სასაქონლო ფულად-საკრედიტო ურთიერთობებმა წარმოშვა. ფასი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ფულით გამოხატული საქონლის ღირებულებას ასახავს იმიტომ, რომ საქონლის წარმოებაზე დახარჯულია საზოგადოებრივად წარმოებული აუცილებელი სამუშაო დრო.

ღირებულებას აქვს თავისი ფუნქციები, რომელიც წარმოდგება შემდეგი სახით:

1. ფული, როგორც ღირებულების საზომი ერთეული;
2. ფული, როგორც მიმოქცევის საშუალება;
3. ფული, როგორც გადახდის საშუალება;
4. ფული, როგორც დაგროვების საშუალება.

ბიზნესის სისტემაში ფასების მიზანმიმართული პოლიტიკა ნიშნავს იმას, რომ საქონელზე განისაზღვროს ისეთი ფასები, რომელიც დაკავშირებულია ყურძნის მოთხოვნა-მიწოდებასთან, რასაც არეგულირებს ბაზრის მოქმედი კონკურენციის კანონი. მან თუ

გადააჭარბა საბაზრო ფასების ზღვრულ ნორმას, მაშინ სახელმწიფო უნდა ჩაერიოს მასში არაპირდაპირი გზით, ყურძნის საბაზრო ფასის ზღვრულ ნორმამდე დარეგულირების მიზნით.

მევენახეობის დარგის განვითარების მიზნით ფასწარმოქმნა ერთ-ერთი

მთავარი საკითხია, რადგანაც დანახარჯების განსაზღვრისა და მისი მოცულობის დადგენაში მთავარი როლი თვითღირებულებას _ მევენახეობის წარმოებაში ყურძნის ფასის დადგენას ენიჭება.

საქონლის გამყიდველები კონკურენციით გავლენას ახდენენ მოთხოვნილებებზე, რაც ძირითადად ფასების ცვლილების გზით ხდება. ბაზარზე მოქმედი კონკურენციის კანონი არეგულირებს ყურძნის საბაზრო ფასს. ფასები მრავალი სახისაა, რომლებიც გამომდინარეობენ საქონლური წარმოებისა და საქონელგაცვლის მექანიზმიდან. გაცვლაში ფულის მონაწილეობა აუცილებელი საბაზრო ატრიბუტია, რადგანაც ფული გარდა ღირებულების საზომისა, საქონლის გაცვლის საშუალებაცაა. ფულის ღირებულების შენარჩუნება და დაცვა სახელმწიფოს პრეროგატივას წარმო-ედგენს, მას ღირებულების შენარჩუნების საქონლური გარანტია გააჩნია. ფული თუ გარანტირებულია საქონლით, ეს იმას ნიშნავს, რომ ფული არ კარგავს მსყიდველობით უნარს და ორი საქონლის თანაფარდობა დაცულია. ფულის ღირებულება მტკიცეა და ბაზარზე ყიდულობ იმდენ ნივთს, რამდენიც მოთხოვნილებას შეესაბამება.

ფულის ღირებულება იცვლება მაშინ, როცა იცვლება საბაზრო მექანიზმი, მოთხოვნა და მიწოდება. როდესაც სასაქონლო მიწოდებას შეესაბამება მისი საბაზრო მოთხოვნილება, ამ შემთხვევაში ვამბობთ,

რომ საბაზრო ფასი წონასწორობაშია. თუ მოთხოვნა შეესაბამება მიწოდებას, ამ შემთხვევაში ფასები არ იცვლება და სტაბილურია, მაგრამ თუ გაჩნდება საქონლის ნაკლებობა და ბაზრის მოთხოვნა მაღალია, მაშინ თავს იჩენს საქონლის დანაკლისი ("დეფიციტი"), რის გამოც ფასები გაიზრდება ბაზარზე, ან პირიქით, თუ საქონელი მეტი იქნა მიწოდებული, მოთხოვნასთან შედარებით, მოხდება ფასის შემცირება და საქონლის გაიაფება.

ფასები მრავალი სახისაა, მაგრამ თემატიკასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ ორი ძირითადი სახის ფასი. ესენია: ყურძნის წარმოების ფასი და ყურძნის საბაზრო ფასი. წარმოების ფასი წარმოიქმნება მევენახეობაში პროდუქციის საწარმოებლად გაწეული დანახარჯების ბაზაზე. იმისათვის, რომ დავადგინოთ ყურძნის წარმოების ფასი, კარგად უნდა ვიცოდეთ მევენახეობის წარმოების დანახარჯების კლასიფიკაცია ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, რაც იყოფა ძირითად და ზედნადებ ხარჯებად, ხოლო წარმოების მოცულობასთან დამოკიდებულების ნიშნის მიხედვით, ის იყოფა მუდმივ პირობით და ცვალებად პირობით ხარჯებად, რითაც დგინდება ყურძნის წარმოების ფასი.

ყურძნის წარმოების ფასი შეიცავს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას. ყურძნის პროდუქციის მთლიანი თვითღირებულება კი შეიცავს წარმოების დანახარჯებს, რაზედაც არსებობს გაანგარიშების მეთოდიკა, რის მიხედვითაც დგინდება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება. ასე, რომ წარმოებაში მიღებული თვითღირებულება შეიცავს მუდმივ პირობით და ცვალებადი დანახარჯების მთლიან ჯამს ღირებულებით ფორმაში და,

თუ მას მივამატებთ მზა პროდუქციის შენახვის, გაყიდვის და სხვა მმართველობითი აპარატის შენახვის ხარჯებს, მაშინ მივიღებთ კომერციულ თვითღირებულებას. მაშასადამე, ყურძნის თვითღირებულება შეიძლება გვქონდეს საწარმო თვითღირებულებით და კომერციული თვითღირებულებით. საწარმოში გაწეული ხარჯები საზოგადოებრივი ხასიათისაა, რომელსაც წარმოქმნიან საწარმოში დასაქმებული ინდივიდები. ისინი თავის მხრივ წარმოქმნიან საზოგადოებრივ აუცილებელ დანახარჯებს, რომელთაც მოაქვთ საზოგადოებრივი სარგებლობა, ე. ი. მთლიანად შექმნილ ღირებულებას გამოკლებული მთლიანი დანახარჯები გვაძლევს სხვაობას, ანუ მოგებას.

ამრიგად, ყურძნის წარმოების ფასი შეიცავს დანახარჯებს, ხოლო საბაზრო ფასი დგინდება საქონლის საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმის ბაზაზე.

მევენახეობის წარმოებაში ყურძნის წარმოების ფასი შეიცავს მთლიან დანახარჯებს, რომელიც შედგება პირდაპირი, მასთან გათანაბრებული და არაპირდაპირი დანახარჯებისაგან. პირდაპირი და მასთან გათანაბრებულ დანახარჯებში შედის: 1) ხელფასზე წარმოებული დანახარჯები; 2) ხელფასიდან გაკეთებული სოცანარიცხები; 3) დანახარჯები სარგავ მასალებზე; 4) დანახარჯები საწვავ-საცხებ მასალებზე; 5) დანახარჯები მინერალურ და ორგანულ სასუქებზე; 6) დანახარჯები შხამქიმიკატებსა და მედიკამენტებზე; 7) დანახარჯები ცოცხალ გამწევ ძალაზე; 8) დანახარჯები ტრაქტორებისა და სხვა მანქანა-იარაღების მიმდინარე შეკეთებაზე; 9) დანახარჯები წვრილ ინვენტარზე; 10) დანახარჯები ძირითადი საშუალებების

ცვეთაზე და ა.შ. არაპირდაპირი დანახარჯები შეიძლება გვქონდეს საერთო-საწარმოო და საერთო-სამეურნეო ხარჯების სახით, რომელიც მევენახეობის პროდუქციის თვითღირებულებაში შეიტანება პირდაპირი ხელფასის, პირდაპირი დანახარჯების ჯამის, ან სხვა მეთოდის პროპორციული განაწილების შესაბამისად. დადგინდება ყურძნის წარმოების მოცულობა და მის საწარმოებლად გაწეული დანახარჯების მთლიანი ჯამი, შემდგომ ჯამის გაყოფით წარმოებულ ყურძნის მოცულობაზე დადგინდება ცენტნერი ყურძნის თვითღირებულება. საწარმოში, ფირმაში შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე, კომერციული თვითღირებულება, ყურძნის საბითუმო და საანგარიშსწორებო ფასები, რომელშიც დამატებით შევა კომერციულ თვითღირებულებას პლიუს პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები და თვით საწარმოს მოგება.

ყურძნის საბითუმო-საანგარიშსწორებო ფასი საწარმოებში მიმდინარე მდგომარეობის მიხედვით მეტად მაღლა იწევს კახეთის რეგიონში – რაიონების მიხედვით, რომელთა საბითუმო-საანგარიშსწორებო ფასები ფერმერული მეურნეობების მიხედვით 35-45 თეთრამდე მერყეობს, ხოლო მისი სარეალიზაციო ფასი _ 20-25 თეთრამდე. როგორც ვხედავთ, გლეხი მწარმოებელი, ყოველი კილოგრამი ყურძნის წარმოებაზე კარგავს 15-20 თეთრს, რის გამოც მევენახეობის წარმოება ზარალიანია.

ყურძნის წარმოების ფასს მაღლა სწევს შხამმასალებისა და ენერგეტიკული მასალების სიძვირე. მწარმოებლებს უხდებათ მასალების საბაზრო ფასით შეძენა, აგრეთვე, ძვირია კერძო ფორმით სატრაქტორო სამუშაოების ღირებულება, რის გამოც ძვირი ჯდება

ყურძნის წარმოება. აღსანიშნავია მდგომარეობა აღრიცხვიანობის შესახებ. სასოფლო-სამეურნეო ფირმებში, რომლებიც მრავალდარგიანი განვითარებით ფუნქციონირებენ (ზოგიც ქაღალდზე ფუნქციონირებს), მოშლილია აღრიცხვიანობა. აქ ზედმეტია საუბარი წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშებაზე, ან საბითუმო საანგარიშსწორებო ფასების დადგენაზე. ეს საკითხიც ჯერჯერობით დარეგულირებას საჭიროებს, რათა გვქონდეს მართვის დონის გასაუმჯობესებლად ფაქტობრივ-საინფორმაციო მასალათა წყარო.

ჩვენი შეხედულების მიხედვით, მევენახეობის დარგის განვითარებისათვის სახელმწიფო მართვის ორგანოები ამ პროცესში უნდა ჩაერიონ და მოახდინონ რეგულირება. ყურძნის საბაზრო-საბითუმო შესყიდვის ფასები მეტად დაბალია. ყურძნის პროდუქციის ფასების რეგულირების მიზნით უნდა მოიძებნოს გარეგანი ბაზარი, რათა მოხდეს ფასების რეგულირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მევენახეობა, როგორც საქართველოს ზოგიერთი რეგიონების მაპროფილებელი დარგი, კატასტროფის წინაშეა. საქართველოს მთავრობამ აღნიშნულ პრობლემას უნდა მიხედოს.

ნაშრომის ამ ნაწილში ძირითადად შევეხეთ ყურძნის პროდუქციის შესყიდვის ფასების რეგულირების საკითხებს, რადგანაც ყურძნის პროდუქცია გადამუშავდება ღვინის ქარხნებში, მათ უნდა მოძებნონ მიზნობრივი და თავისუფალი ბაზარი, რათა მოახდინონ ღვინის მარკირება და მაღალ ფასებში გაყიდონ პროდუქცია. მათ ევალებათ დაარეგულირონ ღვინო-პროდუქციის ფასები, იშოვონ საქონლის ბირჟებსა და ბაზრებში მუშტარი, რითაც გაზრდიან ყურძნის მწარმოებელთა ინტერესებს.

ცენტრალიზებული მართვის სისტემაში ყურძნის შესყიდვის საბაზრო ფასი შაქრიანობის მიხედვით იყო 40 კაპიკი. მაღალი შაქრიანობის ყურძენში მწარმოებელს უხდიდნენ 50-55 კაპიკამდე, თუ შევადარებთ ერთმანეთს ინდექსაციით ერთ ლართან 1988 წლის ერთი მანეთის ღირებულებას, დაახლოებით 1 მანეთი მოცემული მომენტისათვის უდრის 2,09 ლარს, თუ გავიანგარიშებთ ლარებსა და თეთრებში, ყურძნის საბაზისო შაქრიანობის დონეზე, მაშინ გამოდის, რომ ღვინის ქარხნები ერთ კოლოგრამ ყურძენში მწარმოებელს უხდიდნენ 90 თეთრს. ამიტომ არის, რომ ვლაპარაკობთ_ "კორუფციამ" შეჭამა ეკონომიკის დარგები. დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკა სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს, თორემ მევენახეობის დარგი განადგურების წინაშეა.

სოფლის მეურნეობაში მევენახეობის დარგი და მასთან დაკავშირებული სხვა დარგების განვითარების საკითხები ერთ-ერთი მთავარია აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში. ამჟამად, სოფლის მეურნეობის რაიონული მართვის პრაქტიკამ წარმოშვა მეურნეობათა არა მარტო კოოპერირების, არამედ მისი მართვის სფეროს კოოპერირების აუცილებლობა, რაც თავის მხრივ თხოულობს რაიონული აგრომართვის სფეროს გარდაქმნას. "რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მართვის სისტემის რეფორმების განვლილ პერიოდში მიზანშეწონილია გამოვყოთ ოთხი ეტაპი: პირველი_ (1974_1977 წწ.), მეორე ეტაპი (1978_1982 წწ.), მესამე ეტაპი (1983_1990 წწ.) და მეოთხე ეტაპი 1991 _ წლიდან დღემდე განვლილი პერიოდი".[53]

პირველ ეტაპზე (1974-1977 წწ.) დარგის კომპლექსური განვითარების მიზნით, განხორციელდა ორგანიზაციული სტრუქტურების განმტკიცების ღონისძიებანი. 1974 წელს სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის სამინისტროების ბაზაზე შეიქმნა სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ორი სამინისტროს არსებობა აფერხებდა სოფლის მეურნეობის კომპლექსურ განვითარებას. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფორმირებით შეიცვალა დარგობრივი მართვის სტრუქტურა, განმტკიცებული იქნა შესაბამისი რგოლები, გაფართოვდა მათი ფუნქციები და უფლებები. 1975 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავრობამ დააკისრა ხილით, ბოსტნეულით, კარტოფილით და სხვ. ვაჭრობის ფუნქცია. 1977 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების ერთიანი სისტემა, რითაც კომპლექსური მართვის სისტემა მიიღო.

მეორე ეტაპზე (1978-1982 წწ.) გაფართოვდა რაიონული რგო- ლის მართვის ფუნქციები, გაძლიერდა აგროსამრეწველო ინტეგრაციის პროცესებზე ზემოქმედება.

რაიონის აგროსამრეწველო სისტემაში შეიქმნა საინჟინრო და აგრონომიული სამსახურების ერთიანი სისტემა, რითაც რაიონული რგოლი ჩამოყალიბდა მართვის ერთიან სისტემად. ამაღლდა სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დონე, გაღრმავდა კოოპერაცია და აგროსამრეწველო ინტეგრაცია.

მესამე ეტაპზე (1983-1990 წწ.) მიუხედავად წარმატებებისა, მართვაში დაშვებული იქნა უხეში შეცდომები, განსაკუთრებით, თავი იჩინა სუბიექტივიზმმა, რის გამოც ეკონომიკა მოიცვა კრიზისმა.

განვითარდა წინააღმდეგობები ეკონომიკის შინაარსსა და მართვას შორის.

მეოთხე ეტაპზე (1991 წ.) დაიწყო მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების რეფორმული მიმდინარეობები, 1992 წელს შეიქმნა მიმართულება საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრებისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის. მართვა მაშინ არის ეფექტიანი, როცა საწარმოთა ორგანიზაციული სტრუქტურები მოერგება ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ მართვის სისტემებს. 1994 წელს მიღებული იქნა კანონი მეწარმეობის განვითარების შესახებ. დამუშავებული იქნა მრავალი ეკონომიკური მართვის მოდელი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ასეთი მოდელი არ მოერგო ჩვენს ეროვნულ ეკონომიკას, რაც იქცა დეზორგანიზებული და "შოკური" მართვის პრინციპად.

მომავალში, საბაზრო ეკონომიკაზე სრულად დამკვიდრების პირობებში, ჩვენი აზრით, საჭირო იქნება სოფლის მეურნეობის რაიონული რგოლის (სამმართველოების) გარდაქმნა. მას შემდეგ, რაც გლეხური (ფერმერული) მეურნეობრიობის ფორმები მიიღებენ დარგობრივი განვითარების კოოპერირებულ ფორმებს, მოხდება დარგების სპეციალიზაცია (რა თქმა უნდა, ნებაყოფლობის პრინციპებით) და გადავალთ წარმოების უფრო მაღალ ორგანიზაციულ სტრუქტურებზე. შეიქმნება აგროსამრეწველო ინტეგრირე-ბული ფორმები. რაიონული მართვის დონეები უნდა გარდაიქმნას აგროსამრეწველო გაერთიანების ინტეგრირებული მართვის ორგანოდ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და აქედან, მევენახეობის დარგის მართვის ორგანოდ უნდა შეიქმნას აგროსამრეწველო

გაერთიანება, რომლის ინტეგრირებული ფორმა უნდა მოერგოს მევენახეობის დარგსაც. ასეთ პირობებში უნდა შეიქმნას აგროკომბინატები და აგროგაერთიანებები, წარმოებისა და გადამუშავების ერთიანი ინტეგრირებული მართვის ფორმა. თუ გადავხედავთ წარსულ ათწლეულს, გარდამავალ პერიოდში კი არ უნდა მოგვესპო სახელმწიფო მართვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული ფორმა, არამედ უნდა მომხდარიყო იმ ფორმების გარდაქმნა ეტაპობრივი პრინციპების გამოყენებით.

წარსული კარგად უნდა გავითვალისწინოთ, რათა მომავალში არ დავუშვათ შეცდომები მართვის ორგანიზაციული და სტრუქტურული ფორმების შექმნაში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ფორმები სპეციფიკურობით ხასიათდება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე. თავად მევენახეობის დარგიც სპეციფიკურია, გარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებებისა, იგი შრომატევადია. მისი წარმოების პროცესში დრო თითქმის თანაბრად ნაწილდება წლის დროის ყოველი მომენტისათვის და კარგად ითავსებს შრომას. მასზე გავლენას ვერ ახდენს შრომითი რესურსების გამოყენების სეზონურობა. თვითონ ვაზი გვალვაგამძლე მცენარეა. უყვარს მზის მაღალი რადიაქტივობა, იძლევა ყურძნის უხვ პროდუქციას, რომლის გადამუშავების შედეგად მიიღება: ღვინო, ქიშმიში, ყურძნის წვენი, არაყი, სპირტი და სხვა.

ქვეყნის ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა დამოუკიდებლობამ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, მოითხოვა მართვის სისტემის რეორგანიზაცია. განვლილი პერიოდების ანალიზი გვიჩვენებს, რომ

რეორგანიზაცია (1974 წლიდან დღემდე არსებული პერიოდები და ეტაპები) ინერციით მიმდინარეობდა მართვის ორგანიზაციული და სტრუქტურული ფორმების მექანიკური შეერთებით და გაყოფით. წარსულში არ ხდებოდა წარმოებისა და ტექნოლოგიური იმ პროცესების ღრმა ანალიზი, რომელიც დღესაც გრძელდება. ეს მანკიერი მეთოდოლოგიური მართვის ფორმა პოზიტივიზმში გადადის, არ ხდება წარსულის ღრმა ანალიზი და მომავლის შესაბამისი პროგნოზირება, რაც მძიმე ტვირთად აწვება და მეტად ძვირი უჯდება მეწარმეს. მაგალითად, საქართველოში 1990 წლისათვის 112,8 ათასი ჰექტარი ვენახი ითვლებოდა, ამჟამად, არასრული მონაცემების მიხედვით, 38,0 ათას ჰექტარამდე დავიდა, განსხვავება ნაკლებობით 70,8 ათას ჰექტარს შეადგენს. ახლა გადავხედოთ დისკონტირებული ღირებულების გადაანგარიშებით, თუ რამდენია 1 ჰა ვენახის ფართობის გაანგარიშება და დავადგინოთ ის ზარალი, რაც ვენახის კაპიტალდაბანდებებს მსხმოიარე ასაკში შესვლამდე სჭირდება. გაანგარიშება (იხილეთ ცხრ. №6) მიღებული ზარალის შესახებ, რაც გამოწვეულია მევენახეობის არასწორი მართვის განხორციელების შედეგად (როგორც გაანგარიშების მასალებიდან ვხედავთ),

ვენახის გაშენებაზე საჭირო დანახარჯები და მისი გაჩეხვის შედეგად მიყენებული ზარალი ცხრ. №5

დანახარჯებისა და სხვა მუხლების დასახელება	ზომის ერთ.	ერთ ჰა-ზე საჭირო ნორმა	საბაზ. ფასი	ჯამი (ლარი)
ვენახის ნერგი (ნამყენი ერთ წლიანი) მიწის პლანტაჟურად ხვნა პლანტაჟის შემდგომი მოსწორება- კულტივაც. ვაზის შეწამვლა შაბიამნ.(საშ.1წ.5-ჯ) ვაზის ქვეშ არსებ. ფართ. დამუშავება მუშების შრომის ანაზღაურ.(სრგ.40%) სხვ. დანარჩენი პირდაპირი ხარჯები	ც ჰა “ “ “ “ “	3333 1 1 (1X5) 1 1 1	1-00 100-00 80-00 100-00 50-00 1465-00 100	3333 100 80 100 50 1465 100
სულ პირდაპირი ხარჯები საერთო საწარმოო და საერთო სამეურნეო ხარჯები (პრდ. ხარ.25%)		_ _	_ _	5228 1307
სულ მთლიანი ხარჯები კაპიტალდაბანდ. ხარჯ. გამოკლებ. მიღებ. მოსავლ. ღირებულ. ექსპლოატ-ში შესვ-მდე (20 ც. X20 თეთრი)	(ლარი)		6535 (400X3)=1200=1200	
სულ ხარჯ. მოსავლ. კორექტირების შემდეგ 1 ჰა-ზე ბოლო ათწლ-ში დაუშვ.1994 წ-ის შემდეგ დავკარგეთ 56,8 ათასი ჰა მის გაშენებას დასჭირდება მოსავლის დაკარგ-დან მიღებ, ზარალი (საშ.ჩავთვ. 1994წ-დან)6წ.2000წ-მდე (47,3+49,2+41,7+52,1+47,6+27,8+46,5) 312,2 =--------=საშ.მოსავ.44,6X0200 7 სულ მთლიანი დანახარჯი=	ლარი ლარი ლარი ლარი		5335 (5335X5welze)=2 6627 (26627X56,8)=1512 413600 4,46X200=(892X 56,800)= 50665600X6წელი- წადზე=30,3993600 303993600_1512413 600=1817593600	

შენიშვნა _ მასალები და გაანგარიშება ეკუთვნის დისერტანტს. ციფრობრივი მონაცემები აღებულია პირობითად მოქმედ საბაზრო ფასებზე გადაანგარიშებით.

მიღებული დანაკარგი მეტად დიდია, რომელიც უდრის თითქმის საქართვე-ლოს ორი წლის ბიუჯეტის თანხას, იგი შეადგენს 1 817 593 600 ლარს.

1991 წელს აგროსამრეწველო სახელმწიფო კომიტეტის გაუქმების შედეგად ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროები, იმავე წლის ივნისში მოხდა მათი ისევ შეერთება, ხოლო 1992 წელში (თებერვალში), ისევ დაიშალა, ასეთმა ორგანიზაციულმა ცვლამ და სტრუქტურული შემადგენლობის მერყეობამ მეტად უარყოფითი დაღი დაასვა მართვის სისტემას. ახლა, როცა თანდათანობით ყალიბდება საბაზრო ეკონომიკის სისტემა, მთლიანად იცვლება საწარმოთა ორგანიზაციული ფორმები და სტრუქტურები, ეკონომიკის მართვა იძენს სრულიად ახალ შინაარსს.

თვითმართვის პრინციპები იძენენ უფრო მეტ თავისუფლებას, რაც მწარმოებლებს აძლევთ უფლებას აირჩიონ მეურნეობრიობის მართვის პრინციპები. როგორი უნდა იყოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანო, მისი ფუნქციები, მოვალეობები და ამოცანები დღევანდელი მართვის ეტაპზე? ის ხელს უნდა უწყობდეს აგროსამრეწველო კომპლექსზე თანამიმდევრულ გადასვლის პროცესებს. დავუბრუნდით მართვის ადრინდელ ფორმებს გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის წარმოებაში წარმოადგენენ წვრილ, დაქსაქსულ, დაქუცმაცებულ

მეურნეობებს, წარმოების ასეთი წესი ვერ დააკმაყოფილებს საზოგადოების სადღეისო მოთხოვნებს.

მართვის მოქმედი ორგანოს დადგენა მეტად ურთულეს ამოცანას წარმოადგენს მართვის იერარქიის ყველა დონეზე. საქართველოს მასშტაბით მართვის ასეთი ორგანოა პურითა და პურპროდუქტებით ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ორგანიზაციულ-სტრუქტურული პროცესების რეგულირების აუცილებლობა მოითხოვს ჩამოყალიბდეს თვით-რეგულირებისა და მართვის პრინციპები, რომელსაც უნდა გააჩნდეს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი სამეცნიერო პოტენციალის მანევრირების ბაზით. ამჟამად ვიტყოდით, რომ ის სახელმწიფო, რომელშიც მეცნიერებას სათანადო ყურადღება არ ექცევა და დაბალ დონეზეა სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენება, წინ ვერ წაიწევს ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სოციალურად და ა.შ. სამეცნიერო-ტექნიკური ძალების განვითარებასა და მისი პოტენციალის სათანადოდ გამოყენებაზე სახელმწიფომ ჯერჯერობით ყურადღება არ უნდა შეანელოს, ხოლო შემდგომ ეტაპზე, როცა ურთიერთობები განმტკიცდება, სამეცნიერო დაწესებეულებები უნდა გადაიქცეს კომერციის ბაზებად, რომლებიც ეფექტს მოუტანენ კომერციულ საწარმოო ორგანიზაციულ ერთეულებს. აგრარული ინტეგრაციის სისტემაში მომავალ დამუშავებას საჭიროებს ეს საკითხებიც, რადგანაც მეცნიერება მარტო თეორემებისათვის კი არ უნდა არსებობდეს, არამედ შექმნილი თეორიები გამოყენებული (გადატანილი) უნდა იქნას წარმოებაში.

აგრარული სექტორი, როგორც ინტეგრირებული ფორმის მოდერნიზაცია, წარმოების გადიდებისათვის, დარგთაშორისი

რეზერვების გამოყენების ეფექტიანი საინვესტიციო ახალი ტიპის მართვის ორგანოს ფუნქციას წარმოადგენს. სამინისტროს ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს: საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მშენებლობის, გლეხური (ფერმერული) მეურნეობების, საკარმიდამო მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, მიწების მელიორაციის და ირიგაციის, ახალი მიწების ათვისების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების და მისი შედეგების წარმოებაში დანერგვის პრობლემები.

აგრარული სექტორის რაციონალური განლაგება, ტერიტორიის ორგანიზაცია და წარმოების რაციონალური პროცესების მოწყობა, სასუქების მომარაგების ორგანიზაცია, მელიორაციისა და ირიგაციის სამუშაოები, ერთ-ერთი აქტუალური საკითხია აგროსამრეწველო ინტეგრირებულ სისტემაში.

ოპტიმალური მართვის დონეზე სამინისტროში გათვალისწინებული უნდა
იქნას ისეთი უფლებამოსილება, რომელიც დაარეგულირებს ახალი საწარმო-ების შექმნას, ორგანიზებულად უხელმძღვანელებს საბაზრო ეკონომიკის (მცირე საწარმოთა მუშაობის) მთელ სისტემას და ფუნქციონირებას.

საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში უნდა ამაღლდეს სამინისტროს როლი, რადგანაც ასეთი ურთიერთობები განამტკიცებს კავშირებს სხვა სახელმწიფოთა შესაბამის სამინისტროებთან. ამ შემთხვევაში სამინისტროს ექნება შესაძლებლობა დაარეგულიროს კონტაქტები სხვა ქვეყნების შესაბამის სამინისტროებთან. გაძლიერდება კონტაქტები წარმოების, გაცვლის, გასაღების,

მომარაგების, ინფორმაციების გაცვლისა და სხვა სფეროში. დარეგულირდება სახელმწიფოთაშორისო ექსპორტ-იმპორტის საქმიანობა.

§ 3.2 მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ინტეგრაციის ორგანიზაციული ფორმები

საქართველოში მთლიანად უნდა შეიცვალოს აგრარული პოლიტიკის მართვის საფუძველები, რადგანაც ორგანიზაციული და სტრუქტურული ფორმის მთლიანად შეცვლა გამომდინარეობს საბაზრო ეკონომიკის შინაარსიდან. აგრარული პოლიტიკა უნდა დაეყრდნოს თეორიულ-მეთოდოლოგიურ, პრაქტიკული შემოქმედების საფუძვლებს, რომელიც ითვალისწინებს: 1) მეცნიერების როლის გაძლიერებას; 2) ტექნიკურ პროგრესს; 3) მიღწეული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პოტენციალის წარმოებასთან შეერთებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეცნიერება დარჩება თეორია-თეორიისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა ცენტრალიზებული და ზეცენტრალიზებული მართვის სისტემაში.

წარსულს თუ გადავხედავთ, მევენახეობის დარგის მეცნიერება ხან წინ

უსწრებდა პრაქტიკას და უფრო მეტად ჩამორჩებოდა ცხოვრებას. ცენტრალიზებული მართვის სისტემა ეყრდნობოდა თეორიულ დოგმებს, რომლის მიღწეული შედეგები არ ინერგებოდა ცხოვრებაში, პრაქტიკაში. მაგალითად, საქართველოში არსებობდა მევენახეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ექვემდებარებოდა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას. წლების მიხედვით ამუშავებდნენ მევენახეობის დარგის განვითარების სრულყოფის პრობლემებს, რომლის მიღწეული შედეგები ნაკლებად ინერგებოდა პრაქტიკაში. დამუშავებული თეორიული თემები რჩებოდა თეორიებად, თემები განიხილებოდა, მეცნიერული დამუშავების დონით შეფასდებოდა და ის საბოლოოდ განუხორციელებელი რჩებოდა. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მეცნიერები არ მუშაობდნენ,_ გაგვაჩნდა დიდი სამეცნიერო პოტენციალი, რომლის ცხოვრებაში გამოყენებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამიტომ იყო, რომ სამეცნიერო თემების დამუშავების დრო ხანგრძლივი ვადით (10-15 წელი) ხასიათდებოდა, ხოლო მათი პრაქტიკაში შეტანა სათანადოდ არ ხდებოდა. მევენახეობის დარგში ექსტენსიურ განვითარებასთან ერთად გამოიკვეთა ამ დარგის ინტენსიფიკაცია, დარგის ნაყოფიერების გადიდების, მექანიზაციის, მცენარეთა დაცვის, მელიორაციის და ირიგაციის სამუშაოების განმტკიცების ბაზაზე, მაგრამ ის მაინც ჩამორჩებოდა საზღვარგარეთის მეცნიერების მიღწევებს. ჩვენ, როგორც საბჭოთა სისტემის შემადგენელი ნაწილი, ყველა სფეროში და აქედან, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებაში, ვეწეოდით კარჩაკეტილ ცხოვრებას, რამაც გამოიწვია მევენახეობის დარგის დოგმატური განვითარება (ისე, რომ პოტენციური შესაძლებლობა უფრო მეტი გაგვაჩნდა, რასაც ვერ ვიყენებდით სრულყოფილად).

მომავალში, საბაზრო გარდამავალ და შემდგომ პერიოდში, სრულყოფას საჭიროებს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური მეცნიერება. დასამუშავებელი გვაქვს წარმოებისა და

შრომის პროცესების ორგანიზაციული ფორმები და სტრუქტურები, გლეხური და ფერმერული მეურნეობები. მათ მიერ წარმოებული პროდუქტების მასა ვეღარ გაუძლებს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს, რის გამოც დასამუშავებელი გვექნება სოფლის მეურნეობის წარმოების კოოპერირების, დარგების სპეციალიზაციის, შეთანაწყობის, აგროსამრეწველო პროცესების ინტეგრაციის პრობლემები, შესაბამისი ორგანიზაციული ფორმები და სტრუქტურები.

თანამედროვეობის საბაზრო ეკონომიკის განვითარების დონის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება ვერ აკმაყოფილებს საბაზრო მოთხოვნებს. ამიტომ არის, რომ პროდუქციის დანაკლისების შევსება ხდება იმპორტის ხარჯზე. საქართველოში ექსპორტ-იმპორტული ბალანსი დეფიციტურია (ბაზარს ვერ ვაკმაყოფილებთ საკუთარი წარმოების პროდუქციით), რაც იწვევს იმპორტის გადიდებას.

იმპორტის ზრდა უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რაც იწვევს საკუთარი წარმოების შეზღუდვას, შემოსავლების შემცირებას, უმუშევრობას, ფულის ინფლაციის შესაძლებლობის ზრდას და ა.შ. საკუთარი წარმოების გადიდების მიზნით მეცნიერებამ უნდა იმუშაოს, არსებული მეცნიერული პოტენციალის შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული.

1989 წელს ჩვენი ეკონომიკურ-პოლიტიკური წყობის გადატრიალებამ ჩიხში მოაქცია შრომის ორგანიზაციის და საწარმოთა ორგანიზაციული ფორმები.

განვლილი წლების ანალიზმა დაადასტურა, რომ საბაზრო ეკონომიკის მოცემულ ეტაპზე, საჭიროა არა მარტო მეცნიერებისა და წარმოების კავშირების გაფართოება, არამედ მისი მიღწევების სწრაფი ტემპით დანერგვა. აღარ უნდა ხდებოდეს სიახლეების დანერგვის გაჭიანურება, როგორც ეს ხდებოდა ცენტრალიზებული მართვის სისტემის დროს. ამჟამად განვიცდით ეკონომიკური, პოლიტიკური, მეცნიერული პოტენციალის ნაკლოვანებებს, რაც წარსული პროცესის შედეგია. ჩვენ გვყავს აგრარული დარგის ეკონომისტების და აგრონომების საუკეთესო კადრი, რომელთა აზროვნებას მხარი არ დაუჭირა მიმდინარე აგრარულმა პოლიტიკამ. რაც მოხდა სოფლის მეურნეობაში და მათ შორის მევენახეობაში, ეს შეცდომები აგრარული პოლიტიკის არასწორი განხორციელების შედეგია. ასეთია ჩვენი რეალური სურათი აგრარულ პოლიტიკასა და მეცნიერებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ჩვენი აგრარული პოლიტიკა, მეცნიერება და წარმოება, წარსულის განვითარების შედეგებს უნდა ითვალისწინებდეს. გარდამავალ ეტაპზე კი არ მოვახდინეთ ეკონომიკის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის) გარდაქმნა, არამედ მოვსპეთ, გავანადგურეთ და ახლა გვინდა მივაღწიოთ წარმოების მასშტაბების ზრდას. დარგის განადგურების არსი მდგომარეობს იმაში, რომ იმ სამეცნიერო პოტენციალს, რომელიც გვყავდა სამეცნიერო დაწესებულებებში, არ მივეცით სათანადო დაფინანსება. ხარჯები ამ მიმართულებით შემცირდა, მათ შორის

მოხდა ხელფასების შემცირებაც, რის გამოც სამეცნიერო დაწესებულებები დაშლის მდგომარეობამდე მივიდა (ასევეა ამჟამადაც). თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების სამეურნეო პრინციპებით სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები ვერ იმუშავებენ, რადგანაც საწარმოებს, რომლებთანაც მათ ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ, საწარმოო პოტენციალი მცირე აქვთ და სამეცნიერო დაწესებულებებთან ურთიერთობების საშუალებები არ გააჩნიათ.

წარმოებასა და მეცნიერებაში დღეს მკვიდრდება დაბალი "საბაზრო აზროვნება", პრიმიტიული "საბაზრო პოლიტიკა". ყველა ბაზარზე ლაპარაკობს და გვთავაზობს თავის აზრს. სტიქიურად მიმდინარეობს საბაზრო მექანიზმზე გადასვლა და გაურკვეველი დინებით მსვლელობა. ამ მიმართულებით არ ჩანს ფუნდამენტური შრომა სწორი მიმდინარეობის დასადგენად. ალბათ უნდა შეიქმნას მევენახეობის დარგთან მეცნიერების ურთიერთობისა და მისი განვითარების პერსპექტივები. ჯერ თვითონ დარგი უნდა გადავიდეს საბაზრო რელსებზე და საწარმოები (ყურძნის მწარმოებლები და სამრეწველო დარგები), ქარხნები, როდესაც მიაღწევენ კოოპერირების, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, ინტეგრაციის მაღალ დონეს, მაშინ ასეთი გიგანტები მოინდომებენ სამეცნიერო დაწესებულებებთან ურთიერთობებს და მოხდება სამეცნიერო პოტენციალის სათანადო დონეზე გამოყენება.

მევენახეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებამ უნდა შექმნას ფუნდამენტური შრომა საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად. დამუშავებულ უნდა იქნას წარმოების

ტექნოლოგიის, შრომის ორგანიზაციისა და საწარმოს მართვის ორგანიზაციის სტრუქტურული ფორმები.

აგრარული მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთობების მართვა, ჩვენი აზრით, მარტო საბაზრო ეკონომიკის მართვის თვითდინებაზე არ უნდა დარჩეს. ამ კავშირების გასაძლიერებლად მართვის სახელმწიფოებრივი რეგულირების პროცესიცაა საჭირო.

საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აგრარულმა მეცნიერებამ ღრმად უნდა ჩაიხედოს საბაზრო კონიუნქტურის შესწავლაში, გააანალიზოს საბაზრო მოთხოვნისა და მიწოდების საკითხები და საბაზრო ფასები, განახორციელოს მჭიდრო კავშირები სასაქონლო და საფონდო, აგრეთვე, შრომით ბირჟებთან და შექმნას ყოველგვარი პირობები მიზნობრივი ბაზრების მოსაძებნად. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება უნდა გაერკვას მევენახეობის დარგის ტექნოლოგიასა და ტექნოლოგიური რუკების შინაარსში, მტკიცედ განსაზღვროს ნორმები და ნორმატივები წარმოებული პროდუქციის _ ყურძნის თვითღირებულების დასადგენად. ეს საკითხები და პრობლემები თუ არ დარეგულირდა მარკეტინგული მეცნიერების საშუალებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მევენახეობის დარგიცა და მისი მეცნიერებაც გარიყული აღმოჩნდება. ასეთ პირობებში შეწყდება კავშირები პრაქტიკასა და მეცნიერებას შორის.

აგრარულ მეცნიერებაში, და მათ შორის, მევენახეობაში, დამუშავებული უნდა იქნას დარგების გათვლის კრიტერიუმების შეფასება, რომელშიც უნდა ჩაერიოს სახელმწიფო და მოხდეს მისი რეკლამირება ფართოდ, რათა დავაინტერესოთ მწარმოებლები. სამეცნიერო პროდუქციამ დადებითი შედეგი უნდა მისცეს წარმოებას.

დასაბუთებული უნდა იქნას მისი ეფექტი. ამასთან, სახელმწიფომაც უნდა გაითვალისწინოს ეკონომიკის მაპროფილებელი სპეციალიზაციის დარგების განვითარებაც და შექმნას ყოველგვარი პირობები შესაბამისი მეცნიერების განვითარებისათვის.

სამწუხაროდ, ჩვენ აგრარულ მეცნიერებაში, და მათ შორის, მევენახეობის დარგში, ეს ვერ გავაკეთეთ, ვერ განვსაზღვრეთ ამ დარგის სტრატეგია და ტაქტიკა, არა გვაქვს დამუშავებული მისი განვითარების პერსპექტივები. ეს რომ გაკეთდეს, საჭიროა თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების ძალებით კავშირების გაძლიერება, პერსპექტიული გათვლითი გაანგარიშებანი, დარგის განვითარების პროგნოზირება, საჭიროა დამუშავდეს პერსპექტიული განვითარების გეგმა, მისი განხილვა _ დამტკიცება და ბაზრის კანონებთან შეჯერება, არა “პრიმიტიული ბაზრის აზროვნების გზით”, არამედ, მეცნიერულ-მეთოდიკური გათვლებით. აქ ზუსტად უნდა ვიხელმძღვანელოთ აგრარულ მეცნიერებაში დამუშავებული ჩვენი და საზღვარგარეთული მეცნიერების გამოცდილებებით.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა საჭიროებს თვისობრივ გარდაქმნას მეცნიერებაში. უნდა გარდაიქმნას ტექნოლოგიური პროცესების მართვა, რომელთანაც დაკავშირებულია ორგანიზაციული შრომის ფორმები და სისტემები. სისტემების შექმნის გარეშე წარმოუდგენელია მართვის განხორციელება მაღალ დონეზე. მართვის სისტემების მეცნიერული დამუშავება აუცილებელი ეტაპია საბაზრო ეკონომიკის მართვის სისტემის დამკვიდრებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარება დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ამაღლებასთან.

ეს თავის მხრივ კავშირშია მისი მთავარი ელემენტების _ სოფლის მეურნეობის წარმოების ენერგოშეიარაღების, ირიგაციის, მელიორაციის და სასუქებით მომარაგების ორგანიზაციის პოტენციურ უზრუნველყოფასა და განვითარებასთან. ეს სამი მთავარი ელემენტი განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის ინტენსიური სისტემის განვითარების დონეს.

საქართველოში ყველა ტიპის ნიადაგებია გავრცელებული, მაგრამ მიწათმოქმედების დაბალი კულტურის გამო ნაყოფიერება შემცირებულია. არ წარმოებს თესლბრუნვის აგროტექნიკა, რის გამოც ნიადაგებიდან (ფართობებიდან) დაბალ მოსავლიანობას ვღებულობთ. ამიტომ შემცირებულია ყურძნის საშუალო მოსავლიანობა. ვენახების ფართობი გამეჩხერებულია, რომლთა ხვედრითი წონა ნარგავების შემადგენლობაში 40-50% შეადგენს. სასოფლო-სამეურნეო ფირმები, გლეხური და ფერმერული მეურნეობები არ მარაგდებიან მინერალური და ორგანული სასუქებით, რის გამოც დაბალია მევენახეობის წარმოების კულტურა. განვითარებულია როგორც წყლისმიერი, ასევე ქარისმიერი ეროზია, რის გამოც ეროზირებულია 856,0 ათასი ჰექტარი მიწა, აქედან სახნავი _ 330,0 ათასი ჰექტარი მიწა, რაც საერთო ფართობის 38,88%-ს შეადგენს. ეროზიის შედეგად უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში 100 ათასი ჰა მიწა გადავიდა გამოუყენებელი მიწების კატეგორიაში.

სასურველია ჩატარდეს ნიადაგებისა, და მათ შორის, ვენახის ფართობის პასპორტიზაცია, რადგანაც დღეისათვის არა გვაქვს ამ ფართობების მონაცემების ზუსტი მასალა, არ ვიცით მისი მახასიათებელი ძირითადი მაჩვენებლები, ზედმეტია ლაპარაკი დარგის პროგნოზირებასა და მეცნიერულ მართვაზე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სამეცნიერო-საწარმოო ინტეგრაციის პროცესების შესწავლას, რადგანაც დასამუშავებელია მევენახეობის დარგის სპეციალიზაციის, კოოპერირებისა და ინტეგრირებულ საწარმოთა ფორმები. ისე, რომ ზეპირად და ნებისმიერად ვმართოთ დარგი, ყოვლად დაუშვებელია, ამას არ მოითმენს საბაზრო ეკონომიკა და ვერც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემია, რომლის შემადგენლობაში შედის სხვადასხვა პროფილის 40-მდე სამეცნიერო დაწესებულება, მათ შორის, მევენახეობის კვლევითი ინსტიტუტიც.

წარმოების კავშირების ინტეგრაციის დღევანდელი დონე ვერ პასუხობს საბაზრო ურთიერთობების დღევანდელ მოთხოვნებს. ადრე ეკონომიკა ცენტრალიზებულად იმართებოდა და დეცენტრალიზაციამ ქაოსში ჩააყენა საბაზრო ეკონომიკის მართვის ბერკეტები, თუნდაც წარმოების პროცესების მატერიალური მარაგების უზრუნველყოფის საკითხში. ამჟამად ეს საკითხი დაექვემდებარა ბაზარს, რამაც არეულობა შეიტანა საწარმოთა მუშაობის სტაბილიზაციაში. ასეთივე პრობლემა შეიქმნა მეცნიერული კადრებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ეს საკითხიც ბაზარს დაექვემდებარა, რაც საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში ასე არ უნდა ყოფილიყო.

მეცნიერებაში უნდა ჩამოყალიბდეს წარმოების მომსახურების ახალი ფორმები (საწარმოთა სამეცნიერო ლაბორატორიების სახით), რომლებიც სტრუქტურულად შევლენ მეცნიერებაში და ხელშეკრულებათა საფუძველზე შეასრულებენ საწარმოთა დაკვეთებს. მათ უნდა შექმნან მეცნიერულად ახალი პროდუქტი, რომელმაც დიდი

ეფექტი უნდა მისცეს საწარმოებს. მიზანშეწონილია ასეთი ლაბორატორიების შექმნა ღვინის ქარხნებსა და მათ გაერთიანებებში.

მეცნიერებაში უნდა შეიქმნას ამ მიმართულებით მცირე ფირმების
ორგანიზაციული ფორმები. ჩვენი შეხედულებით, ისინი უფრო მოქნილად იმუშავებენ და მაღალეფექტურად გამოიყენებენ შექმნილ სამეცნიერო პოტენციალს. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მათი ორგანიზაციული ფორმის ჩამოყალიბებას და მომავალ მუშაობაში დაეხმაროს. დასაწყისში გადასახადებში მისცეს შეღავათები, ხოლო შემდგომ ეტაპზე მოახდინოს მათი ნორმატიული ნიხრების მიხედვით დაბეგვრა. ასეთი სამეცნიერო მცირე ფირმები უფრო მოქნილად იმუშავებენ.

მევენახეობის განვითარებისათვის უნდა მოხდეს ფუნდამენტური თემატიკისა და კვლევების განვითარება. მევენახეობის დარგი დღეს მძიმე მდგომარეობაშია. მართვის ძველი მეთოდებით ვეღარ გავუმკლავდებით საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. მეცნიერულად პერსპექტივაში გათვლილი უნდა იქნას დარგის განვითარების პროგნოზები, მასში უნდა დამუშავდეს საკუთარი კაპიტალდაბანდებები და დაფინანსების წყაროები, გათვალისწინებული მოზიდული ინვესტიციები და შიდა კრედიტები, რა ფორმით, როგორ და რა მიზნობრიობით გამოვიყენოთ, როგორ გავაფართოვოთ კვლავწარმოების პროცესი, ზუსტად გავითვალოთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჩვენი საკუთარი და მოზიდული საშუალებები და სხვა მრავალი საკითხები. ყველა პროცესების

გათვლები ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნებს.

§ 3.3 მევენახეობის დარგის ეკონომიკური ურთიერთობისა და მართვის სრულყოფის საკითხები (ახალი ტენდენციები საგარეო-ეკონომიკურ მართვაში)

ეკონომიკის განვითარების თანამედროვეობის ეტაპზე მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მევენახეობის დარგის განვითარებას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცენტრალიზებული მართვის პირობებში ეს დარგი სპეციალიზებული იყო და შესული აგროსამრეწველო ინტეგრირებულ სისტემაში. მევენახეობის დარგს ხელმძღვანელობდა მევენახეობის ტრესტი და ის მჭიდრო კავშირში იყო საქართველოს "სამტრესტთან", რომელიც აერთიანებდა ღვინის ქარხნებს და "ქარხანათა სამმართველო-გაერთიანებებს".

სოფლის მეურნეობაში, ისე როგორც მევენახეობაში, ჩამოყალიბებული
იყო გეგმიური მართვის სისტემა მაკროეკონომიკის დონეზე. დგებოდა მიმდინარე და პერსპექტიული გეგმები, რომლებიც განიხილებოდა და მტკიცდებოდა შესაბამისი სისტემის ზემდგომ ორგანოში. განხილვის შემდეგ სავალდებულო იყო მათი შესრულება. ცენტრალიზებული მართვის სისტემის შიგნით გეგმიურ შესაძლებლობათა გამოსავლენად ზეცენტრალიზაციაც ხდებოდა, რაც საფუძველად ედებოდა ცენტრალიზებულ (დეცენტრალიზებულ) მართვის სისტემის განხორციელებას. ფაქტობრივად ცენტრალიზმთან გვქონდა საქმე და

არა დეცენტრალიზმსა და დემოკრატიზმთან, როგორც ეს მათ დოკუმენტებში იკითხებოდა.

ერთწლიანი მიმდინარე გეგმების საფუძველზე დგებოდა ხუთწლიანი გეგმები, რომლებშიც აისახებოდა (ტიპობრივი გეგმის წინასწარ დამუშავებაც "მაკეტებში" _ წიგნებში) საწარმოზე მიმაგრებული წარმოების საშუალებები და სამუშაო ძალა, სახნავი მიწის ფართობები, მრავალწლიანი ნარგავები. აქედან: ვენახები, მოსავლიანობა, საერთო მოსავალი, სასაქონლო პროდუქციის მასა, წარმოებისა და რეალიზაციის მაჩვენებლები, წარმოების შედეგები (წარმოების დანახარჯების ეკონომია და გადანახარჯები), ისაზღვრებოდა ერთეული პროდუქტის თვითღირებულებით და დგინდებოდა წარმოების ფასი. ანგარიშობდნენ ცენტნერი ყურძნის პროდუქციის თვითღირებულებას, რის საფუძველზეც ისაზღვრებოდა წარმოების გეგმიური ფასი. აგრეთვე, ღრმად ანალიზდებოდა ყურძნის შესყიდვისა და ჩაბარების ფასები, ისაზღვრებოდა რეალიზებული პროდუქციის ფინანსური შედეგები, ე. ი. ისაზღვრებოდა არა საბაზრო, არამედ ყურძნის შესყიდვის ფასები.

კახეთის რეგიონის რაიონების მიხედვით, ყურძნის შესყიდვის ფასები

საშუალოდ დგინდებოდა საბაზრო შაქრიანობით (18%-იან სიტკბოზე), კილოგრამ ყურძენზე 40 კაპიკი (ცენტნერი 40 მან.). კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიხედვით ფაქტობრივად ყურძნის სიტკბოს, მაღალი შაქრიანობის შემცველობის გამო, საშუალოდ უწევდა 50-60 კაპიკი, ყოველი ცენტნერი ყურძნის წარმოებისათვის საწარმოები

ღებულობდნენ ცენტნერზე 15-20 მანეთის მოგებას. ასე რომ, მევენახეობის დარგი ყოველთვის მომგებიანი და რენტაბელური იყო.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მევენახეობის დარგში მოქმედებდა წარმოების ინტენსიური სისტემა. ყურძნის მოსავლიანობის ზრდა ყოველწლიურად მატებით ხასიათდებოდა (თუმცა მიწერებსაც ჰქონდა ადგილი). მართვის ექსტენსიფიკაციასაც დიდი ყურადღება ექცეოდა. ვენახების ფართობი წლითიწლობით იზრდებოდა.

ცენტრალიზებულ გეგმიურ მართვასთან ერთად, საწარმოებს ცენტრალიზებულად გამოეყოფოდათ მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, ფონდები და საბჭოთა მეურნეობების კაპიტალდაბანდებათა ლიმიტები. დაგეგმვის სისტემა არ იყო ცუდი, თუ არ გავითვალისწინებთ ზოგიერთ ნიუანსებს, დაგეგმვის ზეცენტრალიზაციასა და ბიუროკრატიზმს.

დაგეგმვა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მართვის ინ-სტრუმენტია, რომელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობაც არ უნდა იყოს. წარმოებას და სასაქონლო პროდუქციის მიღებას ყოველ სისტემაში საზოგადოებრივი ხასიათი აქვს. ამ მიმართულებით, მთავარია, შრომის პროდუქტებს რა მექანიზმით ვანაწილებთ, როგორ დგინდება წარმოებისა და სასაქონლო მიმოქცევის ხარჯები და ფასები, შრომის ანაზღაურების ფონდები (ხელფასები) და რა მექანიზმებით ნაწილდება წარმოებული სასაქონლო პროდუქტი მომხმარებელთა შორის.

ზემოთ მინიშნებული საკითხები მეტად რთული პროცესია. საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისათვის ბრძოლის გარდამავალ

ეტაპზე სხადასხვა დოქტრინები და მოდელები განვითარდა. ისინი ძირითადად შემოტანილი იქნა საზღვარგარეთის საბაზრო ეკონომიკის მოწინავე ქვეყნებიდან "ტრაფარეტულად", რაშიც არ იქნა გათვალისწინებული ეროვნული ეკონომიკისა და საზოგადოების სოციალური მდგომარეობის თავისებურებანი, რამაც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა სოფლისა და აქედან, მევენახეობის მართვის სისტემაზე.

სოციალისტური წარმოების ორგანიზაციული და სტრუქტურული ფორმების დემონტაჟი ყოველმხრივ გაანალიზებას საჭიროებდა. საჭირო იყო მომხდარიყო მიღწეული დონის შეფასება, არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ინვენტარიზება, ზუსტი აფასება და აღრიცხვაში მოქცევა, ყველა რეზერვების მაქსიმალური გამოყენება. ხშირად დაგეგმვის ცენტრალიზებული მართვის სისტემას აიგივებენ დიქტატთან. რა თქმა უნდა, დიქტატი და დიქტატურა ცენტრალიზებული მართვის სისტემამ წარმოშვა, რაც ამ სისტემის გადმონაშთია, ის დღეისათვის მიუღებელია, მაგრამ ეს იმაზე არ მიუთითებს, რომ სოციალისტური საწარმოების დემონტაჟის დროს გაგვენადგურებინა მთელი საწარმოო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები. ისინი კი არ უნდა გაგვენადგურებინა, არამედ სრულად უნდა გამოგვეყენებინა ყველა საშუალებები და მომხდარიყო სოციალისტურ საწარმოთა ორგანიზაციული და სტრუქტურული ფორმის ცვლა.

თუ გადავხედავთ და დავახასიათებთ კოლმეურნეობას ამ მიმართულებით, იგი იყო წარმოების კოოპერირებული ფორმა, რომელშიც ერთიანდებოდნენ სოფლის საზოგადოების ის წევრები,

რომლებიც გადაიხდიდნენ საპაიო და განუყოფელ ფონდებში (საწესდებო) შესატანებს. შრომის მართვის კოოპერირებულ ფორმას წარმოადგენდა წარმოების საშუალებები და აქ ნაწარმი პროდუქცია ეკუთვნოდა ხალხის იმ ჯგუფს, ვინც ამ კოოპერირებულ საწარმოთა ფორმაში იყო გაერთიანებული. შრომის პროდუქტები ნაწილდებოდა ადმინისტრაციულ-სამმართველო და მომსახურე პერსონალზე ნამუშევარი დროის მიხედვით, ხოლო გლეხებზე (ფიზიკურ და ტექნიკურ მუშებზე) სანარდო სისტემით, რასაც საფუძვლად ედო გამომუშავების ნორმები, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და გამომუშავების ნორმათა შეფასებანი, რის მიხედვითაც ანგარიშობდნენ შრომის ანაზღაურებას ფორმულით "ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო გამრავლებული ნორმათა შეფასებაზე და გაყოფილი ნორმაზე". ჩვენი შეხედულებით, იქნებ აჯობებდა შეგვეცვალა მისი შინაარსობრივი ფორმა, სახელი და მისთვის დაგვერქვა "სოფლის მეურნეობის კოოპერირებული ფორმა". ამ შემთხვევაში, უნდა შეცვლილიყო საწარმოს ორგანიზაციული ფორმაც და სტრუქტურაც საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნების შესაბამისად. საბაზრო ეკონომიკის განვითარებული ფორმის პირობებში დარგების კოოპერირებას ექცევა მთავარი ყურადღება, რადგანაც დარგთა სპეციალიზაცია და ინტეგრაცია გარდაუვალი ეტაპია საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოფლის განვითარებული ფორმისათვის. ამჟამინდელი აგროსამმართველოები მაინც დაეყრდნობა მომავალში "ასკ"-ის სისტემას, ისიც უნდა გარდაიქმნას აგროსამრეწველო ინტეგრირებული სისტემის სამმართველოდ.

მართვის დემოკრატიზმის პრინციპების დაცვას და მის შემდგომ განხორციელებას რაც შეეხება, ის დაეფუძნება კერძო და ჯგუფური საკუთრების საწარმოთა საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპებს (კოლმეურნეობები ამ პრინციპით მუშაობდნენ). ისმება საკითხი, უნდა გაგვეხორციელებინა ასეთი "შოკური თერაპიით" ნაუცბადევი საწარმოო საშუალებათა და მიწების პრივატიზაციის პროცესი? ვფიქრობთ, პრივატიზაციის პროცესები დიდი შეუსაბამობით განხორციელდა. დარღვეული იქნა პრივატიზაციის ჩატარების დრო და საწარმოო საშუალებათა განსახელმწიფოებრიობის (სახეების მიხედვით) ფორმები და მეთოდები. მიწა სოფლად განსაკუთრებული სახის საწარმოო საშუალებაა, რომლის საკითხი დღესაც გადაწყვეტილი არ არის. იქცეს თუ არა მიწა გაყიდვის ობიექტად, მიწათსარგებლობის კანონში დღესაც გადაწყვეტილი არ არის მიწის საბაზრო ფასი. საჭირო იყო შეგვენარჩუნებინა კოლმეურნეობის ორგა-ნიზაციული ფორმა, რომელიც გარდამავალ პერიოდში "აგროსამრეწველო ინტეგრირებულ ფორმად გარდაიქმნებოდა", რის საფუძველზედაც შენარჩუნებული იქნებოდა მევენახეობა. პრივატიზაციის პროცესი უნდა დაგვეწყო საწარმოო მობილური ტექნიკის პრივატიზაციით. არსებული ტექნიკური საშუალებების რეორგანიზაციით უნდა გარდაქმნილიყო მომსახურების ინფრასტრუქტურის დარგები, ხოლო შემდგომ, ავტოპარკის რეორგანიზაცია მომხდარიყო. ვფიქრობთ, ტექნიკური მომსახურების ინფრასტრუქტურის ორგანიზაციული და სტრუქტურული ფორმები უნდა დაგვემუშავებინა, რომელიც შეიარაღებული იქნებოდა

ტექნოლოგიური პროცესების შესაბამისი დიდი და მცირე საწარმოო მექანიზმებით (მცირე წარმოებას მცირე მექანიზაცია სჭირდება).

მართვის მთავარი ფუნქციაა დაგეგმვა, მითუმეტეს, საბაზრო ეკონომიკის სისტემაში მარკეტინგული დაგეგმვა უნდა პასუხობდეს დემოკრატიული მართვის საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნებს. საბაზრო ეკონომიკის მოწინავე ქვეყნებში ეს პროცესი ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი საქმიანობების დროს, როგორიცაა: წარმოება, გაცვლა, განაწილება, გასაღება, შრომის პროცესი, ხელფასები, მოხმარება და ა.შ. გეგმების შედგენას მცირე ბიზნესში ლოკალური ხასიათი აქვს, თუმცა, დიდი ბიზნესისა და ფინანსური გაერთიანებების პირობებში გლობალური ხასიათიც.

მოწინავე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ბაზრის მეშვეობით ყველაფერი არ წყდება. სახელმწიფოს მიერ რეგულირდება ისეთი საკითხები, როგორიცაა: საბაზრო ფასები, სახელმწიფო პროგრამები, ფერმერთა გაკოტრებისაგან დაცვის, მიწების, შეღავათიანი კრედიტების, პროდუქციის შესყიდვის და სხვა საკითხები. განვითარებულ ქვეყნებში ბაზარი ძირითადად ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ქვეყნები იყენებენ მართვის დეცენტრალიზებულ სისტემას ცენტრალიზაციით და ცენტრალიზებულ სისტემას დეცენტრალიზაციით, ე.ი. ხდება დარგების მართვის კომბინირებანი, რაც აუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკური მართვის
მდგომარეობას.

დაგეგმვისა და მართვის საუკეთესო მაგალითია ისრაელის სოფლის მეურნეობა. იქ საწარმოთა ორგანიზაციული ფორმებია:

კომუნები (კიბუცები), გლეხური კოოპერატივები (მოშაკი), კერძო გლეხური მეურნეობები, კოოპერატივები, სადაც კოოპერაციული საწარმოები შეადგენენ აგროსამრეწველო კომპლექსის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას. ქვეყანას აქვს სოფლის განვითარებისა და დაგეგმვის ცენტრი. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოთა ორგანიზაციულ ფორმაში იყენებენ კომუნებს, მას საერთო არაფერი არა აქვს დაგეგმვისა და მართვის ცენტრალიზებულ სისტემასთან.

რომელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაც არ უნდა იყოს აღებული, დაგეგმვისა და მართვის სისტემაზე ხელის აღება ყოვლად დაუშვებელია, რადგანაც დაგეგმვა მართვის ფუნქციის მთავარი შემადგენელი ნაწილია.

მეცნიერება და პრაქტიკა იცნობს გეგმებს და დირექტივებს, დროის მიხედვით მიმდინარე და მომავალი პერიოდის პერსპექტიული დაგეგმვის პრინციპებს. თანამედროვეობის პირობებში ხდება პერსპექტიული გეგმების შედგენა, რომელიც ემყარება მათემატიკურ პროგნოზირებულ გათვლებს, პარამეტრების დადგენაში მაჩვენებელთა სისტემების შექმნასა და დამუშავებას. ბაზარი და მისი ეკონომიკა ისეთი მრავალფუნქციური სისტემაა, რომელიც მრავალ საბაზრო ატრიბუტებს იყენებს. ის ოპერატიული და რთული მექანიზმია, რაც ერთ წაბორძიკებასაც კი არ გვაპატიებს. ამიტომ, გათვლებისა და პარამეტრების დამუშავებაში გამოყენებული უნდა იქნას ზუსტი მათემატიკური ვარიაციები და მოდელები, საიდანაც უნდა შეირჩეს ოპტიმალური ვარიანტები, რათა უკეთეს დონეზე ვმართოთ ჩვენი მომავალი.

მართვის ავტომატიზირებული სისტემების შექმნის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რა მდგომარეობა გვაქვს დაგეგმვის, აღრიცხვის, ანალიზის და კონტროლის ფუნქციონირების საკითხში? აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბაზრო ეკონომიკისათვის ბრძოლის გარდამავალ ეტაპზე მოიშალა საწარმოთა ორგანიზაციული ფორმები და სტრუქტურები, ცენტრალიზებული მართვის სისტემიდან დეცენტრალიზაციაზე გადასვლამ საწარმოთა ორგანიზაციული ფორმების მუშაობის ქაოსი განაპირობა. ამან თავის მხრივ გავლენა მოახდინა მართვის ფუნქციებზე და მათთან ერთად, მოიშალა დაგეგმვისა და აღრიცხვის სისტემებიც. დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის ფუნქციებზე ინსტიტუტებსა და პარლამენტთან არსებულ "ოფისებში", მცირერიცხოვანი ჯგუფები მუშაობენ, რომელთაც არ შესწევთ უნარი გადაწყვიტონ მეცნიერების გლობალური საკითხები. ისინი ვერ უზრუნველყოფენ მართვის ფორმებისა და სისტემების დამუშავებას.

თანამედროვეობის მართვის ფორმები და სისტემები კი საჭიროებს შიდა და საერთაშორისო სტანდარტებით მუშაობას. ერთიანი სტანდარტულ მაჩვენებელთა სისტემები, დაგეგმვისა და აღრიცხვის სტანდარტები, ანგარიშების წიგნური უნიფიცირებული და სტანდარტული მაკეტები არა გვაქვს შეკრული, რაც მეტად აფერხებს თანამედროვეობის მართვის ავტომატიზირებული სისტემების შექმნასა და განვითარებას.

ცენტრალიზებული მართვის სისტემა ცენტრალიზებული დაგეგმვის სისტემას იყენებდა. მართვის დეცენტრალიზაციაზე გადასვლასთან დაკავშირებით, კი არ უნდა უარვყოთ გეგმა-

დირექტივებისა და გეგმა-პროგნოზირების სისტემა, არამედ ეს სისტემები მეტად უნდა განვავითაროთ, რადგანაც ბაზარი უფრო ოპერატიულ და გრძელვადიან პროგნოზირებას საჭიროებს. მარკეტინგი _ მეცნიერება ბაზართმცოდნეობის შესახებ, მარკეტინგული დაგეგმვის დროს თხოულობს - "ნებისმიერი ფირმა უნდა იყურებოდეს წინ იმისათვის, რომ ნათლად შეიცნოს, თუ საით მიდის იგი და როგორ მიაღწიოს მიზანს. არ შეიძლება თვითდინებაზე მივუშვათ საკუთარი მომავალი, ეს რომ არ მოხდეს, ფირმა გამოიყენებს ერთდროულად ორ სისტემას: სტრატეგიული დაგეგმვის სისტემას და მარკეტინგის დაგეგმვის სისტემას".[23]

როგორც ვხედავთ, ამერიკის ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი მიანიშნებს, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედებს დაგეგმვის და მართვის სტრატეგიული სისტემა, რომელიც გამოიყენებს პროგნოზირების, მათემატიკური ფორმულებით გათვლის ხერხებსა და მეთოდებს ელექტრონულ-კომპიუტერული სისტემებით.

პროგნოზირებაში ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს იკავებს ყურძნის პროდუქციაზე სახელმწიფო შეკვეთა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის რეგულირების მთავარი ინსტრუმენტია. მწარმოებელსა და შემკვეთს შორის როდესაც ფორმდება ხელშეკრულება, ანგარიშსწორება უნდა მოხდეს შეთანხმებული ფასებით. შემუშავებული უნდა იქნას მატერიალური და ტექნიკური რესურსების მიწოდების ზუსტი მექანიზმი. ეს საკითხი დაკავშირებულია ბაზრის სასაქონლო მიწოდების, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის, გადამუშავებითი მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის საკითხებთან, აგრეთვე, სახელმწიფოს ბიუჯეტის წარმოქმნასთან,

რადგანაც ბიუჯეტის შემოსავლები მჭიდროდაა დაკავშირებული საწარმოთა შემოსავლების ანარიცხებთან.

პროფ. ნ. ჭითანავა შემდეგნაირად ახასიათებს მოცემულ საკითხს: _ “1989 წელს სახელმწიფოსათვის მიყიდული ერთი კგ ყურძნიდან საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა საშუალოდ 59 კაპ. შემოსავალი მიიღეს, მოგებამ მხოლოდ 11 კაპ. შეადგინა. განვიხილოთ, 1 კგ ყურძნის მოძრაობის ყველა სტადიაზე როგორ ყალიბდებოდა მოგება, როგორ ხდებოდა მისი გადანაწილება. 1 კგ ყურძნის გადამუშავებით პირველად ქარხნებს დარჩათ დაახლოებით 12 კაპ. მოგება (საიდანაც შემდგომში ბიუჯეტში ჩაირიცხა 6 კაპ.). ჩამომსხმელ ქარხნებს 1 კგ ყურძნიდან მიღებული ღვინის დამუშავება_ _ ჩამოსხმაში (07 ლიტ. ბოთლი) 26 კაპიკამდე მოგება დარჩათ (აქედან ბიუჯეტში გადაირიცხა 13 კაპ.), შემდგომ ეტაპზე (რეალიზაცია) ყოველ კგ ყურძნის გადამუშავებიდან მიღებული ჩამოსხმული ღვინის (07 ლიტრი) რეალიზაციიდან, სავაჭრო ორგანიზაციას რჩებოდა (სავაჭრო დათმობის სახით 3,4%) 5 კაპიკი, ხოლო ბიუჯეტს ბრუნვის გადასახადის სახით (10%) მიჰქონდა 15 კაპ. ამრიგად, ერთი კგ. ყურძნის წარმოებისათვის სოფლის მეურნეობას რჩებოდა 11 კაპ. მოგება, მის გადამამუშავებელ მრეწველობას (პირველადს და მეორადს) 19 კაპიკი, სავაჭრო ორგანიზაციებს _ 5, ბიუჯეტს _ 34 კაპიკი”.[53]

მოტანილი მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყურძნის მწარმოებლებს მოგების დაბალი წილი ხვდებოდა, გადამუშავებით მრეწველობას სოფლის მეურნეობის წილის ორჯერ მეტი, საიდანაც ბიუჯეტს თითქმის 50% მიჰქონდა. ეს მაჩვენებლები იმაზე

მიგვანიშნებს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაკვეთის მექანიზმი სახელმწიფომ უნდა დაიტოვოს და თავისუფალ საბაზრო მექანიზმს ყველაფერი არ უნდა მიანდოს, ე. ი. უნდა მოხდეს საბაზრო რეგულირება. ასეა მოწინავე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებშიც. აუცილებელია ფასწარმოქმნის მართვის რეგულირება, აგრეთვე, ზოგიერთი პროდუქციის საბაზრო ფასების ისეთი ფინანსური ბერკეტების გამოყენება, როგორიცაა: საბიუჯეტო დოტაციები, სუბსიდიები. აგრეთვე საჭიროა საფინანსო-საკრედიტო, სავალუტო და საბაჟო პოლიტიკის, ექსპორტ-იმპორტის რეგულირება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მევენახეობის დარგში უნდა შეიცვალოს ინვესტიციების გამოყენება, საჭიროა გამოიკვეთოს მაპროფილებელი დარგები: მევენახეობა, მეხილეობა, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა. ამ დარგებს წარმოებისა და შრომის პროცესებში მაღალი ხვედრითი წონა უკავიათ და საჭიროა მათი პირველ ეტაპზე ბიუჯეტში შენატანებიდანაც კი განთავისუფლება, ხოლო როცა საბაზრო ურთიერთობანი სრულად მოწესრიგდება, მათი დაბეგვრა მოხდება მიწის გადასახადით.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 1990 წლამდე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ბანკის კრედიტები ეძლეოდათ დაბალი საპროცენტო განაკვეთებით. გრძელვადიან სესხებზე იხდიდნენ 1%-მდე, ხოლო მოკლევადიანი სესხებისათვის _ 3%-მდე.

1992 წლის 1 ივლისამდე საწარმოებს ბანკის პროცენტული ნიხრი გა-უდიდდათ 21 %-მდე, ხოლო 1 ივლისიდან ეს მაჩვენებელი გაიზარდა 41 %-მდე. ამრიგად, გადასახადების საპროცენტო ნიხრები ძალიან გადიდდა. ბანკები კრედიტით ვაჭრობას ეწევიან და თუ

მივიღებთ მხედველობაში კორუფცირებულ თანხებს, ეს ყველაფერი მძიმე ტვირთად აწვება სასოფლო- -სამეურნეო საწარმოებს, რაც მათ განვითარებას ზღუდავს. საკრედიტო სისტემის მოუქნელი მუშაობით კრედიტები გაიყინა, ფულად-საკრედიტო სისტემები ვერ ასრულებდნენ იმ მნიშვნელოვან ფუნქციებს, რაც მათზე იყო დაკისრებული. ამ ურთიერთობების გაუმჯობესებამ მომავალში მაპროფილებელი დარგების განვითარება უნდა განაპირობოს.

მოუქნელად მუშაობს აგრეთვე სადაზღვევო სისტემა. ადრე (სსრკ-ის დროს), სადაზღვევო სისტემა რაციონალურად მუშაობდა. უბედური შემთხვევის, ან სტიქიით მიყენებულ ზარალს თითქმის 40-45%-ით ანაზღაურებდა. ამჟამად, ფუნქციონირებს სადაზღვევო კომპანიები კომერციულ საწყისებზე, რომლებიც შეიქმნა 1999 წლიდან, მაგრამ მან ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება მოხმარებლებს შორის.

საფინანსო აღრიცხვისა და ანგარიშგების განმტკიცებასთან ერთად, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მმართველობითი აღრიცხვის სრულყოფისა და განმტკიცების საკითხებზე. როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკისათვის ბრძოლის გარდამავალ გზაზე ქაოსში მოექცა აღრიცხვაც, რომელიც ინფორმაციული მასალების მომხმარებლების მიხედვით ჩამოყალიბდა მმართველობით (მენეჯერულ) და საფინანსო აღრიცხვად. მეურნეობრივ-ფინანსური საქმიანობის აღრიცხვის მოწესრიგების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმას და ანგარიშების კორესპონდენციას. ეს ორივე ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის მთავარი ელემენტებია, რის საფუძველზედაც აიგება მმართველობითი

და შემდგომ, მასზედ ნაშენი საფინანსო აღრიცხვა. კვლევამ გვიჩვენა, რომ სოფლის მეურნეობაში მენეჯერული აღრიცხვიანობა მოშლილია, რაც არ იძლევა ინფორმაციული მასალებით უზრუნველყოფის სრულ შესაძლებლობას.

ჯერჯერობით, აღრიცხვის ორივე მიმართულება ერთ მთლიან სისტემად უნდა შეიკრას, 70 წლის განმავლობაში შესისხლხორცებული ქონების დატაცების, მფლანგველობის, კორუფცირებული ჩვევების საწინააღმდეგოდ.

ამჟამად პრინციპულ მნიშვნელობას იძენს მენეჯერული აღრიცხვა, რომელიც უნდა იდგეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სადარაჯოზე. კი არ უნდა შევარბილოთ კანონები, არამედ უნდა აღმოიფხვრას ქაოსი, შეიქმნას ბუღალტერული აღრიცხვის ორგანიზაციულ-მეთოდური და იურიდიულ-საკანონმდებლო ერთიანი მტკიცე ბაზა, უნდა შევიცნოთ ეროვნული ეკონომიკის მართვაში დაშვებული შეცდომები და მტკიცედ ვიბრძოლოთ მაპროფილებელი დარგების განვითარებისა და მათ მართვაში დაშვებული მანკიერი სტილის ლიკვიდაციისათვის.

ჯანსაღად უნდა მუშაობდეს ეროვნული ეკონომიკის ფინანსური სექტორი (ფული, საკრედიტო და საბანკო სისტემა, ფასიანი ქაღალდები და მისი ბაზარი, საფონდო, სასაქონლო და შრომითი ბირჟები), უნდა განმტკიცდეს კავშირები ფინანსური სექტორის ელემენტებსა და ჩვენს რეალურ ეკონომიკას შორის.

მომავალში შემუშავებული უნდა იქნას, სოფლის განვითარების გენერალური პერსპექტიული გეგმა. მოსახლეობას ესაჭიროება სოციალური დაცვა. ამ მიმართულებით საჭიროა ინფორმაციული

მასალები მოსახლეობის დემოგრაფიული სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით. ღრმად უნდა შევისწავლოთ სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (მოსახლეობას არა აქვს ნორმალური მატერიალური პირობები, გათბობა, განათება, სურსათი და ა.შ.), რათა განვითარების პერსპექტივისათვის გათვალისწინებული იქნას წარსულის შეცდომები.

ბუღალტრულ აღრიცხვასთან ერთად, განვითარებას საჭიროებს სტატისტიკური აღრიცხვა. 1990 წლის შემდეგ მოხდა სტატისტიკური სამმართველოს რესტრუქტურიზაცია, რამაც გამოიწვია მისი სტრუქტურული შედგენილობის შემცირება, მუშაობის გაუარესება (არსებული ქონება გამოთვლით ცენტრებში განადგურებული და დატაცებული იქნა), რის გამოც მთლად მოიშალა სტატისტიკური აღრიცხვიანობა. სრულყოფილი ინფორმაციული მასალები არ გაგვაჩნია მაპროფილებელი დარგების ფართობების, მოსავლიანობისა და საერთო მოსავლიანობის შესახებ.

საჭიროდ ვთვლით, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგებს შორის უფრო მჭიდრო კავშირების წარმოქმნას. აღრიცხვის სტანდარტების დანერგვასთან ერთად, ეროვნულ მეურნეობაში მტკიცედ უნდა შემუშავდეს სტატისტიკური სტანდარტები.

ჩვენთვის ცნობილია, რომ გაუქმებული იქნა კვარტალური ანგარიშგების მასალების წარდგენა. ამ პროცესმა კიდევ უფრო გააუარესა აღრიცხვიანობის დონე საწარმოებში და მენეჯერული აღრიცხვიანობა ჰაერში გამოკიდებული დარჩა (აღარ ადგენენ

საწარმოები თვიურ და კვარტალურ ბალანსებს, ან თუ ადგენენ, მეტად დაგვიანებით).

მევენახეობის დარგის შემდგომი განვითარების თვალთახედვის მიხედვით,

გვერდს ვერ ავუვლით ისეთი აქტუალური საკითხის განხილვას, როგორიცაა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის საკითხი. საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პირველ ეტაპზე უნდა განვიხილოთ ყურძნის პროდუქციის ფასწარმოქმნის ბერკეტი, რადგანაც შიდა ბაზარზე ჭარბობს დასაქონლება.

აგრარულ სისტემაში და, კერძოდ, მევენახეობის დარგის მართვის სისტემაში, არ შექმნილა ეკონომიკური, ტექნოლოგიური, დაგეგმვის, აღრიცხვის და სხვა საქმიანობის მართვის ისეთი მექანიზმი, რომელიც დაარეგულირებს ინფორმაციის მოპოვებას, როგორც საშინაო, ასევე, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ვაჭრობის საქმეში. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის საქმეში ესოდენ საჭირო ინფორმაცია, ჩვენი შეხედულებით, სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა გადაწყდეს.

აგრარულ სექტორში არ არსებობს აგრეთვე, კადრების მომზადების ერთიანი სისტემა. სხვადასხვა კომერციული სასწავლებლები ატარებენ ფუნქციონირების სტიქიურ ხასიათს. დაბალია თეორიული და პრაქტიკული მომზადების დონე, რაც სახელმწიფოს დონეზე უნდა დარეგულირდეს.

უცხოეთის პროფესიონალი სპეციალისტების გამოყენება ჩვენს ეკონომიკაში სასურველ შედეგებს ვერ იძლევა. ცუდად იცნობენ ჩვენს

ეკონომიკას და მის თავისებურებებს, ანგარიშს არ უწევენ იმ ობიექტურ გარემოებას, რა შესაძლებლობაც მას გააჩნია.

სათანადოდ არ არის დამუშავებული საგარეო_ეკონომიკური ურთიერთობების სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა, რის გამოც სახელშეკრულებო ურთიერთობანი მოუწესრიგებელია. ზოგჯერ მათი რატიფიცირებაც კი არ ხდება. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობანი რომ გაფართოვდეს ქვეყანაში, მოწესრიგებას საჭიროებს ეკონომიკური ცხოვრებისა და პოლიტიკური სიტუაციების სტაბილიზაცია.

საგარეო ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბება და განვითარება მეტად

რთული პროცესია. მას რეგულირება და მობილური ინფორმაციული სისტემის ბაზაზე კავშირების გაძლიერება სჭირდება. ჩვენთან ჯერ კიდევ, სათანადოდ არ მუშაობს ეკონომიკის რეალური სექტორი. მეწარმეობა და მწარმოებლები სუსტ სუბიექტებს წარმოადგენენ, რომელთაც არავინ არ ეხმარება. დასარეგულირებელია საგადასახადო კანონთა კოდექსი რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებით.

დარეგულირებას საჭიროებს ექსპორტ-იმპორტის ბალანსი. იგი ამ მიმართულებით დეფიციტურია. ეს საკითხი, განსაკუთრებით, ეხება მევენახეობის დარგს. არ ხდება სახელმწიფოს მხრივ ფასების დარეგულირება. იმისათვის, რომ ვაწარმოოთ მაღალი ხარისხის ღვინო-პროდუქცია და ავიყვანოთ მისი ჩამოსხმა და მარკირება ექსპორტის დონემდე, უნდა მოხდეს ქარხნების გადაიარაღება, რასაც სჭირდება დიდი კაპიტალდაბანდებანი და ინვესტიციები.

საბაზრო ურთიერთობის განვითარებას მარტო ფასების ლიბერალიზაცია და პრივატიზაცია ვერ უშველის. მასთან ერთად,

სწრაფი ტემპით უნდა განვითარდეს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობანი და ვაჭრობა. ღრმად უნდა იქნას შესწავლილი საშინაო და საგარეო ვაჭრობის კონიუნქტურა, მათი თანაფარდობა, ზუსტად განისაზღვროს საექსპორტო ღვინო-პროდუქციის მასა და ღირებულება. საექსპორტო პოტენციალს უნდა მიეცეს პრიორიტეტული მიმართულებები. ამაღლდეს პროდუქციის კონკურენტ-უნარიანობა, განმტკიცდეს კავშირები საზღვარგარეთის აგრარულ მეცნიერებაში მომუშავე კადრებთან, შეიქმნას ერთობლივი საწარმოები, გაძლიერდეს მეცნიერულ-პრაქტიკული კავშირები. უნდა მოხდეს საზღვარგარეთის საინფორმაციო მასალების მოპოვება, მათი დამუშავების სისტემატიზაცია, ბანკისათვის მიცემა, სარეკლამო პროდუქციის დამუშავება, ანალიზი და მის ბაზაზე საზღვარგარეთთან კავშირების გაძლიერება, რაც განსაკუთრებით, აუცილებელია საქართველოს ეკონომიკის მაპროფილებელი დარგების მიმართ. უნდა დაიხვეწოს კავშირურთიერთობის სტაბილიზაცია, ვაჭრობის გაღრმავება დადებითი ბალანსის შენარჩუნებით. გადაჭრით უნდა განვითარდეს მაპროფილებელი საექსპორტო დარგები.

დასკვნები და წინადადებები

მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესი შეიცავს შრომის პროცესებს და ობიექტურად განაპირობებს მისი ყველა მონაწილის (საწარმოო საშუალებებისა და სამუშაო ძალის) მოქმედების ორგანიზაციულ გაერთიანებას. იგი უნდა განვიხილოთ, როგორც საწარმოო ძალების ფუნქციონირების პროცესი, რომლის ორგანიზაციული მართვის ტიპები დამოკიდებულია საკუთრების ფორმებისა და წარმოებითი ურთიერთობების სისტემებზე.

შრომის პროცესები იმართება გამიზნული გეგმის (ბიზნეს-გეგმის) შესაბამისად, სადაც წარმოიქმნება შრომის პროცესთა მართვის სისტემური ორგანიზაცია. საბაზრო ურთიერთობის პირობებში შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა მცირე საწარმოა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის სისტემაში წარმოიშვა. მომავალში უნდა ვიფიქროთ წარმოების სპეციალიზაციის, კონცენტრაციისა და ინტეგრაციის მაღალ დონეზე გაღრმავებისათვის.

საზოგადოებრივი წარმოების განვითარება მოითხოვს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მაღალ დონეს, შრომის ორგანიზაციული და სტრუქტურული შედგენილობის გაუმჯობესებას, ხოლო მაღალი დონის მიღწევა კი შეიძლება სოფლის მეურნეობის წარმოების პროცესების ტექნიკური უზრუნველყოფისა და აუცილებელი ენერგოშეიარაღების საფუძველზე.

სოფლის მეურნეობის წარმოებისა და შრომის პროცესებთან დაკავშირებით, უნდა გავითვალისწინოთ ის სირთულეები და წინააღმდეგობები, რომლებიც თან ახლავს სოფლის მეურნეობას

მრავალდარგიანობის სახით და თხოულობს სპეციალიზაციას, შეთანაწყობილ განვითარებას. ამავე დროს, სოფლის მეურნეობის წარმოება თავისებურებებით ხასიათდება, რაზედაც გავლენას ახდენს:

- ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორები _ გარემო, ჰავა და კლიმატი;
- სოფლის მეურნეობის წარმოების სეზონურობა _ სამუშაო პერიოდი და წარმოების ციკლი ერთიმეორეს არ ემთხვევა;
- სოფლის მეურნეობაში მიღებული მზა პროდუქტი წარმოადგენს არა მარტო საქონლურ, არამედ კვლავწარმოების საფუძველს;
- სოფელში პროდუქტი წარმოიქმნება წარმოების პროცესში, რაც დაკავშირებულია ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან;
- სოფელში დაკავშირებული ვართ მიწასთან და ცოცხალ ორგანიზმებთან;
- საქმე გვაქვს ენერგიის დაგროვებასთან, მრავალდარგიანობასთან, სპციალიზაციასა და შეთანაწყობილი განვითარების აუცილებლობასთან.

სოფლის მეურნეობისა და მასში შემავალი ცალკეული დარგების მართვის სისტემაში წარმოების თავისებურებებთან ერთად, ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია შრომის პროცესთა ტერიტორიულ და რეგიონალურ დანაწილებას, რომელიც ეყრდნობა ცენტრალიზებული, ან დეცენტრალიზებული მართვის სისტემებს. ცენტრალიზებული მართვის სისტემის პირობებში (სსრკ-ის დროს), განხორციელებული იყო აგროინტეგრირებული მართვის სისტემა. მათ, მიუხედავად წარმატებებისა, შეცდომებიც ბევრი ჰქონდათ, მაგალითად:

1. აგროინტეგრაციის ბაზაზე სოფლის მეურნეობის წარმოების პროცესები გაერთიანებული იყო მრეწველობის დარგებთან, რომელთა დაქვემდებარებაში შედიოდა (დამოუკიდებლობის შენარჩუნებით): ხორცისა და რძის მრეწველობის ქარხნები, ჩაის, ღვინის და პროდუქტების საკონსერვო ქარხნები. ამ ბაზაზე მიღწეული იყო წარმატებები. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოფლად სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის პროცესში, მაგრამ მათი გაერთიანება მოხდა მექანიკურად, არ იქნა გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ტექნოლოგია, კადრები და სხვა;

2. ვერ მოხდა ტერიტორიულ-რეგიონალური, რაიონული დარგობრივი მართვის ფუნქციების ოპტიმალური შესაბამისობა;

3. მართვაში დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა გამოიწვია "ასკ"-ის კრიზისულ ფორმაში შესვლა, რის საფუძველზედაც გამოიკვეთა აშკარა წინააღმდეგობა მართვის ორგანიზაციულ ფორმასა და მის ეკონომიკურ შინაარსს შორის.

დეცენტრალიზებული მართვის სისტემაზე გადასვლა მოხდა 1989-1990 წლებში, რომელმაც მოიცვა ჩვენში ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი ამჟამად იყოფა ორ პერიოდად: პირველი პერიოდი მოიცავს 1990-1995 წლებს და მეორე _ 1995 წლიდან დღემდე არსებულ პერიოდს. ამრიგად, გარდაქმნის პერიოდი შეიძლება დავაჯგუფოთ: 1. სწრაფი რადიკალური გარდაქმნის _ "შოკური თერაპიის" მეთოდად და 2. "თანდათანობითი, ევოლუციური გარდაქმნის" მეთოდად.

თავის მხრივ “შოკური თერაპია” მოიცავს რეფორმათა ხუთ მიმართულებას: 1. მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას; 2. ფასებისა და ბაზრის რეფორმას; 3. საფინანსო რეფორმას; 4. კერძო სექტორის განვითარებისათვის გასატარებელ ღონისძიებათა კომპლექსს; 5. სახელმწიფოს რეგულირებისა და მართვის როლის ტრანსფორმაციას.

გარდაქმნის ღონისძიებათა არასწორმა კომპლექსმა _ ეკონომიკურმა, დარგობრივმა და ფინანსურმა ლოკალურმა კრიზისმა ჩვენი ქვეყანა გლობალურ კრიზისებამდე მიიყვანა, საიდანაც ვეღარ მოვახდინეთ ამოსვლა.

ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მართვის დონეებს განაპირობებს საწარმოო საშუალებათა საკუთრების ფორმები. ცენტრალიზებული მართვის სისტემიდან დეცენტრალიზებულზე გადასვლა ეკონომიკურ-სოციალური გარდაქმნის რთული პროცესია, რაშიც დიდი შეცდომები დავუშვით. მიკროეკონომიკის საწარმოთა შრომის ორგანიზაციული ფორმების ძიების დროს მარცხი განვიცადეთ, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ეროვნულ ეკონომიკას. გადაჭრით უნდა გავაანალიზოთ წარსულის შეცდომები და დავსახოთ ღონისძიებები მაკრო და მიკრო დარგების ორგანიზაციული ფორმების ძიებისათვის, მათი სტრუქტურული შედგენილობის შემდგომი განვითარების მიზნით.

ჩვენი შეხედულებით, გარდამავალი პერიოდი “შოკური თერაპიით” კი არ უნდა გაგვეხორციელებინა, არამედ, უნდა დაგვეტოვებინა უფრო ხანგრძლივი ევოლუციური გარდაქმნის პერიოდი (მოგვემზადებინა მცირე მექნიზმებით შეიარაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სწორი პრივატიზების

განხორციელების გზით). სწორი ორგანიზაციული და სტრუქტურული გარდაქმნის თანმიმდევრული სისტემა არ შევიმუშავეთ, რის გამოც დღესაც ჩვენი ეკონომიკა ჩიხშია მოქცეული, კრიზისული კრახი სახეზე გვაქვს.

იმისათვის, რომ მომავალში მევენახეობის დარგმა შეასრულოს აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში თავისი დანიშნულება და ეკონომიკური რეფორმაციის კომპლექსთან ერთად მოვახდინოთ ფინანსური გარდაქმნის რესტრუქტურიზაცია, საჭიროა განხორციელდეს შემდეგი სახის კომპლექსური ღონისძიებები:

1. დამუშავებული უნდა იქნას შრომის პროცესთა განხორციელების რაციონალური ორგანიზაციის ფორმები. ვფიქრობთ, კერძო შრომის პირობებში (გლეხური და ფერმერული მეურნეობები) კარგი იქნება თავდაპირველად საიჯარო-საარენდო შრომის ფორმების დანერგვა, შემდგომ ეტაპზე კი უნდა გადავიდეთ დარგების სპეციალიზაციის, კოოპერირების, კონცენტრაციის და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ორგანიზაციულ და სტრუქტურულ მაღალ ფორმებზე;

2. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა უნდა მოვახდინოთ საკუთრად დამუშავებული ეროვნული ეკონომიკის მოდელის მიხედვით და არა "ტრანსფერენტულად" შემოტანილი ეკონომიკური მოდელების მიხედვით. ჩვენ ეს შეცდომები მომავალშიც უნდა გავითვალისწინოთ;

3. მევენახეობის განვითარება მჭიდრო კავშირშია მატერიალური და ტექნიკური მომარაგების საკითხებთან. მცირე ბიზნესის განვითარებას მცირე მექანიზაცია სჭირდება. ამიტომ უნდა შეიქმნას

მცირე მექანიზაციით მომსახურების ინფრასტრუქტურის ორგანიზაციული სფერო (კერძო მომსახურება ქაოსშია);

4. განვითარებას საჭიროებს გადამუშავებითი მრეწველობის (ქარხნის) შექმნილი ორგანიზაციული ფორმები და სტრუქტურები, ვინაიდან, 2000 წელს სამრეწველო გადამამუშავებელმა ქარხნებმა ყურძნის მოსავლის 13% შეისყიდა და გადაამუშავა;

5. უნდა დაიხვეწოს მიწისა და მიწათსარგებლობის (მიწათსაკუთრების, შეფასების, გასხვისების და სხვა) საკითხები;

6. უნდა მოიძებნოს ყურძნის პროდუქციის თავისუფალი და მიზნობრივი ბაზრები, დარეგულირდეს საბაზრო ფასები;

7. სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესები უზრუნველყოფილი უნდა იქნას აგროინტეგრირებულ ფორმებთან და თანდათანობით უნდა გადავიდეთ აგროსამრეწველო კომბინატების, აგროგაერთიანების შრომის ორგანიზაციულ და სტრუქტურულ ფორმებზე, რომლებიც უნდა შევაიარაღოთ მოწინავე ტექნიკის, ტექნოლოგიისა და ტექნიკური პროგრესის მაღალ დონეზე;

8. უნდა მოხდეს ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მართვის სისტემების კოორდინირება, რის ბაზაზედაც ჩამოყალიბდებოდა საწარმოთა ორგანიზაციული ფორმები და სტრუქტურები, რაც თავის მხრივ მართვის კოორდინირებას გამოიწვევდა შერეული ეკონომიკის განვითარების ბაზაზე;

9. გარდამავალ ეტაპზე ვერ შევინარჩუნეთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების გამო. მოვსპეთ მრავალწლიანი ნარგავები: ვენახი, ხილი, ჩაი და ციტრუსი. არასწორი ორგანიზაციული ფორმების და

სტრუქტურების განხორციელებით გავანადგურეთ, ან დავიტაცეთ მობილური ტექნიკა, ძველი დავანგრიეთ და არ შევქმენით მექანიზებული მომსახურების ორგანიზაციული ფორმები, რის გამოც მოხდა ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დატაცება-განადგურება. ამით მოისპო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მისი ორგანიზაციული ფორმა. ეს შეცდომები მომავალში უნდა გამოვასწოროთ;

10. წარმოება, დამზადება, გადამუშავება, შენახვა და რეალიზაცია შეიცავს კვლავწარმოების კლასიკურ პროცესებს, რაც სოფლის მეურნეობაში მეტად რთული პროცესია. ყველა ეს პროცესები ერთიმეორესთან დაკავშირებულია ეკონომიკურად, ორგანიზაციულად, ტექნოლოგიურად, ფუნქციურად. წარმოებით და ფინანსურ ურთიერთობათა გარკვეულ ეტაპზე აუცილებელი ხდება ყველა პროცესის ორგანიზაციულ-სტრუქტურული შეთანაწყობა (მთლიანობა, ერთიანობა);

11. სპეციალიზაციის, კოოპერირებისა და ინტეგრირების საკითხები უნდა გადაწყვიტოს შრომის ორგანიზაციის უფრო მაღალი ფორმების დამკვიდრებამ, სააქციო საზოგადოების გაერთიანების ბაზაზე წარმოქმნილმა კორპორაციულმა და კომპანიურმა გაერთიანებებმა, რომლებთანაც კონტაქტში უნდა შევიდნენ აგრეთვე ბანკები და სხვა საფინანსო დაწესებულებები, რომლებიც დარგობრივი ნიშნის მიხედვით მოახდენენ წარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის დაფინანსებას;

12. ჯერჯერობით გლეხური (ფერმერული) მეურნეობა მიჩნეულია შრომის ორგანიზაციის ოპტიმალურ ფორმად. ეს ასედაც არის, მაგრამ,

როგორც სადღეისო პრაქტიკამ გვიჩვენა, ისინი არ ფუნქციონირებენ ზემოთ მინიშნული ეკონომიკური და საფინანსო დარღვევების გამო. როდესაც ობიექტურად და სუბიექტურად მოქმედ ნაკლოვანებებს გავასწორებთ და დასტაბილდება კონკურენციის და ფასწარმოქმნის კანონი, უნდა მოხდეს მეურნეობების გამსხვილება და გამოიკვეთოს სპეციალიზაციის და კონცენტრაციის დონე.

დღეისათვის მთავარია სწორად განვსაზღვროთ აგრარული ეკონომიკის განვითარების თავისებურებანი, ეტაპები და ტემპები, ორგანიზაციული და ეკონომიკური სტრუქტურები. უნდა ვიცოდეთ საიდან ვიწყებთ, რით ვიწყებთ, რა უნდა ვაწარმოოთ და რა მოცულობით; რით უნდა ვაწარმოოთ და ვისთვის უნდა ვაწარმოოთ, მომავალში მოხდება თუ არა მოცემული წარმოების ადაპტირება და სად იქნება მისი გასაღების ბაზარი და ა.შ., თუ არ დადგინდება პარამეტრები, თუ არ განმტკიცდა მოთხოვნა-მიწოდებანი (დემოკრატია ქაოსი არ არის), წინააღმდეგ შემთხვევაში, გვექნება საბაზრო ქაოსი და არა საბაზრო ეკონომიკა. აქედან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეტაპები ზუსტად უნდა განისაზღვროს.

პირველი რიგის ამოცანაა ქვეყნისათვის საარსებოდ აუცილებელი და თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფისათვის საჭირო პროდუქციის მინიმალურად აუცილებელ დონეზე წარმოება. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ქვედა ზღვარი (წარმოების I დონე) შემდეგნაირად განისაზღვრება. მარცვლეული 600-700 ათასი ტონა რძე 650-700 ათასი ტონა, თევზი 15-20 ათასი ტონა, კვერცხი მლნ ცალი.

წარმოების მეორე (ნორმალური პირობები) დონე ქვეყანაში სტაბილურობის საფუძველზე ჩამოყალიბდება და იგი გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაფართოებას, ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებას და თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას. ამ დონისათვის წარმოება მიაღწევს: მარცვლეულის 800-1000 ათას ტონას, ყურძნის 350-450 ათას ტონას, ჩაის ფოთლის 200-250 ათას ტონას, ციტრუსების 90-100 ათას ტონას, კარტოფილის 350-400 ათას ტონას, შაქრის ჭარხლის 160-180 ათას ტონას, ხილის 600-700 ათას ტონას, ბოსტნეულის 650-700 ათას ტონას, ხორცის 150-180 ათას ტონას, რძის 750-1000 ათას ტონას, თევზის 35-55 ათას ტონას, კვერცხის 920-950 მლნ ცალს.

მესამე დონეზე (ხელსაყრელი პირობები) ქვეყანაში გადაწყდება უმნიშვნელოვანესი ამოცანები. შეიქმნება შედარებით საუკეთესო საშინაო და საგარეო პირობები, მიღწეული იქნება ეკონომიკის რეგულირების ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური წინამძღვრები. ამ დონის დროს წარმოებული იქნება: მარცვლეული 1500-1800 ათასი ტონა ყურძენი 550-600 ათასი ტონა, ჩაის ფოთოლი 350-400 ათასი ტონა, ციტრუსი 170-180 ათასი ტონა, კარტოფილი 500-600 ათასი ტონა, შაქრის ჭარხალი 200-250 ათასი ტონა, ხილი 800-900 ათასი ტონა, ბოსტნეული 750-800 ათასი ტონა; ხორცი 200-250 ათასი ტონა, რძე 1100-1200 ათასი ტონა, თევზი 65-95 ათასი ტონა, კვერცხი 1000-1200 მლნ ცალი.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში უახლოეს პერიოდში შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

წარმოებულ იქნას შემდეგი მოცულობით (IV დონე) მარცვლეული 1500-2000 ათასი ტონა, ყურძენი 800-900 ათასი ტონა, რაც 1985 წლის დონეა ჩაის ფოთოლი 360-400 ათასი ტონა, ციტრუსი 230-250 ათასი ტონა, კარტოფილი 700-800 ათასი ტონა, შაქრის ჭარხალი 300-350 ათასი ტონა, ხილი 1000-1200 ათასი ტონა, ბოსტნეული 900-1100 ათასი ტონა, ხორცი 300-400 ათასი ტონა,რძე 1200-1400 ათასი ტონა, თევზი 100-120 ათასი ტონა, კვერცხი 1400-1600 მლნ ცალი.

უცხოელი მეცნიერ-ჩინოვნიკები (პენსიონერები) სულაც არ გვჭირდებიან. საქართველოს ეკონომისტთა (და სხვა დარგების) ძლიერი სამეცნიერო პოტენციალი გააჩნია, რომელთაც დამოუკიდებლად შეუძლიათ განსაზღვრონ საბაზრო ეკონომიკის მოდელისათვის აუცილებელი პრიორიტეტულ საწარმოთა ორგანიზაციული ფორმები და სტრუქტურები. შეუძლიათ მოახდინონ მათი შერჩევა და ფორმირება, რომელიც საჭიროებს განვითარების და მართვის პარამეტრების თანმიმდევრობით განხორციელებას, რაც შემდეგნაირად გვესახება:

1. საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს თავისუფალ განვითარებას, რომელსაც რეგულირება უნდა გაუკეთოს სახელმწიფომ თავისუფალი ბაზრის პირობებში, ხოლო რეგულირებადი ბაზრის პირობებში მარეგულირებელი ბაზარი თვითონვე დაარეგულირებს სტაბილურობას და ეკონომიკასაც სტაბილურს გახდის. თავისუფალი ბაზრის პირობებში თავისუფლებასაც თავისი ზღვარი გააჩნია. ბაზრის სახელმწიფო რეგულირება გარდაუვალი ეტაპია და საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც დიდად ირღვევა ბაზრის წონასწორული ფასი;

2. არსებობს საბაზრო ურთიერთობის გეგმურ-ცენტრალიზებული სისტემაც, რომლის გამოცდილება წარსულიდან გვაქვს, მაგრამ არა გვაქვს ცენტრალიზებული მართვის სისტემიდან დეცენტრალიზებულ მართვის სისტემაზე გადმოსვლის გამოცდილება. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა თავისუფალ მეწარმეობაზე გადასვლას ნიშნავს, რაც შეიძლება გაკეთდეს გონივრული გათვლებისა და მაღალი დონის მართვის განხორციელების ბაზაზე და არა ისე, როგორც ეს მოხდა საქართველოში სტიქიურად ჩატარებული პრივატიზების გზით;

3. სწორი არ იქნება, თუ ვიხელმძღვანელებთ მხოლოდ კლასიკური მოდელებით და სქემებით იმიტომ, რომ სხვა ქვეყნების მოდელების "ტრანსფერენტულად" გადმოტანა და მორგება ჩვენს ეკონომიკაზე არ მოგვცემს კარგ შედეგებს. გათვალისწინებული უნდა იქნას ეროვნული ეკონომიკის თავისებურებანი, ქართველი გლეხის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფსიქიკა, შრომისმოყვარეობა და თავისებური კულტურა;

4. მევენახეობის დარგის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანა და განვითარება უნდა მოხდეს სტრატეგიული მიზნით. იგი საქართველოში მაპროფილებელი დარგი იყო და მოხდა მისი განადგურება. მას სახელმწიფოს მიერ რეგულირება სჭირდება. ბაზრის კონკურენციამ, ფასწარმოქმნამ და მოთხოვნა-მიწოდებამ მოშალა მევენახეობის წინსვლის შესაძლებლობანი. სახელმწიფოს თავისუფალი ბაზრის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა საწინააღმდეგოდ დამცავი მექანიზმი უნდა შეემუშავებინა;

5. ქვეყნის მევენახეობის დარგის კრიზისული მდგომარეობიდან

გამოყვანისა და პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებისათვის, ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებათა გარდა, ჩვენი აზრით, აუცილებელია მწარმოებელი დავაინტერესოთ ყურძნის შესასყიდი ფასის გადიდებით. აქედან გამომდინარე, 1კგ ყურძნის შესასყიდი ფასი მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაიზარდოს სულ მცირე 60-70 თეთრამდე, რის გამოც ჩვენს მიერ გაკეთებული გაანგარიშების შედეგად მიღებული ყურძნის თვითღირებულების 35-45 თეთრიდან ხარჯები დაიფარება და მწრმოებელი მიიღებს 1 კგ ყურძენზე მოგების სახით საშუალოდ 15-20 თეთრს, რაც ღვინის ქარხნებისათვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, ღვინის ქარხნებიდან მოგების თანხა სოფლის მეურნეობაში უნდა გადმოიქაჩოს (ამით კორუფცია შეიზღუდება);

6. აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს ინფრასტრუქტურის დარგები, თორემ ბაზარი საქმიანობის მიმართ დაუნდობელია. მოსაწესრიგებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის ქსელები. თავისუფალ ბაზარში იურიდიული პირების აღრიცხვიანობას სახელმწიფოებრივი დარეგულირება სჭირდება საგადასახადო სისტემის მოწესრიგების მიზნით. გადასახადები მცირე საწარმოებმა შემოსავლების მიხედვით უნდა გადაიხადონ და არა სავაჭრო შენობის დაკავებული ფართის მიხედვით. ბაზრის მექანიზმი _ შემოსავალ-გასავალი, მოგება-ზარალი, ფულის მიმოქცევა აუცილებელ ინკასირებას საჭიროებს ბანკში კორუფციის შეზღუდვის მიზნით. წარმოებისა და მიმოქცევის დონეები მკვეთრ ცვლილებებს განიცდის. მოთხოვნა-მიწოდება, მათი შესაბამისობა, კონკურენცია,

ფასწარმოქმნა რთული მექანიზმია და სახელმწიფო რეგულირებას საჭიროებს;

7. მევენახეობა საბაზრო რელსებზე რომ გადავიდეს, წარსულის დირექტიული კანონების შეცვლაა საჭირო. მიწა დეცენტრალიზებული მართვის სისტემაში ღირებულებას უნდა წარმოადგენდეს. ეს საკითხი საბოლოო გადაწყვეტას საჭიროებს;

8. თავისუფალი ბაზარი რომ არ ვმართოთ, სტიქიურობამდე მიგვიყვანს. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიზანია საბაზრო მართვის საჭე მის ხელში იყოს და დაარეგულიროს მართვის ბერკეტების გამოყენებით;

9. კორუფციამ დაღუპა საბჭოთა ეკონომიკა, ეს საფრთხე საბაზრო ეკონომიკას უფრო მეტად ემუქრება. კორუფციის მაღალი ხვედრითი წონა აღინიშნება მთლიან შიდა პროდუქტში (40-45%). საბაზრო ეკონომიკის წყობის დანგრევა, ნებით თუ უნებლიეთ, გარდაუვალია, თუ არ მოხდა კორუფცირებული ეკონომიკის მთლიანი, ან ნაწილობრივი შეზღუდვა მაინც;

10. ფული (ლარი) ინფლაციის და დევალვაციის პირობებში წარმოადგენს სახეშეცვლილ დოლარს. ეს რთული ფინანსური პროცესი არ უნდა დავმალოთ. საჭიროა ღრმად გავაანალიზოთ საფინანსო, საკრედიტო- საბანკო სისტემა, გავათავისუფლოთ კორუფციისაგან და მოქნილი გავხადოთ ფინანსური უკუკავშირი დარგებზე ქმედითუნარიანობით.

აგროსამრეწველო კომპლექსი არის ეკონომიკურად და ორგანიზა-ციულად ურთიერთდაკავშირებული წარმოებისა და ინფრასტრუქტურის დარგები იმ მიზნით, რომ წარმოებით

ურთიერთობაში მოექცნენ _ აწარმოონ, გადაამუშაონ და რეალიზაცია გაუკეთონ საქონლურ მზა ნაწარმს, გადამუშავებითი მრეწველობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ობიექტური პირობაა "ასკ"-ის ორგანიზაციული სტრუქტურის სწორად განსაზღვრა, რაც დაკავშირებულია სამი ძირითადი საკითხის გადაწყვეტასთან:

1. უნდა დადგინდეს მატერიალურ-ტექნიკური, ფაქტობრივად არსებული საშუალებები (რომლებიც ნაშთად მივიღეთ მემკვიდრეობით), აკმაყოფილებს თუ არა "ასკ"-ის სისტემაზე გადასვლისათვის წაყენებულ მოთხოვნებს;

2. უნდა შეიცვალოს ორგანიზაციული და დარგობრივი სტრუქტურა საბაზრო კონიუნქტურის მოთხოვნათა შესაბამისად;

3. უნდა მოხდეს საკუთარი წარმოების პროდუქციით ბაზრის გაჯერება იმპორტთან შეწყობილი განვითარების დონეზე.

მევენახეობის დარგმა აგროსამრეწველო სისტემაში მაღალი ხვედრითი წონა უნდა დაიკავოს. მისი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ ამ დარგიდან მიღებული მრავალსახეობის ძვირფასი პროდუქცია ადგილობრივ მოხმარებასთან ერთად, საექსპორტო პროდუქციასაც იძლევა, როგორიცაა: ყურძენი, ღვინო მარკების მიხედვით, ქიშმიში, ყურძნის წვენი, სპირტი, არაყი და ა.შ. ამასთან მას ახასიათებს:

1. საქონლიანობის მაღალი დონე;
2. მაღალი, მყარი მოსავლიანობა და შემოსავლიანობა;

3. შრომის პროცესის გამოთანაბრების შესაძლებლობა (სამუშაო პროცესი მევენახეობაში თითქმის მუდმივია);
4. სხვა კულტურებთან შედარებით ვაზი გვალვაამტანია;
5. ვენახი უკუგების მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება;
6. ყურძნის პროდუქციას ახასიათებს ტრანსპორტირების მაღალი დონე;
7. ვაზი ექსპლოატაციაში მალე შედის (მესამე წელს მცირე მოსავალს იძლევა, ხოლო მეხუთე წელს სრულ მსხმოიარობაში გადადის).

მევენახეობის დარგის საწარმოებს შორის კავშირების გაფართოების მიმართულებით, მათი ორგანიზაციული და სტრუქტურული განვითარების, მართვის ინტეგრაციის თვალთახედვით გასათვალისწინებელია ეკონომიკური ზომების მიხედვით მინერალური და ორგანული სასუქებით, მანქანა-იარაღებით და სხვა საჭირო მასალებით მომარაგების საკითხი. ამჟამად საქართველოში სოფლის მეურნეობის მართვის ორგანოები (ქვეყნისა და რეგიონების რაიონული დონეების მიხედვით) გავლენას ვერ ახდენენ მანქანათმშენებლობასა და იმ დარგების განვითარებაზე, რომლებიც წარმოების საშუალებებს აწვდიან სოფელს. სუსტია კავშირები იმიტომ, რომ მოიშალა "ასკ"-ის სისტემა და დავუბრუნდით მხოლოდ გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებს. ჩვენი შეხედულებით, სოფლის მეურნეობის გარდაქმნის პროცესში უნდა შენარჩუნებულიყო გარდამავალი პერიოდი, რომელშიც ისევ იფუნქციონირებდა სახელმწიფო კოოპერირებული საწარმოები, როგორც მცირე საწარმოები. საწარმოთა ორი ძირითადი ფორმა იქნებოდა ჩაბმული

კონკურენციულ ბრძოლაში, რის შემდგომაც საბაზრო კანონები გამოაჩენდა პრიმატს. “შოკურმა თერაპიამ” დიდი ზიანი მიაყენა მევენახეობისა და სხვა დარგების განვითარებას. “ასკ”-ის სისტემის მოშლამ მთლიანად მოშალა ყველა პროცესი, აღნიშნულის გამოსწორების მიზნით მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. უნდა აღდგეს კავშირები სოფლის მეურნეობასა და გადამუშავებით მრეწველობას შორის;

2. მართვა უნდა განხორციელდეს წარმოებისა და გადამუშავებითი მრეწველობის კავშირების გაძლიერების საფუძველზე შერეული ეკონომიკის კომბინირებული მართვის გზით;

3. არ შეიძლება გვქონდეს ძლიერ ზეცენტრალიზებული, ან ძლიერ დეცენტრალიზებული მართვის სისტემა, საჭიროა ეკონომიკის შერეული, კომბინირებული მართვა;

4. უნდა გაძლიერდეს აზოტისა და სხვა სასუქების მატერიალური მარა-გების მწარმოებელი ქარხნების მუშაობა, რეკონსტრუქციას საჭიროებენ ბიოკომბინატები;

5. უნდა გაძლიერდეს წარმოებისა და კვლავწარმოების პროცესების მომარაგება დიდ და მცირე მექანიზაციით უზრუნველყოფის მიმართულებით. საამისოდ საკუთარი ფონდები არ გაგვაჩნია, ამიტომ გონივრულად უნდა მოვზიდოთ და გამოვიყენოთ ინვესტიციები;

6. გადაჭრით უნდა ვიბრძოლოთ ინფრასტრუქტურის დარგების
გაფართოებისათვის _ პროდუქციის გადამუშავება, შენახვა და რეალიზაცია მეტად რთული პროცესია;

7.აგროსამრეწველო კომპლექსის “რეორგანიზაციის პროცესში” (1991წ.) სუბიექტური მიზეზების გამო “ასკ”-ის ინტეგრირებული სისტემა დაშალეს და დააწვრილმანეს ცალკეულ საწარმოებად. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ და აღვადგინოთ “ასკ”-ის სისტემა არა იმ ორგანიზაციული ფორმით და სტრუქტურით რაც გვქონდა, არამედ უნდა შევქმნათ კომბინირებული მართვის სისტემა. წარმოების ორგანიზაციული, შრომის ფორმებისა და სისტემების კომბინაციასთან ერთად უნდა მოხდეს მართვის სისტემის კომბინირებაც.

საწარმოს ორგანიზაცია არის სისტემის მოწესრიგებულობა, მისი შინაგანი და გარე დინამიური პროცესის ორგანიზებულობა, წონასწორობა, შრომის დინამიკურობა, რის საფუძველზედაც საზოგადოების მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით ვაწარმოებთ მატერიალურ დოვლათს. შრომის პროცესი ჰგავს “კარგი საათის მექანიზმს”, რომლის ცალკეული ნაწილის მოშლა წარმოების ან საათის გაჩერების ტოლფასია, რომ არ გაჩერდეს წარმოება და შრომის პროცესი, ამიტომ სოფელში საჭიროა გატარდეს აუცილებელ ღონისძიებათა კომპლექსი:

1. საწარმოთა ორგანიზაციული და სტრუქტურული ფორმების გადამუშავება საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტური კითხვების მოთხოვნი-ლებათა შესაბამისად;

2. მომავალში (ცხოვრება დინამიკური პროცესია) წარმოების ორგანიზაციისა და მმართველობის სტრუქტურული გაუმჯობესება და დახვეწა “ასკ”-ის სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად;

3. საწარმოთა ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით დამუშავებული უნდა იქნას ბიზნესგეგმები და მათი სტანდარტული მაკეტები;

4. აუცილებლად უნდა გადავიდეთ წარმოების მართვის “ასკ”-ის სისტემაზე.

განვლილი ათწლეულის დაშვებული შეცდომების ღრმა ანალიზი ადასტურებს, რომ მიწისა და წარმოების საშუალებათა კერძო თვითმმართველობა და მფლობელობა, მეურნეობრიობის ფორმის არჩევანის პირობებისა და სხვა ხელშემწყობი ფაქტორების, აგრეთვე, მატერიალური დაინტერესებისა და სტიმულირების გაძლიერებით, კერძო წარმოების ფორმა ხელს უწყობს პროდუქციის წარმოების გადიდებას, მაგრამ აქვს ნაკლოვანი მხარეებიც, რაც მდგომარეობს შემდეგში:

- კერძო მეწარმეობის (მცირე საწარმოების) წარმოების მასშტაბები მცირეა, რომელსაც თავისი შესაბამისი დამამუშავებელი მანქანა-იარაღები სჭირდება, რაც ჩვენს ეროვნულ მრეწველობას ნაკლებად მოეპოვება;
- კერძო მეწარმეობის პირობებში გეზი უნდა აგვეღო საზოგადოებრივი წარმოების გარდაქმნაზე და არა დატაცებასა და დანგრევაზე;
- უნდა ჩატარებულიყო დროული ორეტაპობრივი პრივატიზაციის პროცესი ხანგრძლივი პერიოდის გათვალისწინებით, რაც საქართველოს ეკონომიკას ნგრევას არ მოუტანდა;

- ეკონომიკურ მოდელებში არ იყო კარგად გათვალისწინებული საწარმოთა ორგანიზაციული ფორმები და სტრუქტურები, მართვის სისტემები და ფორმები, ახლაც გადასასინჯია სოფლის მეურნობის სამმართველოს სტრუქტურა და ფუნქციები;
- კერძო მეწარმეობა მანქანა-ავტომატი არ არის, რომ დამოუკიდებლად შეძლოს შრომის პროცესი, მასაც მართვა სჭირდება და არა თვიდინებაზე მიშვება.

სოფლად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მევენახეობის დარგისა და სხვა საწარმოთა ინფრასტრუქტურის დამხმარე და მომსახურე წარმოებების განვითარებას. ინფრასტრუქტურის ბიზნესის მართვა, სასურსათო ბაზრის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება გარდაუვალი ეტაპია საბაზრო ურთიერთობის ფორმირებისა და შემდგომი განმტკიცების საქმეში. ამიტომ, ამ დარგების განვითარებისათვის გასატარებელ ღონისძიებათა კომპლექსში გათვალისწინებული უნდა იქნას:

1. უნდა შეიქმნას სატრაქტორო პარკის მომსახურეობის სერვისი, რათა ორგანიზებულად მოვემსახუროთ ძირითად საწარმოებს, ობიექტურად (სწორად) დადგენილი ფასების საფუძველზე;

2. ასეთივე ორგანიზაციით და სტრუქტურით უნდა შეიქმნას ავტოსერვისის პარკი, სწორი შრომის ორგანიზაციით და მომსახურების ფასებით;

3. რემონტების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, საჭიროა შეიქმნას სარემონტო-მექანიკური მომსახურების სერვისი იგივე პრინციპებით;

4. უნდა გაუმჯობესდეს ელექტრომომარაგება და წყალმომარაგება ამ სახის ორგანიზაციული ფორმების შექმნით;

5. გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს სოფლის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები: აბანო, პურის საცხობი, საპარიკმახერო და კვების საწარმოები - სასადილოები (კომუნისტები მინდორში და ვენახებში მუშებს კვებავდნენ საველე სასადილოებში, განსაკუთრებით მოსავლის აღებისა და სამუშაო პიკების პირობებში);

6. ინფრასტრუქტურის დარგების მართვა უნდა განხორციელდეს დეცენტრალიზებული მართვის პრინციპებით. წამყვანი ადგილი მიენიჭოს დეცენტრალიზებულ მართვას, სადაც ცენტრალიზებული მართვა შეხამებული იქნება შეკვეცილი ფორმით დიდი ბიზნესის პირობებში, ე. ი. განხორციელდება დეცენტრალიზებული მართვა ცენტრალიზაციის ელემენტებით და ცენტრალიზაცია დეცენტრალიზაციით. მოხდება მართვის
კომბინირება საბაზრო მოთხოვნათა შესაბამისად.

იმისათვის, რომ მევენახეობის განვითარებისათვის შევქმნათ ეკონომიკურ-პოლიტიკური ბაზა, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დარეგულირდეს ყურძნის პროდუქციის საბაზრო ფასები. იმ შემთხვევაში, როდესაც ირღვევა საბაზრო ფასების წარმოქმნის ზღვრული ნორმები, მაშინ საჭიროებს სახელმწიფო რეგულირებას არაპირდაპირი ჩარევის გზით, სხვადასხვა ბერკეტების გამოყენებით. უნდა მოხდეს წონასწორული ფასის სახელმწიფოებრივი დაცვა. ღრმად უნდა იქნას გაანალიზებული ყურძნის წარმოებისა და საბაზრო ფასი. ეს უკანასკნელი რეგულირდება საბაზრო მოთხოვნა-მიწოდებით.

განვლილი ათწლეულის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სოფლის მეურნეობის რაიონულ აგროსამრეწველო სამმართველოები ვერ უზრუნველყოფდნენ და ამჟამადაც ვერ უზრუნველყოფენ სპეციალიზაციის სამეურნეებათშორისო კოოპერაციის და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ღრმა პროცესების რეგულირებას, დღეისათვის ფერმერული და გლეხური მეურნეობები ქაოსში იმყოფებიან (ფერმერულ მეურნეობათა მართვის აპარატი აღარ ფუნქციონირებს). აგრორაიონული სამმართველო მეტად სუსტი რგოლი აღმოჩნდა. გარდაქმნას საჭიროებს რაიონული აგრომართვის სფერო.

საქართველოში მთლიანად უნდა შეიცვალოს აგრარული პოლიტიკის მართვის საფუძვლები, რადგანაც ორგანიზაციული და სტრუქტურული ფორმის მთლიანად შეცვლა გამომდინარეობს საბაზრო ეკონომიკის შინაარსიდან. აგრარული პოლიტიკა უნდა დაეყრდნოს თეორიულ-მეთოდოლოგიური, პრაქტიკული შემოქმედების საფუძვლებს, რომელიც ითვალისწინებს: 1. მეცნიერების როლის გაძლიერებას; 2. ტექნიკურ პროგრესს; 3. მიღწეული მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესის პოტენციალის წარმოებასთან შეერთებას.

ჩვენი აგრარული პოლიტიკა, მეცნიერებისა და წარმოების წარსულის განვითარების შედეგებზე უნდა მდგარიყო. გარდამავალ ეტაპზე კი არ მოვახდინეთ მატერიალ-ტექნიკური ბაზის გარდაქმნა, არამედ მოვსპეთ, გავანადგურეთ და ამის შემდგომ გვსურს წარმოების მასშტაბების ზრდა. დარგის განვითარების არსი მდგომარობს იმაში, რომ იმ სამეცნიერო პოტენციალს, რომელიც გვყავდა სამეცნიერო

დაწესებულებებში, არ მივეცით სათანადო დაფინანსება. ხარჯები ამ მიმართულებით შემცირდა, მათ შორის მოხდა ხელფასების შემცირებაც, რის გამოც სამეცნიერო დაწესებულებები დაშლის მდგომარეობამდე მივიდა. იმისათვის, რომ მოხდეს სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის გარდაქმნა და სრულყოფა, საჭიროა გატარდეს შემდეგი სახის ღონისძიებები:

1. საბაზრო ეკონომიკისა და ბაზრის კონიუნქტურის შესაბამისად მოხდეს სამეცნიერო ბიზნეს - გეგმების დამუშავება;

2. "ბაზრული პრიმიტიული აზროვნებისაგან" მეცნიერება უნდა განთავისუფლდეს სტიქიურად საბაზრო მექანიზმზე გადაყვანისაგან. მეცნიერების გარდასაქმნელად უნდა შეიქმნას პრაქტიკაში კავშირების გაძლიერებით და დროის შემცირებით სწორი ფუნდამენტური შრომა მევენახეობის დარგის საბაზრო რელსებზე გადასასვლელად, რაც უნდა განვითარდეს სპეციალიზაციის, კოოპერირებისა და კონცენტრაციის, ინტეგრაციის მაღალ დონეზე (ყურძნის მწარმოებელ და მრეწველურ დარგებს შორის უნდა გაძლიერდეს კავშირები). მაშინ, როდესაც შეიქმნება გიგანტური საწარმოები და გაერთიანებები, მოინდომებენ სამეცნიერო დაწესებულებებთან ურთიერთობებს და მოხდება სამეცნიერო პოტენციალის მაღალ დონეზე გამოყენება;

3. მევენახეობასა და სხვა დარგებში უნდა შეიქმნას ფუნდამენტური შრომები საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად. უნდა დამუშავდეს წარმოების ტექნოლოგიის, შრომის, მართვისა და წარმოების ორგანიზაციულ-სტრუქტურული ფორმები;

4. საბაზრო მართვის გაუმჯობესებასთან ერთად სახელმწიფოებრივი მართვისა და რეგულირების გარდაქმნაცაა საჭირო;

5. მიმდინარე მართვის დონეზე საჭიროა მეცნიერ-მუშაკთა ხელფასების
დარეგულირებაც, ამ მიმართულებით ხელფასის ზრდა მომავალში აუცილებელი ეტაპია, ის აყვანილი უნდა იქნას 250-300 ლარამდე მაინც;

6. ღრმად გაანალიზებას და შესწავლას საჭიროებს საბაზრო ფასწარმოქმნის საკითხები;

7. ღრმად ჩახედვასა და შესწავლას საჭიროებს საწარმოთა ტექნოლოგიური პროცესები, საწარმოებში მართვა უნდა ხდებოდეს ტექნოლოგიური რუკებით და არა ზეპირად;

8. უნდა დამუშავდეს მეცნიერების მუშაობის შეფასების კრიტერიუმები, ამაღლდეს მისი ეფექტი, მეცნიერებამ საწარმოს კარგი სამეურნეო-საფინანსო შედეგები უნდა მოუტანოს;

9. უნდა განისაზღვროს მაპროფილებელი დარგების განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა. გაძლიერდეს ექსპორტ-იმპორტის ურთიერთობისა და შესაბამისობის კავშირები;

10. გასწორებას საჭიროებს დამოკიდებულება ინტენსიფიკაციის ფაქტორებისადმი _ მექანიზაციის, ენერგოშეიარაღებისა და ენერგოუზრუნველყოფის, აგრეთვე, სასუქების წარმოებისა და მომარაგების ორგანიზაციის. მევენახეობის, სარწყავი სისტემის მელიორაციისა და ირიგაციის მთლიანი სისტემა მისახედია მეურნეობრივად-ფინანსურად;

11. მკვეთრად უნდა ამაღლდეს მიწების ნაყოფიერება და შემცირდეს ვენახის არსებული ფართობების მეჩხერიანობა (სასურვლია ჩატარდეს ვენახების პასპორტიზაცია);

12. წარმოებასთან კავშირების დღევანდელი დონე ვერ პასუხობს საბაზრო ურთიერთობის მოთხოვნებს, თუნდაც წარმოების პროცესების მატერიალური მარაგებითა და ტექნიკით მომარაგების საკითხი. ამ მიმართულებით დეცენტრალიზაციამ ქაოსი გამოიწვია. მოსაფიქრებელია ამ დარგში ორგანიზაციული ფორმები და სტრუქტურები;

13. უნდა დამუშავდეს ფუნდამენტური კვლევითი თემები, რითაც
გათვლილი იქნება პერსპექტივაში მევენახეობის დარგის განვითარება
თავისი ყველა საწარმოო-მეცნიერული ატრიბუტებით.

ცენტრალიზებული მართვის პირობებში მევენახეობის დარგი სპეციალიზებული იყო და შესული აგროსამრეწველო ინტეგრაციის სისტემაში. ამ დარგს ხელმძღვანელობდა მევენახეობის ტრესტი და ის მჭიდრო კავშირში იყო საქართველოს "სამტრესტთან", რომელიც აერთიანებდა ღვინის ქარხნებს და "ქარხანსამმართველოთა გაერთიანებებს". აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მევენახეობის დარგში მოქმედებდა წარმოების ინტენსიური სისტემა. ყურძნის მოსავლიანობის ზრდა ყოველწლიურად მატებით ხასითდებოდა. მართვის ექსპერიმენტებსაც და დაგეგმვასაც დიდი ყურადღება ექცეოდა. ვენახების ფართობი ყოველწლიურად იზრდებოდა. დაგეგმვა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მართვის ინსტრუმენტია და სოციალისტური წარმოების ორგანიზაციული და

სტრუქტურული ფორმების დემონტაჟი ყოველმხრივ გაანალიზებას საჭიროებდა. უნდა მომხდარიყო მიღწეული დონის შეფასება.

სწორად დაგეგმვის ცენტრალიზებული მართვის სისტემას დიქტატთან აიგივებენ. რა თქმა უნდა, დიქტატები და დიქტატურა ცენტრალიზებულმა მართვის სისტემამ წარმოშვა. ის სადღეისო მართვის სისტემაში მიღებულია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ დემონტაჟის დროს გაგვენადგურებინა მისი საწარმოო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, არამედ სრულად უნდა ყოფილიყო გამოყენებული ყველა შესაძლებლობანი. უნდა შეგვენარჩუნებინა კოლმეურნეობის ორგანიზაციული ფორმა, რომელიც გარდამავალ პერიოდში "აგროსამრეწველო ინტეგრირებულ ფორმად გარდაიქმნებოდა". შენარჩუნებული იქნებოდა მევენახეობის დარგი და მეურნეობრივ-ფინანსური შედეგებიც კარგი გვექნებოდა. პრივატიზაციის პროცესი უნდა დაგვეწყო საწარმოო მობილური ტექნიკის პრივატიზაციით, არსებული ტექნიკური საშუალებების რეორგანიზაციით უნდა გარდაქმნილიყო მომსახურების ინფრასტრუქტურის დარგები, ხოლო შემდგომ მოგვეხდინა სახელმწიფო საწარმოთა საშუალებების ინფრასტრუქტურის დარგების (სატრაქტორო, ავტოპარკის სარემონტო-მექანიკური სახელოსნოს და სხვა მომსახურე დარგების) ორგანიზაციული და სტრუქტურული ფორმების ჩამოყალიბება, რომელნიც შეიარაღებულნი იქნებოდნენ ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისი დიდი და მცირე საწარმოო მექანიზმებით. ამ მიმართულებით, მომავალში გასატარებელ ღონისძიებათა კომპლექსი ეკონომიკური და მართვის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად ითვალისწინებს:

1. მარკეტინგული დაგეგმვის გარდაქმნას, ბიზნეს-გეგმების შედგენას, გეგმების შედგენისათვის მარკეტინგული სტანდარტული მაკეტის აგებას ტიპიური რეკვიზიტებით;

2. სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: სახელმწიფო პროგრამები, ფასები, საწარმოთა გაკოტრებისაგან დაცვის, მიწების, შეღავათიანი კრედიტების, პროდუქციის შესყიდვის და სხვა საკითხები;

3. წამყვანი როლი უნდა მიენიჭოს მართვის დეცენტრალიზაციას ცენტრალიზებული მართვის კომბინირებული (შერეული) შეხამებით;

4. მართვაში გამოყენებული უნდა იქნას მიმდინარე და პერსპექტიული დაგეგმვის სისტემა, რაშიც უნდა შევიდეს პარამეტრების გაანგარიშების ვარიაციული სისტემები;

5. უნდა დამუშავდეს დაგეგმვისა და მართვის, ანალიზისა და კონტროლის (ფინანსური კონტროლისა და აუდიტის ჩატარების) ავტომატიზებული სისტემები, რაშიც მეცნიერებამ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს, დეცენტრალიზებული მართვის სისტემამ უნდა გამოიყენოს სტრატეგიული და მარკეტინგული დაგეგმვის სისტემა;

6. მევენახეობის განვითარებისათვის მართვაში გამოყენებული უნდა იქნას სახელმწიფო დაკვეთების სისტემა, რაშიც ღრმად უნდა გაანალიზდეს
ყურძნის წარმოებისა და საბაზრო ფასწარმოქმნის საკითხები;

7. მევენახეობის მართვაში გაუმჯობესებას საჭიროებს ინვესტიციების
გამოყენების მაჩვენებლები, რაშიც უკუგების მაჩვენებლები დაბალია;

8. გადასინჯვას საჭიროებს ბანკის საპროცენტო განაკვეთები (ნიხრები ძალზედ მაღალია, კრედიტები კორუფცირებულია);

9. მოუქნელად მუშაობს სადაზღვევო სისტემა, რაც მომავალში სრულყოფას საჭიროებს;

10. გასწორებას, სრულყოფას და გამკაცრებას საჭიროებს აღრიცხვისა და საფინანსო-სააუდიტო საკონტროლო სისტემა (აღრიცხვა და კონტროლი ქაოსშია მოქცეული);

11. ჯანსაღად უნდა მუშაობდეს ეროვნული ეკონომიკის ფინანსური სექტორი (ფული, საკრედიტო და საბანკო სისტემა, ფასიანი ქაღალდები და მისი ბაზარი, საფონდო, სასაქონლო და შრომითი ბირჟები). უნდა განმტკიცდეს კავშირები რეალურ ეკონომიკასა და ფინანსურ სექტორს შორის;

12. უნდა გაძლიერდეს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობანი საგარეო ვაჭრობასა და ექსპორტ-იმპორტში თანაფარდობის დაცვით (მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაძლიერებით);

13. გაძლიერებას საჭიროებს ინფორმაციული მასალების დამუშავება. ეს სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა გადაწყდეს;

14. დამუშავებას და სრულყოფას საჭიროებს სამმართველოებრივ-ნორმატიული ბაზა.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. ვ. ადამია _ ჩაის წარმოების ინდუსტრიული ტექნოლოგია, თბ., 1984 წ.
2. გ. ავბეწვაშვილი _ ს/მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადების სრულყოფისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების საკითხები, თბ., 1980 წ.
3. რ.ასათიანი _ ფული და ფულადი სისტემები, თბ., 1995 წ.
4. რ.ასათიანი _ მენეჯმენტი, თბ., 1993 წ.
5. ი.ბაქრაძე, მ. ჩხენკელი_საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები, თბ., 1990 წ.
6. შ. ბერაძე _ სტატისტიკის თეორიის საფუძველები, თბ., 1990 წ.
7. კ. ბერიძე _ მევენახეობა და მისი განვითარების პერსპექტივები აჭარაში, თბ., 1975 წ.
8. ფ. ბურდული _ ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის აქტუალური საკითხები, თბ., 2000 წ.
9. მ. გველესიანი _ ეკონომიკსი, “კომენტარი”, თბ., 2000 წ.
10. გ. გობეჯიშვილი _ შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოს მევენახეობაში, თბ., 1975 წ.
11. მ. გოლუა _ მიწის ძახილი, თბ., 1986 წ.
12. გ. გოჩიტაშვილი _ ვაზის ღიმილი, თბ., 1985 წ.

13. ნ. დარბუაშვილი _ ეკონომიკური კრიზისი და მისი დაძლევის კონცეპტუალური მიმართულებანი, თბ., 1999 წ.
14. ა. დიდებულიძე _ სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში, თბ., 1997 წ.
15. ვ. ესაიშვილი _ შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძვლები, თბ., 1998 წ.
16. რ. ვარიანი _ მიკროეკონომიკის თანამედროვე მიდგომა, თბ., 2000 წ.
17. შ. ვერულაშვილი _ ვენახის დამუშავების მექანიზაცია, თბ., 1970 წ.
18. შ.ვერულაშვილი, ლ. კიკაბიძე _ მებაღეობისა და მევენახეობის მექანიზაცია, თბ., 1972 წ.
19. რ.კაკულია _ საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობანი, თბ., 1985 წ.
20. რ.კაკულია _ ფინანსების ზოგადი თეორია, თბ., 1999 წ.
21. ვ.კეკუა _ სადაზღვევო სისტემის ფორმირებისა და განვითარების საკითხები საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში, ავტორეფერატი, თბ., 1993 წ.
22. ვ.კოპინაევი _ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის კონტროლი და რევიზია, თბ., 1995 წ.
23. ფ.კოტლერი _ მარკეტინგის საფუძლები, თბ., 1999 წ.
24. ვ.მაქჩენკოვი _ კვების მრეწველობის საწარმოთა დაფინანსება და დაკრედიტება, კვების მრეწველობა, მოსკოვი, 1992 წ.
25. ა. მათიაშვილი _ წიგნი _ მევენახეობის სამსახურში, თბ., 1985 წ.
26. რ. მაკკონელი, ლ. ბრიუ _ ეკონომიკსი, ნაწ. I, თბ., 1993 წ.
27. რ. მაკკონელი, ლ. ბრიუ _ ეკონომიკსი, ნაწ. II, თბ., 1993 წ.

28. ა.მამათელაშვილი _ სასოფლო_სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო-საფი-ნანსო საქმიანობის კონტროლი და რევიზია, თბ., 1988 წ.
29. ა. მამათელაშვილი _ სასოფლო_სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, თბ., 1999 წ.
30. თ. მაღრაძე _ სუბტროპიკული ზონის მევენახეობა, თბ., 1973 წ.
31. ი. მესხია, რ. ბასარია _ საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები, თბ., 2001 წ.
32. ი. მესხია, დ. მაღლაკელიძე, ნ. ვაშაკიძე _ ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით, თბ., 2001 წ.
33. ვ. მიტროფანოვი _ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის კონტროლი და
რევიზია, თსუ, თბ., 1997 წ.
34. ვ. პაპავა, რ. ახმეტელი და სხვები _ საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები, თბ., 1993 წ.
35. ვ. პაპუნაშვილი _ სამეცნიერო_ტექნიკური პროგრესი ს/მეურნეობაში, თბ., 1975 წ.
36. ო. საღარეიშვილი _ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თბ., 1975 წ.
37. პ. სახოჩიძე _ მევენახეობის განვითარების საკითხები, თბ., 1973 წ.
38. ნ. ტერაშვილი _ საბაზრო ეკონომიკა და მარკეტინგის საფუძვლები, თბ., 1992 წ.
39. ი.ტიხონოვი _ შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და შრომის კულტურის ამაღლება, თბ., 1992 წ.
40. ვ.ქანთარია, მ. რამიშვილი _ მევენახეობა, თბ., 1969 წ.
41. ქ.ქანთარია, მ. რამიშვილი _ მევენახეობა, თბ., 1983 წ.

42. ნ.ქარქაშაძე _ მსოფლიო სოფლის მეურნეობა, თბ., 1993 წ.
43. თ.ქვლივიძე _ მევენახეობა ახლებურად, თბ., 1995 წ.
44. ო.ქეშელაშვილი _ ბიზნესის ორგანიზაცია, თბ., 1995 წ.
45. კ. შევარდნაძე, რ. ჩეჩელაშვილი და სხვები _ საგადასხადო კორუფციის პაპავას ინდექსები, თბ., 2000 წ.
46. ვ. შიშინაშვილი _ შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზები საბჭოთა მეურნეობაში, თბ., 1972 წ.
47. ლ. ჩიკვაიძე _ ვენახის ნიადაგის პერიოდული რწყვა და გაფხვიერება, თბ., 1985 წ.
48. ნ. ჩხარტიშვილი და სხვები _ მევენახეობის და მეღვინეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები, თბ., 1987 წ.
49. თ. ციგროშვილი _ საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ფინანსები, ფულის
მიმოქცევა და კრედიტი, თბ., 1993 წ.
50. ე. ცირამუა _ სამეურნეო_საფინანსო საქამიანობის ეკონომიკური ანალიზი, თბ., 1999 წ.
51. დ. ცისკარიშვილი _ სპეციალიზაცია და დარგთა შეთანაწყობა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, თბ., 1983 წ.
52. რ. ძაძამია _ ფინანსური აღრიცხვა, თბ., 2000 წ.
53. ნ. ჭითანავა _ საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები, თბ., 1993 წ.
54. ი. ხაზაროვი _ სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა, თბ., 1994 წ.
55. გრ. ჯანხოთელი _ კვების მრეწველობის ეკონომიკა, თბ., 1994წ.
56. გრ. ჯანხოთელი _ მეღვინეობა, თბ., 1999 წ.

57. ივ. ჯაში _ სოციალურ_სასოფლო_სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაცია, თბ., 1955 წ.
58. ა. ჯიბუტი _ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კოოპერირების საკითხები, თბ., 1974 წ.
59. გარდამავალი პერიოდის საფინანსო_ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, ფინანსების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ტ.II, თბ., 1998 წ.
60. გარდამავალი პერიოდის საფინანსო_ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, ფინანსების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ტ.III, თბ., 1999 წ.
61. ინტენსიური ბაღ_ვენახების გაშენებისა და მოვლის ტექნოლოგია საქართველოში. საქართველოს სსრ სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შრომები, თბ., 1983 წ.
62. მენეჯმენტი _ უმაღლესი სკოლების ასოციაცია, ქუთაისი 1995წ.
63. მეხილეობის, მევენახეობის და მებოსტნეობის ინტენსიფიკაცია საქართველოს მთისა და მთისწინა პირობებში, სამეცნიერო შრომები, რედაქტორი ო. ნათიშვილი, საქართველოს სახელმწიფო სამეურნეო
ინსტიტუტი, თბ., 1983 წ.
64. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა, თბ., 1985 წ.
65. სასოფლო_სამეურნეო წარმოების ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები, ეკონომიკის განათლების სისტემა, თბ., 1989 წ.
66. საქართველოს სამთო მიწათმოქმედებაში მეხილეობისა და მევენახეობის ეფექტიანობის გადიდების გზები, სამეცნიერო

შრომები, საქართველოს სახელმწიფო სამთო ინსტიტუტი,რედაქტორი, ო.ნათიშვილი, თბ.,1986 წ.

67. საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი № 4, თბ., 1999 წ.
68. საქართველოს სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებულები 1950-1990 წლები.
69. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები 1991-1999 წლები.
70. ფინანსური ანგარიშების შედგენის რეკომენდაციები, საქართველოს "ბაფ", თბ., 2001 წ.
71. შრომისა და წარმოების ეკონომიკის საფუძვლები, განათლების სამინისტრო, თბ., 1999 წ.
72. ხილის _ ყურძნისა და ბოსტნეულის წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგია საქართველოს მთისა და მთის წინა პირობებში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომები, რედაქტორი ო. ნათიშვილი, თბ., 1990 წ.
73. Л. Архипова, Н. Боёв – Рынковедение, экономика, М., 1992 г.
74. Н. Буюев – Организация производства в сельскохозяйственных предприятиях, М., 1987 г.
75. Р. Дарчиашвили, Н. Чхартишвили – Виноградарство в Грузии (мех ГССР), Тбил., 1980 г.
76. М. Макаренко – Анализ эффективности вспомогательного производства, изд. «Финансы», М., 1987 г.
77. Ю. Мокашкин – Автоматизация, система обработки экономической информации, экономика, М., 1986 г.

78. А. Муравьёв, А. Лойнов – Перестройка планирования на предприятиях в условиях хозрасчёта, экономика, М., 1989 г.
79. Е. Оревская, И. Ламикин – Анализ хозяйственной деятельности сельскохозяйственных предприятии, М., 1970 г.
80. А. Сеймон, У. Смитбург, А. Томписон, «Менеджмент» в организациях, экономика, М., 1995 г.
81. А. Чаянов – Крестьянское хозяйство, изд. Экономика, М., 1990 г.
82. Пол Хейне – Экономический образ мышления, изд. «Вашингтон», 1991 г.
83. ACCA – USAID – Управленическая информация, Тбил., 1999 г.
84. Закладка виноградников – Рекомендации, Краснодар, 1980 г.
85. Кооперация и Аренда – Сборник документов и материалов, т. II, М., 1989 г.
86. «НИИСХ» - Вопросы рациональной организации сельскохозяйственного производства, изд. «Экономика», М., 1990 г.
87. Основы научного управления социалистической экономикой, часть I, цикл лекций, изд. «Мысль», М., 1989 г.
88. Основы научного управления социалистической экономикой, часть II, цикл лекций, изд. «Мысль», М., 1995 г.
89. Организация и оплата труда в новых условиях хозяйствования, экономика, М., 1989 г.
90. Перестройка управления экономикой «Проблемы перестройки, перспектива», экономика, М., 1989 г.
91. «УПКА» ЦСУ - Экономика, организация и планирование сельскохозяйственного производства, экономика, М., 1968 г.

92. Учебное пособие – хозрасчет и самофинансирование на предприятиях отраслей «АТК», М., 1989 г.
93. Учебное пособие – экономика сельскохозяйственных предприятий, М., 1992 г.
94. Учебное пособие – экономика сельскохозяйственных предприятий, М., 1994 г.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი;

თავი I მევენახეობის დარგის ეკონომიკის დაგეგმვისა და მეცნიერული მართვის სრულყოფის საკითხები აგრარულ სექტორში;

§ 1.1 საქართველოს აგრარული სექტორის არსი, წარმოებისა და გარდაქმნის თავისებურებანი, აგრარულ სექტოსში და მატერიალურ-ტექნიკური;

§ 1.2 საბაზრო ეკონომიკის მოდელისათვის აუცილებელი, პრიორიტეტულ საწარმოთა ორგანიზაციული ფორმების შერჩევა და ფორმირება;

§ 1.3 მევენახეობის დარგის სპეციალიზაცია, კოოპერირება და ინტეგრა ცია, მისი მეურნეობრიობის განვითარების ფორმები;

თავი II სოფლის მეურნეობის ეკონომიკური განვითარების დინამიკისა და სტრუქტურის სახელმწიფოებრივი რეგულირების სრულყოფის მიმართულებები;

§ 2.1 თავისუფალი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბების ამოცანები და მიმართულებები;

§ 2.2 სოფლად აგროსერვისული გარდაქმნის შედეგები და მისი სრულყოფის მიმართულებები;

§ 2.3. სამეწარმეო საქმიანობის მიმართულებები საქართველოს აგრობიზნესში;

§ 2.4 მევენახეობის დარგისა და მისი ინფრასტრუქტურის ბიზნესის

მართვის, სასურსათო ბაზრის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების საკითხები;

თავი III მევენახეობის დარგის საწარმოო და მმართველობითი ურთიერთობები, საგარეო კავშირები;

§ 3.1 მევენახეობის განვითარებისათვის ხელშემწყობი პოლიტიკური ბაზის შექმნა და მმართველობითი ურთიერთობის სრულყოფის საკითხები;

§ 3.2 მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ინტეგრაციის ორგანიზაციული ფორმები;

§ 3.3 მევენახეობის დარგის ეკონომიკური ურთიერთობისა და მართვის სრულყოფის საკითხები (ახალი ტენდენციები საგარეო-ეკონომიკურ მართვაში);

დასკვნები და წინადადებები;

გამოყენებული ლიტერატურა;